საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 054 (12 430) | 6 მარტი ხუთშაბათი 2008 წელი | ფასი 50 თეთრი



ასათიანი სუპერთასამდე დაისვენებს

»» 5

როგორ აღნიშნეს კალაძის დაბადების დღე მილანში

»» 5





## ბელფასტში ჩავალ, მაგრამ არ ვითამაშებ

### ამიხსნან, რა დავაშავე

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

»» 3

# ჩვენი კაცი ლიგაში

"რომამ" საფეხბურთო ევროპას სიურპრიზი გაუკეთა. "ჯალოროსიმ" გასვლაზე 2:1 მოუგო "რეალს" და მეოთხედფინალში გავიდა. სამეფო კლუბმა პირველი დარტყმა 73-ე წუთზე მიიღო, როცა ტადეიმ თავურით გახსნა ანგარიში. წუთნახევარში რაული მცველებს დაუსხლტა და წონასწორობა აღადგინა. "რეალი" გადარჩენის შანსს ბოლო წამებამდე ინარჩუნებდა, მაგრამ ყველაფერს ნერტილი ვუჩინიჩმა დაუსვა. ბრავო, "რომა"!

პორტუში დამატებითი დრო დაინიშნა. "მილანის" გავარდნის შემდეგ, ლიგაში ერთი ქართველის დარჩენას ველოდით. ლევან კობიაშვილსა და "შალკეს" ბედის გარკვევა პენალტების სერიაში მოუწიათ. კობის 11-მეტრიანი არ დაურტყამს, მეკარე ნოიერმა კი სიკვდილის ლატარეაში ორჯერ იყოჩაღა და "ხუმარებს" მეოთხედფინალში გაუძლვა...

ტექნიკური შედეგები »» 16



სადამდე წავა კობიაშვილი?

UEFA CUP

უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები



პიტფელდმა კანი სახლში დატოვა

გერმანული დუელი უეფას თასზე »» 8



რჩება ანჩელოტი?

»» 7



ლიპი: იუვე ან ბარსა

»» 7



რომამ მადრიდი ააფეთქა

გრანდების დაცემა, მილანს რეალიც მიჰყვა

# ქართული კლუბების საევროთასო მონაგარი

უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა 2007 წლის ფინანსური შედეგები, შემოსავლები და გასავლები გამოაქვეყნა. ცნობილი გახდა ისიც, ევროტურნირებში მონაწილეობისთვის ამა თუ იმ კლუბმა რა თანხა მიიღო.

უეფას აღმასკომმა "სოლიდარობის ფონდიდან" კლუბებზე გასანაწილებელი თანხის ახლებური სისტემა დაამტკიცა. საბოლოო ჯამში, ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასის და ინტერტოტოს გათამაშების მონაწილე ყველა კლუბი მეტ-ნაკლებად კმაყოფილი რჩება.

ყველა იმ ქვეყნის ჩემპიონს, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე ვერ მიაღწია, 160 ათასი ევრო დაერიცხა. წინა სეზონში თანხა მხოლოდ 95 800 ევროს შეადგენდა. ასე რომ, მაჩანჩალა ქვეყნების გუნდების შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამას გარდა, პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვისთვის კლუბებმა დამატებით 100 ათასი ევრო მიიღეს. მანამდე ამისთვის გუნდები მხოლოდ 51 ათასს იღებდნენ. მესამე წრეში გამოვარდნილ კლუბებს მეტს არაფერს უხდიან, მაგრამ უეფას თასზე გადართვით, დამატებით შემოსავლის წყარო უჩნდებათ.

უეფას თასის პირველი და მეორე წრის მონაწილეებს ყოველი ეტაპის გადალახვისთვის, 70 ათასი ევრო დაუწესეს (შარშან 51 800 ევრო იყო). თანხა ჯგუფური ეტაპზე გასვლის შემთხვევაშიც არ იზრდება.

ინტერტოტოზე მონაწილეობა უკვე სარფიანი საქმე გახდა. თუკი გათამაშების დაარსების დროს, მონაწილეობისთვის და ეტაპის გადალახვისთვის მხოლოდ 25 ათას ფრანკი იყო ზღვარი, გასულ წელს თანხა 31 900 ევრომდე გაიზარდა, წლეულს კი გაცილებით სოლიდურ ციფრს, 50 ათას ევროს მიაღწია.

საინტერესოა 2007/08 სეზონის ევროთასებზე მონაწილეობისთვის ქართული კლუბების ბიუჯეტები რა თანხებით შეივსო.

საქართველოს ჩემპიონი რუსთავის "ოლიმპი" ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას პირველივე ეტაპზე ყაზახურმა "ასტანამ" გამოთიშა, მაგრამ 160 ათასი ევროთი გამდიდრდა.

თბილისის "დინამომ" უეფას თასზე ორი ეტაპი ითამაშა: ლიხტენშტაინის "ვადუცი" დაამარცხა (2:0, 0:0), მეორე წრეში კი ვენის "რაპიდთან" (0:3, 0:5) დამარცხდა და 140 ათასი ევრო მიიღო.

საქართველოს თასის მფლობელი თბილისის "ამერი" პოლონეთის "ბელხატოვთან" დასანან ბრძოლაში უეფას თასისთვის ბრძოლას პირველივე ეტაპზე გამოეთიშა (0:2, 2:0) და მხოლოდ 70 ათასი ევროთი დასაჩუქრდა.

მასზე ნაკლები ინტერტოტოს გათამაშებიდან "ზესტაფონმა" მიიღო - 50 ათასი ევრო. რუსთაველთა მსგავსად, იმერლებიც ტურნირს პირველივე ეტაპზე ყაზახურ კლუბთან, "ტობოლთან" ჭიდილში გამოეთიშნენ (0:3, 2:0).

*ქართული კლუბების ფინანსური მონაგარი 2007/08 წლების ევროსეზონში:*

**რუსთავის "ოლიმპი" - 160 ათასი ევრო**
**თბილისის "დინამო" - 140 ათასი ევრო**
**თბილისის "ამერი" - 70 ათასი ევრო**
**"ზესტაფონი" - 50 ათასი ევრო.**

*თანხები საბოლოოდ დაზუსტებული არაა, რადგან უცნობია კონკრეტული მატჩის მოგებისთვის ვინ რამდენი მიიღო.*

**მერაბ მამულაშვილი**




# ესპანელებმა ოვონოს დედა უხსენეს

## ოვონო: არაფერი ვიცი
## ელ მუნდო დეპორტივო: ოვონო კამენის ძმაკაცია

გუშინდელ "ლელოში" გაუწყეთ, რომ "დინამო თბილისის" გაბონელი მეკარე **დიდიე ოვონო** შესაძლოა მომავალი სეზონიდან პრიმერა დივიზიონის "ესპანიოლში" აღმოჩნდეს - ეს ცნობა ესპანურმა "ელ მუნდო დეპორტივომ" გაავრცელა.

გუშინ კი გაბონის ნაკრების 25 წლის მეკარეს ვკითხეთ ამის შესახებ და ოვონომ ეს გვითხრა:

- ჩემთვის არავის მოუმართავს და შესაბამისად ვერაფერს გეტყვით. ამ ეტაპზე "დინამოდან" წასვლას არ ვაპირებ. "ესპანიოლზე" არც ჩემს აგენტ გია გურულს უთქვამს რამე.

გუშინ "ელ მუნდო დეპორტივო" ერთხელაც მიუბრუნდა ამ ამბავს. "ესპანიოლის" კამერუნელი მეკარე **კარლოს კამენი** დამდეგი სეზონიდან გუნდს გამოიცვლის და ბარსელონური კლუბი მის შემცვლელს უკვე ეძებს. "ელ მუნდო დეპორტივო" ირწმუნება, კამენის ყველაზე უფრო რეალური შემცვლელი ოვონო გახლავთო და ამას ასეთი არგუმენტით ამყარებს - კამენი და ოვონო კარგი მეგობრები არიან, მათ მეგობრობას ისიც უწყობს ხელს, რომ ოვონოს დედა კამერუნელია და კამენი "ესპანიოლის" ხელმძღვანელობას ოვონოზე სიტყვას შეაწევსო.

ნუხელ საფრანგეთში შევეხმიანეთ **გია გურულს** და ყოველივე ეს მასაც გაუკვირდა, საქმის კურსში არ ვარო.

**დავით თავართქილაძე**







ერნესტ აკუასაგა

ტრანსფერი

# აკუასაგა: რუსთავიდან ზესტაფონში

რუსთავის „ოლიმპის" გაბონელი მცველი **ერნესტ აკუასაგა** მალე ალბათ მეორე ქართულ კლუბში გადავა. აკუასაგამ უკრაინელი თავკაცის **ანატოლი პისკოვეცის** ხელში ძირითადში ადგილი დაკარგა. ეროვნულ ჩემპიონატში სატრანსფერო ფანჯარა 31 მარტს იხურება, აკუასაგა კი უკვე „ზესტაფონთან" ერთად ვარჯიშობს. **თემურ მახარაძის** გუნდში ორი გაბონელი ირიცხება: **პოლ კესანი** და **ეტიენ ბიტოო.**




# ბაბუნაშვილიც ბათუმში

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ბათუმმა" შემადგენლობა საკმაოდ გაიძლიერა. აჭარულ კლუბში **გიორგი თურმანიძე, ზვიად სტურუა, ზვიად ქუთათელაძე, ლაშა ქებაძე** და **გაგა ჩხეტიანი** გადავიდნენ. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ "ბათუმს" ნახევარმცველი **შოთა ბაბუნაშვილიც** შეუერთდა. შეგახსენებთ, იგი თბილისის "დინამოს" საკუთრებაა, სეზონის პირველი ნახევარი კი იჯარით "ბორჯომის" შემადგენლობაში გაატარა.

"ბათუმი" ჯერჯერობით, უმაღლეს ლიგაში ბოლო ადგილზეა. მეორე წრეში **ავთანდილ კუნჭულიას** გუნდმა ერთი ქულა მოიპოვა - შინ "დილასთან" 0:0 ითამაშა, სტუმრად კი "ოლიმპთან" 0:1 დამარცხდა. პარასკევს "ბათუმი" "სიონს" მასპინძლობს.

სულ ცოტა ხნის წინათ "ბათუმის" მესვეურები "ზესტაფონიდან" **გოგი ფიფიასა** და **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძის** გადაბირებას აპირებდნენ. ორივე ფეხბურთელი მზად იყო, სეზონის ბოლომდე აჭარულ გუნდში იჯარით ეთამაშა, მაგრამ "ზესტაფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** მათი გაშვება არ ისურვა.

*"გუშინ გიორგი ჭელიძე დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ ფიფიასგან განსხვავებით, მას "ბათუმში" თამაშზე თანხმობა უთხრეს. სამწუხაროდ, უკვე გვიანია. "ბათუმის" ხელმძღვანელობისგან ექვსი ფეხბურთელის დამატების უფლება მივიღეთ, ბაბუნაშვილი კი უკვე მეექვსეა. არადა, ჭელიძის აყვანა ძალიან მინდოდა, ვერ გამიგია, თუ უშვებდნენ, დროზე რატომ არ გამოუშვეს", - ამბობს ავთანდილ კუნჭულია.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# ჯერ ვალები და მერე კვირკველია

ყაზანის "რუბინში" გასულ თვეში გადასული **დავით კვირკველიას** განაცხადში შეყვანას რუსული კლუბი ვერაფრით ახერხებს. საქმე ისაა, რომ "რუბინს" თავისი ყოფილი ფეხბურთელის, ვინმე **ვიტალი ვოლკოვის** მიმართ აქვს დავალიანება და სანამ მას არ გაისტუმრებს, ფეხბურთელის დამატების ნებართვას ვერ მიიღებს რუსეთის საფეხბურთო კავშირიდან.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

# რომც გამომიძახონ, ბელფასტში მაინც არ ვითამაშებ

## არ მაქვს პრობლემა ნაკრებთან, პრობლემა მაქვს ხელმძღვანელობასთან



**მას შემდეგ, რაც გაღვივდა კონფლიქტი ჩვენი ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობასა და ზურაბ ხიზანიშვილს შორის, ბლექბერნელი მცველის საქმე პრემიერლიგაში აღმა წავიდა - ზურამ ახალი კონტრაქტი გააფორმა კლუბთან და ბოლო მატჩებში ისე ირჯება, ბრიტანული პრესისგან ქების მეტს არაფერს იმსახურებს.**

**ზურას გუშინ შევეხმიანეთ მანჩესტერში და მეტწილად ნაკრებზე ვესაუბრეთ.**

**- ხან ტრავმა, ხან სამატჩო განაცხადში არშეყვანა კონტრაქტის არგაგრძელების გამო, ხან კონკურენცია. ახლა კი ყველაფერი კარგად მიგდის და როგორ ფიქრობ, ყველა ბლექბერნული პრობლემა უკანაა მოტოვებული?**

- ბოლო მატჩებში მარკ ჰიუზი ჩემით კმაყოფილი იყო, "ბლექბერნსაც" ბოლო დროს კარგი შედეგები აქვს. ყოველივე ამით გახარებული ვარ, კარგა ხანია გადაბმულად ასე კარგად არ მითამაშია, მინდა ასე გავაგრძელო.

**- ნაკრებზეც ვთქვათ. წინა შესარჩევის ბოლო მატჩში ლიტვასთან სასტარტო თერთმეტეულში არ შეგიყვანეს და ამის შემდეგ თქვი, თუ ამის მიზეზს არ დამსახელებენ, კლაუს ტოპმიოლერის გწვრთნილ ნაკრებში აღარ ვითამაშებო. შემდეგ იყო ამხანაგური თამაში ლატვიასთან და საერთოდ არ გამოგიძახეს. მას შემდეგ არავინ შეგხმიანებია ფეხბურთის ფედერაციიდან ან ნაკრების სამწვრთნელო შტაბიდან?**

- არა, არავის არაფერი უთქვამს, უბრალოდ გავიგე, რომ 26 მარტს ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგური მატჩისთვის აპირებენ ჩემს გამოძახებას.

**- როცა ნაკრებს გაიოზ დარსაძე წვრთნიდა და შოთა არველაძეს არ იძახებდა, მერე ვითარება ისე შეიცვალა, რომ დარსაძემ არველაძე მაინც გამოიძახა, თუმცა შოთა მყის არ დაბრუნებულა ნაკრებში, მწვრთნელი ამას მასმედიის ზეწოლით აკეთებს და ასეთი გამოძახება არ მინდაო. ხომ არა არის იმის ალბათობა, რომ ხიზანიშვილი-ტოპმიოლერის შემთხვევაშიც ასე მოხდება?**

- დასამალი რა მაქვს და პირდაპირ ვიტყვი: გამომიძახებენ თუ არა ბელფასტში აუცილებლად ჩავალ ნაკრებთან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ვითამაშებ.

**- ეს როგორ უნდა გავიგოთ?**

- მე არ მაქვს პრობლემა საქართველოს ნაკრებთან, მე მაქვს პრობლემა ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობასთან.

**- ლიტვასტთან სასტარტოში რომ არ დაგაყენეს, ამაზე რამდენიმე ვერსია თუ ვარაუდი ითქვა, მათ შორის პოლიტიკურიც - შენ ხომ მემარჯვენეთა ლიდერის დავით გამყრელიძის ახლო ნათესავი ხარ. მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა და როგორ ფიქრობ, მაინც რატომ არ შეგიყვანეს თერთმეტ კაცში ლიტვასთან?**

- რაც დრო გადის, სულ ამაზე ვფიქრობ. განა რა მოხდებოდა, ლიტვასთან მატჩის შეკრებაზე დაეძახათ ჩემთვის და ეთქვათ, ამ შეხვედრაში შენ სათადარიგო იქნები, ასეთია მწვრთნელის გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში ჩემი წყენა ნაკრების შიდასამზარეულოში დარჩებოდა და საკითხიც უცბად მოგვარდებოდა.

**- და ახლა რა უდგას წინ პრობლემის მოგვარებას?**

- აღარ მინდოდა ამ თემაზე პრესაში საუბარი, მაგრამ როცა ნაკრების ხელმძღვანელებმა ჩემზე თქვეს, უდისციპლინოაო, თან გავბრაზდი და თან გამეცინა. "დანდი", "რეინჯერსი", "ბლექბერნი" - სადაც არ მითამაშია არავის უთქვამს ჩემზე, უდისციპლინოაო, არც ნაკრებში დამირღვევია დისციპლინა, უბრალოდ, ნაკრების ხელმძღვანელობამ არ იცის, რა თქვას.

ისე გამოყავთ ყველაფერი, თითქოს მე უნდა მოვიხადო ბოდიში, ნაკრებში რომ გამომიძახონ. ეს ბავშვურ ქცევას ჰგავს. რაც მართლა იყო, ის უნდა თქვან.

**- შენი პოზიცია და არგუმენტები გასაგებია, მაგრამ საქმე ეხება ეროვნულ ნაკრებს...**

- ბელფასტში რომ ჩავალ, თუ ვინმე ჩემთან დალაპარაკებას მოისურვებს, საამისოდ მზად ვიქნები. ძალიან მინდა მითხრან, რატომ არ შემიყვანეს ძირითადში ლიტვასთან. ძალიან მინდა ნაკრებში თამაში. ტოპმიოლერი ადრე თუ გვიან წავა საქართველოს ნაკრებიდან, მე კი ფეხბურთელობის შემდეგ საქართველოში ვაპირებ ცხოვრებას და არ მინდა, ვინმემ მითხრას, ნაკრებში თამაშზე უარს რატომ ამბობდიო.

**დავით თავართქილაძე**



ინტერვიუ ჯაბა კანკავასთან

# არ მეგონა, დინამო ასე თუ გვაჯობებდა

გასულ შაბათ-კვირას უკრაინის ჩემპიონატი განახლდა. დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" წევრთათვის მეორე წრის პირველი ტური მწარე გამოდგა. **ჯაბა კანკავამ** და მისმა თანაგუნდელებმა შინ კიევის "დინამოს" ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და 0:4 განადგურდნენ. კიეველებმა, რომლებმაც პირველი წრე არასახარბიელოდ ჩაატარეს, ამით "დნეპრთან" ჩამორჩენა ერთ ქულამდე შეამცირეს. სადღეისოდ, ჩემპიონატს დონეცკის "შახტიორი" ლიდერობს 44 ქულით. "დნეპრს" 43 ქულა აქვს, "დინამოსა" და ხარკოვის "მეტალისტს" - 42. აღსანიშნავია, რომ "შახტიორს" კონკურენტებზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

*"მე და ჩემს თანაგუნდელებს გვეგონა, რომ "დინამოს" დიდ წინააღმდეგობას გავუწევდით და გამარჯვებისთვის ვიბრძოლებდით, მაგრამ თამაში არ წაგვივიდა. ვაღიარებ, რომ კიეველებმა მთელი თავით გვაჯობეს. არ მეგონა, ასე თუ მოხდებოდა. ასეთი შედეგის მიუხედავად, მოდუნებას არ ვაპირებთ. ჩავარდნა ყველა გუნდს აქვს, მთავარია, შემდეგი შეხვედრა მაღალ დონეზე ჩავატაროთ. ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა და ვნახოთ, რა გამოგვივა", - უთხრა "ლელოს" კანკავამ.*

ჯაბას **სანდრო კობახიძეზეც** ვკითხეთ: *"ალბათ, სანდრო უახლოეს პერიოდში მთავარი გუნდის განაცხადში ვერ მოხვდება. იგი ჯერჯერობით, დუბლშემადგენლობაში ითამაშებს. თუმცა მწვრთნელები მისი მომზადების დონით კმაყოფილები არიან და შორს არაა ის დრო, როცა მასაც მიეცემა "დნეპრის" ძირითადში თავის გამოჩენის შანსი".*

კანკავამ ისიც გვითხრა, რომ "დინამოსთან" განადგურების მიუხედავად, "დნეპრის" ხელმძღვანელობა მთავარ მწვრთნელ **ოლეგ პროტასოვს** ძველებურად ენდობა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დავით დევდარიანთან

# მსმენია, ყიფიანს რომ მადარებენ, მაგრამ...

## ახალგაზრდულის ახალი კაცი?

**ტალანტების სიმრავლით დღეს არ ვართ განებივრებულნი.**

**"ოლიმპის" 20 წლის ნახევარმცველის, დავით დევდარიანის თამაშის მნახველი შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად შეამჩნევდა, ჭაბუკის ნიჭიერებასა და პოტენციალს. "დინამოსთან" მატჩში ხომ კარგად ითამაშა, მეთხუთმეტე ტურში "ბათუმთან" გამარჯვების გოლი გაიტანა.**

**დიდი შანსია, დევდარიანს 25 მარტს, ლატვიის წინააღმდეგ ახალგაზრდული ნაკრების რიგებში დებიუტი ჰქონდეს. ეს ფეხბურთელი თამაშის სტილით, პასითა და აზროვნებით სტაჟიან ქომაგს დათო ყიფიანს ახსენებს.**

- მეორე ტაიმი პირველზე უკეთესი იყო სანახაობრივადაც და დაძაბულობის თვალსაზრისითაც. "ბათუმმა" შესვენების შემდეგ უკეთ ითამაშა. სტუმრებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ქულა წაეღოთ, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლეთ და მნიშვნელოვანი გამარჯვება მივითვალეთ. კიდევ შეგვეძლო გოლის გატანა, მაგრამ მეტი ველარ შევძელით. მთავარია გავიმარჯვეთ და მეორე წრე მოგებათა სერიით დავიწყეთ.

**- "ოლიმპმა" შენ მიერ გატანილი ერთადერთი და ერთობ ლამაზი გოლის წყალობით მოიგო. წინა შეხვედრაში თბილისში, "დინამოსთანაც" ჩინებულად ითამაშე. აქამდე არ ჩანდი და შენი ასეთი მოულოდნელი გამონათება რით ავხსნათ?**

- ეს ალბათ, რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ამ კონტინგენტმა, მწვრთნელის ნდობამ, თანაგუნდელებმაც კარგად ამიბეს მხარი... ალბათ, ჩემი დროც მოვიდა.

**- იქნებ კიდევ ერთხელ გაიხსენო ბათუმელთა კარში გატანილი ეფექტური გოლი...**

- ბურთი რომ მივიღე ერთი მეურვე ჩამოვიცილე, კარისკენ გავიხედე და წამის მეასედებში გადავწყვიტე კარში დამერტყა. მართლაც ლამაზი გოლი გამოვიდა.

**- ვიცით, რომ "ოლიმპის" აღზრდილი ხარ და ერთი ხანობა ფრანგულ "დიუნკერკში" იყავი სანდრო გურულთან ერთად...**

- დიახ, ასეა, ჩემი მწვრთნელი გელა გომელაური იყო. ერთი სეზონის განმავლობაში "დიუნკერკში" ვასპარეზობდი სანდრო გურულთან ერთად. საფრანგეთში გატარებულ პერიოდს ახლაც კარგად ვიხსენებ. იმ პერიოდმა ძალზე ბევრი შემძინა.

**- როგორც ვიცი, "დიუნკერიდან" ზედა ლიგაში გადასვლის ვარიანტიც განიხილებოდა...**

- დიახ, მაგრამ შეთანხმება არ შედგა და სამშობლოში დავბრუნდი.

**- რომელ გუნდებზე იყო საუბარი?**

- უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებიდან იყო ინტერესი... ნუ მიწყენთ, მაგრამ გუნდებს ვერ დაგიკონკრეტებთ.

**- ვიცით, ერთ-ერთი "ჰავრის" ვარიანტი იყო...**

- დიახ, "ჰავრზეც" იყო საუბარი.

**- ... და "ბორდოც" ახსენეს?**

- არ ვიცი, შესაძლოა ასეც იყო, მაგრამ არ მსმენია.

**- 10 ნომრიანი მაისურა თავად აირჩიე?**

- დიახ.

**- რას ნიშნავს შენთვის 10 ნომერი? უბრალოდ ციფრია, ის ნომერია, რომელსაც ვარსკვლავები და ვარსკვლავობაზე პრეტენზიის მქონე ფეხბურთელები ირჩევენ, თუ...**

- 10 ნომერი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. უპირველესად კი ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა...

**- შენი თამაშის გამო თბილისელი სტაჟიანი ქომაგები რუსთავშიც ჩამოვიდნენ მატჩზე დასასწრებად. მათგან ერთ-ერთმა აღნიშნა – დევდარიანი კარგ მწვრთნელთან თუ კარგა ხანს იქნება, ახალი დავით ყიფიანი გვეყოლებაო...**

- ეს მეც მსმენია, მაგრამ ამაზე ჯერ ადრეა საუბარი...

**- დავით ყიფიანის თამაში ვიდეოფირზე მაინც თუ გინახავს?**

- დიახ, ფირზე მინახავს, თანაც არაერთხელ და ჩემი კერპია.

**- მემარჯვენე ხარ, მაგრამ ცაციასაც კარგად ხმარობ?...**

- არ მინდა მხოლოდ ერთი ფეხით ვთამაშობდე და ამაზე ადრევე დავიწყე ვარჯიში. ვფიქრობ მარცხენა ფეხს ურიგოდ არ ვხმარობ.

**- ნიჭიერი ახალგაზრდები უცხოეთში წასვლაზე ადრევე ფიქრობენ. შენი აზრი მაინტერესებს...**

- მინიმუმ მიმდინარე სეზონს აქ ჩავამთავრებ, მერე კი ვნახოთ.

**- ხომ არ სჯობს, ჯერ ეროვნულ ჩემპიონატში წარმოჩნდე, დაიხვეწო, მომაგრდე და მერე იფიქრო უკეთეს ლიგასა და გუნდში ძალების მოსინჯვაზე?**

- არ ვიცი... ალბათ ეგრე აჯობებს, ვნახოთ.

**- თბილისის "დინამოსთან" მოგებული თამაშის შემდეგ, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი გესაუბრა...**

- დიახ, ჩემს დადებით და უარყოფით მხარეებზე მესაუბრა. პლუსიც მითხრა და ნაკლზეც მიმითითა.

**- 25 მარტს ჩვენი 21-წლამდელთა ნაკრები ლატვიას ამხანაგურ მატჩში უმასპინძლებს. ჩვენი ინფორმაციით, დიდი შანსია ამ თამაშისთვის ახალგაზრდულში გამოგიძახონ...**

- იმედია ასე იქნება. ნაკრებში გამოძახება უზომოდ გამახარებს.

**- დაბოლოს, "ლელომ" გასული ტურის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელად დაგასახელა. შენთვის ეს რას ნიშნავს?**

- ეს ჩემთვის დიდი პატივია, გახარებული და ბედნიერი ვარ. თუმცა ვთვლი, რომ ფეხბურთში ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია. კიდევ ბევრი მაქვს სამუშაო და დასახვეწი. ყველანაირად ვეცდები, მომდევნო მატჩებშიც მივიპყრო პრესის, მწვრთნელებისა და ფეხბურთის სპეციალისტების ყურადღება... და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი გულშემატკივარი გავახარო.

**დავით ცაბაძე**







ირაკლი გეფერიძე (10) და გედეონ დარასელია

# ნაციონალური საკითხი რუსეთში: დარასელია პასპორტმა გაწირა

## საქართველოს მოქალაქეობას რუსეთისაზე არასდროს გავცვლი!

**გედევან დარასელია მოსკოვის "ტორპედოს" თურქულ შეკრებაზე დიდი იმედებით გაყვა, მაგრამ უიმედოდ გულდაწყვეტილი დაბრუნდა.**

**19 წლის ნიჭიერი ქართველი მცველის იმედები, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვდებოდა, არ გამართლდა. მან რამდენიმე შეხვედრა ძირითადში კი ჩაატარა, მაგრამ ვითარება საბოლოოდ შეიცვალა. რა მოხდა, ამის შესახებ გუშინ თავად გვესაუბრა.**

**- გედევან, ძირითადში მოხვედრის შანსი რომ გქონდა, ამაზე "ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი რავილ საბიტოვი საუბრობდა, ახალგაზრდების დაწინაურება მსურსო და შენი გვარიც ახსენა. თურქეთში რა შეიცვალა?**

- ნამდვილად მეგონა, რომ შანსი მქონდა. თურქეთში გამგზავრებამდე, მოსკოვში ორ საკონტროლო შეხვედრაშიც ვითამაშე. მთავარმა მწვრთნელმა ჯერ ირკუტსკის "ზვეზდასთან" (2:2) მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე მათამაშა. "სპორტაკადემკლუბთან" (0:0) კი ჩემს პოზიციაზე, მარცხენა მცველად დამაყენა. ამის შემდეგ ძალიან შემაქო. დატვირთვებს უკვე იოლად ვუძლებდი, კარგ ფორმაში ვიყავი და მეგონა, ყველაფერი კარგად მიდიოდა.

საბიტოვმა ძირითად გუნდთან ერთად, თურქეთში წამიყვანა და მითხრა, შენით ხელმძღვანელობა კმაყოფილი ვართ, დიდი იმედებს ვამყარებთ და აბა შენ იციო.

თურქეთში ასეთი დაიმედებული წავედი და ძალიანაც შევცდი, მხოლოდ ერთხელ მათამაშა. ეს გამიკვირდა. სამწუხაროდ, რუსეთის პირველ ლიგაში მკაცრი ლიმიტი დააწესეს - გუნდს მხოლოდ 6 ლეგიონერი შეიძლება ჰყავდეს, ერთდროულად თამაში კი მხოლოდ სამს შეუძლია. ამ შეზღუდვებმა და კიდევ რუსულმა ფაქტორებმა პრობლემა შემიქმნა.

საბიტოვმა ერთიც გაითვალისწინა, მეორეც და ჩემს პოზიციაზე რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი აიყვანა. არ ვიტყვი, რომ ცუდი ფეხბურთელია, პირიქით, ძალიან კარგი ბავშვია, მაგრამ გუნდში ყველა მეუბნებოდა, რომ მე გაცილებით უკეთესად ვთამაშობდი, საბიტოვი კი ძირითადში მაინც მას აყენებდა. იმიტომ, რომ რუსულ ფეხბურთს ასე სჭირდება. ვერც ვამტყუნებ, ქართველებიც ასე არ ვართ? ჩვენიანის "გაქაჩვა" გვიყვარს. თუმცა ჩემთვის ეს დიდი სტიმულია, ისე უნდა ვიშრომო, კონკურენტს ორი თავით რომ ვაჯობო.

**- პორტუგალიურ შეკრებაზე ამიტომ არ გაჰყევი გუნდს?**

- თურქულ შეკრებაზე საბიტოვმა მხოლოდ ერთხელ მათამაშა და პორტუგალიაში წასვლას აზრი აღარ ჰქონდა, ყველაფერს მივხვდი.

"ტორპედოს" ხელმძღვანელობას ვთხოვე, რომ იჯარით სხვა გუნდში გავეშვი, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. ძირითადში უნდა გქონდეს რამდენიმე შეხვედრა ჩატარებული, დუბლებიდან ვერავინ გაგიცნობს. არადა, ვგრძნობ, რომ შემიძლია თამაში და კარგ ფორმაში ვარ. აქ დარჩენა აღარ მსურს, საბიტოვმა თავის ხალხი მოიყვანა, რაც რუსეთში წესია.

**- ამ პრობლემას ქართველთა ნაწილი იოლად აგვარებს - რუსეთის მოქალაქეობას იღებს. აგერ გვაზავა სულ სკამზე იჯდა, მხოლოდ შეცვლებზე ათამაშებდნენ, მაგრამ მოქალაქეობა მიიღო და ძირითადის შეუცვლელი წევრია. ამგვარ გამოსავალზე შენც ხომ არ ფიქრობ?**

- ამგვარ ვარიანტს სიამოვნებით დავთანხმდებოდი, მაგრამ როგორც ვიცი, რუსეთთან ორმაგი მოქალაქეობა არ კეთდება, მხოლოდ რუსეთის პასპორტზე კი არაფრის დიდებით არ დავთანხმდები.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში ჯერ არ გიწვევენ და რა გაფერხებს?**

- მერე იმედიც გადავიწურო? იქნებ, ახალგაზრდულის მწვრთნელს ვილაცამ უთხრას, რომ რუსეთში ასეთი ფეხბურთელი თამაშობს. ადრე თუ გვიან ან "ტორპედოში", ან სხვა გუნდის ძირითადში ვითამაშებ და ჩვენი ნაკრების მწვრთნელს დავაინტერესებ. მეორეცაა, რუსეთის ნაკრებში არასდროს ვითამაშებ, თორემ, შეთავაზება მქონდა, მიიღე მოქალაქეობა და ხელ-ფეხი გაგეხსნებაო.

**- "ტორპედოს" დუბლებში გვარით ქართველები, აფხაზავა და კორტავა თამაშობენ. რა იცი მათზე, საქართველოდან წასულები არიან თუ რუსეთში გაზარდეს?**

- დუბლებში წელს გადმოიყვანეს, შარშან კი, როგორც ვიცი, მოზარდთა ტურნირებში მონაწილეობდნენ. ორივე თავდამსხმელია, ორივე 1990 წელსაა დაბადებული. კორტავა აფხაზია, აფხაზავა კი ქართველი. ეს ბიჭები რუსეთში გაიზარდნენ და ძალიან პერსპექტიულები არიან, თუმცა პირველი გუნდისთვის ჯერ პატარები არიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ბომონდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ აღინიშნა კალაძის დაბადების დღე მილანში



კახას დაბადების დღე გრიგორი სურკისმა ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა



კახას სტუმრები: რუსლანა მოროზი (უკრაინის პარლამენტის ყოფილი სპიკერის ქალიშვილი) და დავით სარია



ბიზნესმენ გაბორიჩის საჩუქარი, ახალთახალი როლს როისი

ძნელად, თუ რამე რჩება სამუდამო საიდუმლოდ და, ბუნებრივია, **კახა კალაძის** ნახევარმილიონიანი საჩუქრის ამბავიც გაირკვა. უკრაინულმა გამოცემა tabloID-მა გაარკვია, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანს 30 წლის იუბილეზე ახალთახალი "როლს როის ფანტომი" უკრაინელმა ბიზნესმენმა **იული გაბოვიჩმა** აჩუქა. ეს ლიმუზინი თითქმის სამი ტონაა. მიუხედავად ამისა, მანქანა 6 წამში 100 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს. ასე რომ, კახას "ბენტლიდან" "როლს როისზე" მოუწევს გადაჯდომა.

როგორც იცით, კალაძე 27 თებერვალს 30 წლისა შესრულდა. მან იუბილე მოდის დედაქალაქად წოდებულ მილანში გადაიხადა. მდიდრულ საღამოზე ქართველ ფეხბურთელს ნათესავები, მეგობრები, უკრაინული და ქართული სპორტული, პოლიტიკური და ბიზნესელიტის წარმომადგენლები ეწვივნენ. კახამ სტუმრებს საკუთარ რესტორან "ჯანინოში" უმასპინძლა.

*"აქაური ღვინო ფართო მასებისთვის არ არის გათვლილი. მე მას მხოლოდ მეგობრებისა და სტუმრებისთვის ვუკვეთავ. სტუმართმასპინძლობა კარგი რამაა და იტალიაში ამას განსაკუთრებულ პატივს სცემენ, განსხვავებით დანარჩენი ევროპისაგან"* - განაცხადა ჩვენებურმა "გაზეტა პა კიევსკისთან" ინტერვიუში.

კახამ ჟურნალისტებს ისიც აუხსნა, რომ ბიზნესი მხოლოდ იტალიაში არ აქვს და რომ ახლახან, საქართველოში ბანკის გახსნის ლიცენზია მიიღო. უკრაინის დედაქალაქში კი სასტუმრო "ხრეშატიკითა" და რამდენიმე ოფისითაა დაინტერესებული. მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, უახლოეს ხანებში თავისი სახელობის ოდეკოლონი გამოუშვას. მას მეგობრები ჰყავს განთქმულ სამოდელო სახლებში - "არმანისა" და "დოლჩე და გაბანაში". ეს საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რათა ბრენდი K (კალაძის აბრევიატურა) ამ ბაზარზე დამკვიდრდეს და კახა უკვე ამაზეც მუშაობს.

კალაძემ კიდევ ერთხელ უარყო, რომ "მილანის" ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** ქალიშვილთან რომანი აქვს. თურმე, ოჯახის შექმნაზე ჯერ არ ფიქრობს...

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



უკრაინის ერთ-ერთი მსხვილი ბიზნესმენი დავით ჟვანია



ალექსანდრ შოვკოვსკი და ოლგა ალიონოვა

საკლუბო რეიტინგი

# დინამო 303-ეა

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ ახალი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. ერთადერთი ქართული კლუბი, რომელიც სიაში მოხვდა, თბილისის "დინამოა". წინა თვეში დედაქალაქური კლუბი 304-ე პოზიციაზე იყო, ახლა კი 303-ეზეა. "დინამო" ამ საფეხურს რამდენიმე კლუბთან ერთად იყოფს, მათ შორის ინგლისურ "ნიუკასლსა" და ესპანურ "ბეტისთან".

| საუკეთესო ათეული |
|---|
| 1. ჩელსი (ინგლისი) |
| 2. მილანი (იტალია) |
| 3. სევილია (ესპანეთი) |
| 4. მანჩესტერი (ინგლისი) |
| 5. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) |
| 6. რომა (იტალია) |
| 7. ბარსელონა (ესპანეთი) |
| 8. ინტერი (იტალია) |
| 9. ლივერპული (ინგლისი) |
| 10. არსენალი (ინგლისი) |

# შვიდი ქართველი ანჟიში



გოჩა ხოჯავა

მახაჭყალური კლუბის შემადგენლობაში უკვე შვიდი ქართველი ფეხბურთელია. ამჟამად "ანჟი" თურქულ შეკრებაზეა, სადაც ბოლო საკონტროლო მატჩი **ომარ თეთრაძის** გუნდმა რუსული "სალიუტ ენერგიას" წინააღმდეგ ჩაატარა. "ანჟიმ" 3:2 გაიმარჯვა, ერთი გოლი **გოჩა ხოჯავას** ანგარიშზეა.

ხოჯავა და **მიხეილ აშვეთია** შეცვლაზე შევიდნენ, ძირითად შემადგენლობაში კი **ვალერი აბრამიძემ, გიორგი ნავალოვსკიმ, ზურაბ არზიანმა, რევაზ ჯიქიამ** და **რევაზ ბარაბაძემ** ითამაშეს. ბოლო შეკრებას "ანჟი" 10-დან 20 მარტამდე კისლოვოდსკში გაივლის.

**ლევან ჯანეზაშვილი**



მალხაზ ასათიანი

# ასათიანი სუპერთასამდე დაისვენებს

## რახიმოვი თვლის, რომ მუჯირს ახალ გუნდში ადაპტაცია არ გასჭირვებია

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის" მცველმა **მალხაზ ასათიანმა** ტრავმის შემდეგ დღემდე ვერ მოახერხა თამაში. ახლა კი მას იძულებითი შვებულების გაგრძელება მოუწევს. რუსული წყაროების ცნობით, ასათიანი "ლოკომოტივის" გუშინდელ წვრთნას ნაადრევად გამოეთიშა. თუმცა, როგორც ირკვეა სერიოზული არაფერია.

*"ასათიანი წელის ტკივილმა შეაწუხა და ნაადრევად მოუწია ვარჯიშის შეწყვეტა. ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ ეს აწუხებდა და ამიტომაც შევთანხმდით, როგორც კი ტკივილს იგრძნობდა, უმალ შეეწყვიტა ვარჯიში. მალხაზი ასეც მოიქცა. როგორც ირკვევა საგანგაშო არაფერია. ვიმედოვნებთ, რომ 9 მარტს, "ზენიტთან" სუპერთასის მატჩში ასათიანი თამაშს შეძლებს"*, - ვებგვერდ sports.ru-სთან ინტერვიუში აღნიშნა მოსკოვის "ლოკომოტივის" თავკაცმა რაშიდ რახიმოვმა.

იმავე ინტერვიუში რკინიგზელთა მწვრთნელს ახალწვეულ დავით მუჯირზეც დაეკითხნენ. რახიმოვი თვლის, რომ მუჯირს ახალ გუნდში ადაპტაცია არ გასჭირვებია.

**დავით ცაბაძე**

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

# ლიგა ახალ ჩემპიონს ელოდება

## სერ ალექსი მზადაა, მეოთხედფინალში ინგლისურ კლუბს შეხვდეს



ფაბრეგასმა პირველი მილოცვა ვენგერისგან მიიღო

**მილანი–არსენალი 0:2 (0:0)**

**მილანი:** კალაჩი, ოდო, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, პატო, ინძაგი (69. ჯილარდინო).

**არსენალი:** ალმუნია, სანია, სენდეროსი, გალასი, კლიში, ებუე (71. უოლკოტი), ფაბრეგასი, დიაბი, ფლამინი, გლები (90. ჟილბერტო სილვა), ადებაიორი.

**გოლები:** 0:1 ფაბრეგასი (84), 0:2 ადებაიორი (90)

**მაყურებელი:** 81 879

**არბიტრი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

ჩემპიონთა ლიგას ახალი გამარჯვებული ეყოლება. ევროპის ჩემპიონებმა რეგალიები ჩამოიხსნეს. "არსენალმა" "მილანი" მატჩის მიწურულს გატანილი ორი გოლით დაამარცხა. თამაშის შემდეგ "როსონერის" თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** თქვა, სინანულის გრძნობა სულაც არ მეუფლება, სინანული მაშინ ჩნდება, როცა უფრო მეტის გაკეთება შეგიძლია და არ გამოგდის. დღეს ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი ვაჩვენეთ. მეტოქე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, რას ვიზამთ, ცხოვრება გრძელდებაო.

გამარჯვებით ფრთაშესხმულმა **არსენ ვენგერმა** განაცხადა, ჩვენი გუნდი მზადაა, თასისთვის იბრძოლოსო. მოსიე არსენმა "მეთოფეები" 2006 წლის ფინალში გაიყვანა და "ბარსელონასთან" წააგო. მას ტურნირის ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჰყავს, მაგრამ "არსენალს" გრანდებთან ბრძოლა კარგად გამოსდის. ეს სამშაბათ საღამოს, "სან სიროზეც" დამტკიცდა. "არსენალი" პირველი ინგლისური კლუბი აღმოჩნდა, რომელმაც "მილანს" მისსავე სტადიონზე მოუგო.

თამაშის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე **ფრანსესკ ფაბრეგასმა** დაახლოებით 30 მეტრიდან საუცხოო გოლი შეაგდო. დარჩენილ დროში მასპინძლებს ორი გოლი სჭირდებოდათ, რომ არ გავარდნილიყვნენ. "მილანი" ისე სუსტად თამაშობდა, რომ ექვს წუთში ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. **ემანუელ ადებაიორმა** მატჩს დამატებულ დროში დაუსვა წერტილი. "არსენალმა" დამსახურებულად გაიმარჯვა. ის პირველი თამაშის მოგებასაც იმსახურებდა, მაგრამ ადებაიორმა დიდებული მომენტი ვერ გამოიყენა. სამშაბათს მომენტების რეალიზაციის მაჩვენებელი უკეთესი იყო.

"არსენალმა" აქტიურად დაიწყო. ვენგერმა შეგირდებს მაღალ ტემპში თამაში დაავალა. ისინი მასპინძლებს სისწრაფეში ჯობდნენ. ტემპის დაგდება მილანელებს აწყობდათ. პირველი მომენტი "როსონერიმ" შექმნა. კუთხურის გათამაშებისას **პაოლო მალდინიმ** ბურთი ახლო კუთხეში გაგზავნა. ფაბრეგასმა ის კარის ხაზიდან გამოიტანა. "არსენალის" რამდენიმე იერიშის შემდეგ, კაკამ ბურთი მარცხენა ფლანგზე წაიღო და საჯარიმოში შორეულ ძელთან ჩააწოდა. **ალეშანდრე პატოს** უკეთ თამაში მართებდა. მისი დარტყმული **მანუელ ალმუნიას** მოხვდა.

27-ე წუთზე ადებაიორმა შეუტია. ის საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა და 12 იარდიდან ძლიერად დასცხო. **ჟელკო კალაჩმა** ბურთი კუთხურზე მოიგერია. მომდევნო იერიშისას **ალესანდრო ნესტამ ალექსანდ გლები** საჯარიმოს კიდესთან წააქცია. ავსტრიელმა მსაჯმა კონრად პლაუტცმა "არსენალის" ნახევარმცველი სიმულაციისთვის გააფრთხილა.

სტუმართა მომდევნო იერიში უფრო მწვავე აღმოჩნდა. ადებაიორმა ფაბრეგასს გაუკეთა პასი. ესპანელმა ნახევარმცველმა ბურთი გაისწორა და ძლიერად დაარტყა. ის ხარიხას მოხვდა. ტაიმი "არსენალის" უპირატესობით დასრულდა. "მეთოფეებმა" შესვენების შემდეგაც სწრაფ ტემპში გააგრძელეს. მარცხენა ფლანგიდან გაკეთებული პასი შორეულ ძელთან, **ფილიპ სენდეროსს** მიუვიდა. კალაჩმა საიმედოდ ითამაშა. მოწოდების სიმაღლზე აღმოჩნდა მისი კოლეგაც. ალმუნიამ ანდრეა პირლოს სახიფათო საჯარიმო მოიგერია.

ვენგერმა **თეო უოლკოტი** გამოიყვანა. ინგლისელმა თავდამსხმელმა **ემანუელ ებუე** შეცვალა. უოლკოტმა ბურთთან პირველივე შეხებით ადებაიორი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. ტოგოელის დარტყმა კარის ხაზიდან გამოიტანეს.

თამაში დამატებითი დროისკენ მიდიოდა. ფაბრეგასმა გოლი არაფრიდან გამოაცხო. ესპანელმა ნახევარმცველმა **ჯენარო გატუზოს** გვერდი აუარა და ძლიერად დაარტყა. კალაჩი ბურთს ვერ მისწვდა. ის მარჯვენა დაბალ კუთხეში შევარდა. თამაშის მიწურულს უოლკოტმა მარჯვენა ფლანგზე **კახა კალაძე** მოატყუა და მეტოქის კარის გასწვრივ ჩააწოდა. ადებაიორი უმეთვალყურეოდ დატოვეს. მან ბურთს ფეხი წაჰკრა და ერთი შეხებით ჩემპიონთა ლიგაში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

**მანჩესტერ იუნ.–ლიონი 1:0 (1:1)**

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ფლეტჩერი, ქერიკი, ანდერსონი (70. ტევესი), კრისტიანო რონალდო (90. ჰარგრივსი), რუნი, ნანი.

**ლიონი:** კუპე, კლერი, სკილაჩი, კრისი, გროსო, კალსტრიომი (79. ფრედი), ტულალანი, ჟუნინიო, ბენ არფა, გოვუ (68. კეიტა), ბენზემა.

**გოლი:** 1:0 კრისტიანო რონალდო (41)

**მაყურებელი:** 75 521

**არბიტრი:** რობერტო როზეტი (იტალია)

"მანჩესტერ იუნაიტედში" ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მე-10 საშინაო მატჩი მოიგო. ის ტურნირის თანარეკორდსმენი გახდა. საკუთარ მოედანზე ზედიზედ 10-ჯერ ტურინის "იუვენტუსმაც" გაიმარჯვა. "ქალბატონმა" ეს 11 წლის წინათ, 1997 წელს მოახერხა. მეოთხედფინალში "იუნაიტედს" ერთპიროვნული რეკორდის დამყარება შეუძლია. **სერ ალექს ფერგიუსონმა** შეგირდების წარმატებას ჯეროვანი პატივი მიაგო: *"რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. ფეხბურთელებმა ბევრი იშრომეს, ამ შედეგისთვის რომ მიეღწიათ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალმა მოედანმაც ძალიან შეგვიწყო ხელი. "იუნაიტედი" ძალიან ძლიერია. მის სიძლიერეს ნახევარდაცვით გავზომავდი. ის თითქმის ყველა მატჩში იცვლება. ამის მიუხედავად, გუნდი სტაბილურად ასპარეზობს. ასოციაციის თასზე, მომდევნო შეხვედრაში, მოედნის ცენტრში სხვა მოთამაშეებს იხილავთ."*

"მანჩესტერისა" და "ლიონის" დაპირისპირებამ ულიმღამო ორთაბრძოლაში ჩაიარა. "ეშმაკებმა" აუღელვებლად გააღწიეს მომდევნო ეტაპზე. საფრანგეთის ჩემპიონებმა, თითქოს, პირველი წუთიდან იცოდნენ, რომ უნდა წაეგოთ. თამაშზე სასაუბრო თითქმის არაფერია. ამიტომ კიდევ ერთ საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით. **კრისტიანო რონალდომ** სეზონის 30-ე მატჩში 30-ე გოლი გაიტანა. მან მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა. "მანჩესტერ იუნაიტედის" ისტორიაში, ერთი სეზონის განმავლობაში გოლების რეკორდი **ჯორჯ ბესტს** ეკუთვნის. ლეგენდარულმა ჩრდილოირლანდიელმა 1967-68 წლების სეზონში 32 გოლი მიითვალა. რონალდოს მისი მიღწევისგან ორი გოლიღა აშორებს. პორტუგალიელ ვარსკვლავს სულ ადვილად შეუძლია ისტორიული შედეგის დაფიქსირება. ის ხომ კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს. კრისტიანო "მანჩესტერის" ნამდვილი ლიდერია.

"იუნაიტედის" მეკარეს, **ედვინ ვან დერ სარს** საქმე, ფაქტობრივად, არ ჰქონია. მის კარს მხოლოდ ერთხელ დაემუქრნენ. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა თავდამსხმელმა **კადერ კეიტამ** ბურთი ახლო ძელს გაარტყა. ინგლისელმა მიმომხილველებმა თამაშის დასრულებისთანავე 1999 წელი გაიხსენეს. მაშინაც და ახლაც "იუნაიტედი" სამ ფრონტზე იბრძვის. ჩემპმიონთა ლიგის გარდა, მას ინგლისის ჩემპიონატისა და ასოციაციის თასის მოგება შეუძლია. ცხრა წლის წინათ "მანჩესტერმა" სამივე ტიტული მოიგო. ცხრა წლის შემდეგ გუნდს წინ დიდი ბრძოლები ელის.

სერ ალექსი მზადაა, მეოთხედფინალში ინგლისურ კლუბს შეხვდეს: *"ჩემი აზრით, "ჩელსის" მეოთხედფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს (ამ თამაშის ანგარიშის ნახვა ამავე ნომერში შეგიძლიათ). თუ "ლივერპულიც" გავა, 40-პროცენტიანია ალბათობა, რომ მომდევნო ეტაპზე რომელიმე მათგანი, ან "არსენალი" შეგვხვდება. სიმართლე გითხრათ, მეტოქეს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. რა მნიშვნელობა აქვს, ვის ეთამაშები. ადვილი თამაშები აღარ იქნება. მეოთხედფინალში მხოლოდ ძლიერები იყრიან თავს. ვნახოთ, ვინ შეგვხვდება. მთავარი ისაა, რომ ჩვენ უკვე მეოთხედფინალში ვართ."*

**ბარსელონა–სელტიკი 1:0 (3:2)**

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, ტურამი, პუიოლი, სილვინიო, ჩავი (82. გუდიონსენი), იაია ტურე (68. ედმილსონი), დეკუ, რონალდინიო, მესი (38. ანრი), ეტო'ო.

**სელტიკი:** ბორუცი, უილსონი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, ბრაუნი, ჰარტლი (78. მაკდონალდი), დონატი (46. სნო), მაკგიდი, ვენეგოორი (55. სამარასი).

**გოლი:** 1:0 ჩავი (3)

**მაყურებელი:** 75 002

**არბიტრი:** პიტერ ვინკი (ჰოლანდია)

კატალონიელებს გლაზგოელთა დამარცხება ძვირად დაუჯდათ. **ლიონელ მესიმ** მძიმე ტრავმა მიიღო. ის ექვსი კვირით ჩამოშორდა მინდორს. ახალგაზრდა არგენტინელის ამბავს ცალკე სტატიაში წაიკითხავთ. აქ "სელტიკთან" განმეორებითი მატჩის პერიპეტიებს შევეხებით.

**ჩავი ერნანდესმა** ანგარიში მესამე წუთზე გახსნა. გოლი დახვეწილი კომბინაციის შედეგი იყო. ის რონალდინიომ წამოიწყო. ბრაზილიელი საჯარიმოს კიდესთან იდგა. ერთ მხარეს გაიხედა, ბურთი კი მეორე მხარეს სილვინიოს გადააწოდა. **სილვინიომ** მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთს ჩავი დაეუფლა და სტუმართა მეკარეს, **არტურ ბორუცს** თავზე გადაუგდო. ერნანდესმა ბოლო შვიდ შეხვედრაში მეხუთე გოლი მიითვალა. დაგვეთანხმებით, ნახევარმცველისთვის საუცხოო შედეგია. ორი მატჩის ჯამში "ბარსელონა" 4:2 დაწინაურდა. სტუმრებს გამარჯვებისთვის სამი გოლი სჭირდებოდათ - სამი გოლი "კამპ ნოუზე". ცხადი იყო, რომ მასპინძლები ამხელა უპირატესობას არ დათმობდნენ.

"ბარსელონას" იერიშები არ შეუწყვეტია. **სამუელ ეტოომ** და **რონალდინიომ** ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. შესვენებამდე "სელტიკმა" ერთი ხეირიანი კომბინაციაც ვერ გაითამაშა. მეორე ტაიმში სტუმრები უფრო გააქტიურდნენ. მათ დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ.

55-ე წუთზე **გორდონ სტრაჩანმა იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი** გაიყვანა. ჰოლანდიელი თავდამსხმელი სუსტად ასპარეზობდა. მისი ადგილი **გეორგიოს სამარასმა** დაიკავა. პირველი შეტევისას ბერძენი ფორვარდი **ლილიან ტურამს** დაუსხლტა. **კარლოს პუიოლმა** თანაგუნდელი დროულად დააზღვია. კაპიტანმა შაბათის შეცდომები ნაწილობრივ გამოისყიდა - პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში "ბარსელონამ" "ატლეტიკოსთან" 2:4 წააგო (კატალონიელთა პირველი მარცხი ამ სეზონში).

მასპინძლებს იერიშები არ შეუწყვეტიათ. "სელტიკის" მცველებსა და მეკარეს საქმე თავზე საყრელად ჰქონდათ. მე-60 წუთზე **დეკუ სოუზამ** 20 მეტრიდან დაბალ კუთხეში დასცხო. ბორუცი გადახტა და ბურთი კუთხურზე გადააგდო. 72-ე წუთზე ეტოო დასარტყამ პოზიციაზე გაიყვანეს, მაგრამ მან ბურთი კარში ვერ მოახვედრა. ამას მესის დაშავება მოჰყვა. ბარსელონელი ვუნდერკინდი მინიმუმ პირველ მეოთხედფინალურ მატჩს გამოტოვებს.

**სევილია–ფენერ. 3:2 პენ. 2:3 (2:3)**

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვეში, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ადრიანო კორეია, ნავასი (105. კონე), პოულსენი (90. მარესკა), კეიტა, კაპელი, ლუიშ ფაბიანო (78. რენატო), კანუტე.

**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, გოხანი, ლუგანო, ედუ, ვედერსონი, დეივიდი, სელჯუკი (63. სემიჰი), აურელიო, უგური (112. ქაზიმი), ალექსი (113. ბილგინი), კეჟმანი.

**გოლები:** 1:0 დანიელ ალვეში (5), 2:0 კეიტა (9), 2:1 დეივიდი (20), 3:1 კანუტე (41), 3:2 დეივიდი (79)

**პენალტები:** 1:0 კანუტე, 1:1 ვედერსონი, 1:1 ესკუდე (მეკარე), 1:1 ედუ (მეკარე), 2:1 დრაგუტინოვიჩი, 2:2 აურელიო, 2:2 მარესკა (მეკარე), 2:3 კეჟმანი, 2:3 დანიელ ალვეში.

**მაყურებელი:** 38 626

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

ერთი წლის წინათ ანდალუსიელებმა უეფას თასის ფინალში პენალტებით გაიმარჯვეს. მათ "ესპანიოლს" სძლიეს. სევილიელთა მეკარემ **ანდრეს პალოპმა** სამი 11-მეტრიანი მოიგერია. სამშაბათის სერიას სხვა გმირი ჰყავდა - "ფენერბაჰჩესა" და თურქეთის ნაკრების კარის დარაჯი **ვოლქან დემირელი**. მანაც სამი პენალტი აილო და ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველად "ფენერი" მეოთხედფინალში გაიყვანა. სევილიელთა ორწლიან ტრიუმფს წერტილი დაესვა. გუნდი ამ სეზონს უტიტულოდ დაასრულებს. ის ესპანეთის თასს დიდი ხნის წინათ გამოეთიშა, პრიმერა დივიზიონში კი მეშვიდე ადგილი უკავია და "რეალისგან" 20 ქულა ჰყოფს. **მანოლო ხიმენესის** შეგირდებს მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება შეუძლიათ.

სევილიელებმა მატჩი შთამბეჭდავად დაიწყეს. მე-10 წუთისთვის ისინი უკვე 2:0-ს იგებდნენ. **დანიელ ალვეშმა** ანგარიში მე-5 წუთზე გახსნა. ბრაზილიელმა 25 მეტრიდან დარტყმული საჯარიმო შეაგდო, მაგრამ ვოლქანი რომ არა, ვერას გახდებოდა. ოთხ წუთში **სეიდუ კეიტამ** მეორედ აილო თურქების კარი. თავდამსხმელმა ამჯერადაც შორიდან დაარტყა. ეს გოლიც ვოლქანის უხეირობის შედეგი იყო.

მე-20 წუთზე სევილიელთა კარში კუთხური დაინიშნა. **ალექსის** ჩამოწოდებულ ბურთს **დეივიდი** გამოეხმაურა და სხვაობა შეამცირა. "ფენერბაჰჩეს" ძალიან აკლდა დაცვის ლიდერი **რობერტო კარლოსი**. მეორე ტაიმის მესამე წუთზე ფრედრიკ კანუტემ მესამედ აილო სტუმრების კარი. მან ბურთი მეტოქის საჯარიმოში, მკერდით მიიღო და მიწაზე დაუშვებლად დაარტყა. ბურთი თურქ მცველს ფეხში მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და დაბალ კუთხეში მოკალათდა.

"ფენერბაჰჩეს" ერთი გოლი სჭირდებოდა, რათა თამაში დამატებით დროში გადასულიყო. 63-ე წუთზე მოედანზე გამოვიდა **სემი სენთურქი**. ამ ბიჭმა სტამბოლური მატჩის მიწურულს გამარჯვების გოლი გაიტანა. თურქებმა მიზანს მიაღწიეს. მათ გაიტანეს მეორე გოლი, მაგრამ ეს არა სენთურქმა, არამედ დეივიდმა გააკეთა. 79-ე წუთზე ბრაზილიელმა დუბლი შეასრულა: მისი პირველი დარტყმა ძელმა აისხლიტა. დეივიდი ბურთთან პირველი გაჩნდა და მეორე ცდაზე შეაგდო. დამატებით დროში საინტერესო არაფერი მომხდარა. პენალტების სერიაში ვოლქანმა **ჟულიენ ესკუდე, ენცო მარესკა** და **დანიელ ალვეში** გააწბილა.




ლიონელებმა კრისტიანო რონალდოს ხელი ვერ შეუშალეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



მილანი

# ანჩელოტი რჩება?

## მილანს გადაწყვეტილი აქვს: დროგბა!

"მილანი" ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირს ახალი გამარჯვებული ეყოლება. საფეხბურთო სამყაროში იმხელა კონკურენციაა, ყოველ სეზონში ჩემპიონთა ლიგას ვერ მოიგებ, თუმცა "როსონერის" გაცილებით მეტი ამბიცია უნდა ჰქონოდა, ვიდრე მერვედფინალში გასვლა იყო. შესაბამისად, "არსენალთან" გუშინწინდელი მარცხი ერთმნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს, როგორც ფიასკო, მიუხედავად, **არსენ ვენგერის** გუნდისადმი მრავალთა მხრიდან უდიდესი პატივისცემისა...

აქედან გამომდინარე, **კარლო ანჩელოტის** ამოცანები იცვლება. ამ სეზონში გუნდი უტიტულოდ რჩება. ახლა, "როსონერის" მთავარი მიზანი სერია A-ს ოთხეულში მოხვედრაა, რათა მომავალი შემოდგომიდან რევანშზე იფიქროს. მაგრამ ვისთან ერთად შეუდგება "მილანი" ახალ ალმართს? ეს არის კითხვა, რომელიც "არსენალთან" მარცხისთანავე დაისვა. რამდენად დიდია ანჩელოტისადმი ნდობა? ხომ არ ამოწურა მან "მილანში" საკუთარი შესაძლებლობები? თუ საკითხს ფილოსოფიურად მივუდგებით, ამ კითხვებს პასუხი დრომ უნდა გასცეს. მაგრამ დღევანდელი ფეხბურთისთვის მთავარი პრაგმატიზმია. ამიტომ, "მილანის" უფროსობამ მომავალზე დღეიდანვე უნდა იმსჯელოს. იტალიური პრესა მიანიშნებს იმაზე, რომ მწვრთნელი, შეიძლება, შეიცვალოს.

კლუბის პრეზიდენტი **სილვიო ბერლუსკონი** ამ საკითხზე უკვე ჩამოყალიბებულია. მას მიაჩნია, რომ ანჩელოტი უნდა დარჩეს: *"კარლო რჩება. ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. დარწმუნებული ვარ იმიტომაც, რომ ჩვენს შორის მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა არ არის. ანჩელოტი "მილანის" დიდი ოჯახის წევრია. ჩვენს შორის მყარიემოციური სიახლოვეა. "მილანში" მან ბევრ გამარჯვებას მიაღწია. კარლოს კლუბისგან სრული ნდობა აქვს".*

ბერლუსკონის ჰკითხეს **მარჩელო ლიპიზეც**. ბოლო პერიოდში მისი სახელი სულ უფრო ხშირად უკავშირდება "მილანს" და ამაში გარკვეულ ლოგიკასაც ვხედავთ. სილვიოს პასუხი ამაზეც მზად აქვს: *"ჩვენ გვჯერა ანჩელოტის, იმისდა მიუხედავად, რომ უდიდესი პატივისცემით ვართ განმსჭვალულნი მარჩელო ლიპის მიმართაც. ის მსოფლიო მასშტაბის სპეციალისტია. ეს საკამათო არ არის".*

ის, რომ "მილანში" ანჩელოტის ერა ამ ნაგებით არ სრულდება, ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანისთვისაც** ცალსახაა: *"კარლო კვლავ ჩვენთან იქნება და არანაირი ეპოქის დასრულებაზე ლაპარაკი არ შეიძლება იყოს. "მილანისთვის" ამ სეზონში პრიორიტეტი იყო მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის მოგება და ჩვენ ეს შევძელით. ვიცოდით, რომ ამისთვის დამატებითი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ფაქტორებიც იქნებოდა საჭირო, მაგრამ ჩვენ შეგნებულად წავედით ამაზე იმიტომ, რომ ეს ჩვენი არჩევანი იყო. რაც შეეხება "არსენალთან" მატჩს, უნდა ვაღიაროთ, რომ მთელი 180 წუთის განმავლობაში ლონდონელებმა უკეთესი ფეხბურთი ითამაშეს და გამარჯვებაც დაიმსახურეს. პირველ 15-20 წუთში ჩვენ აშკარად ვჯობდით მეტოქეს. "არსენალი" მძიმე წნეხში მოვაქციეთ, მაგრამ ყველაფერი გადაწყვიტა სტუმრების მიერ ნახევარდაცვაში მოპოვებულმა უპირატესობამ. ამ რგოლში ჩვენ გვყავდა ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი, რომელიც უშუალოდ თამაშის წინ გამოჯანმრთელდა და ბუნებრივია, ამან სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი და დღის წესრიგში დგება ახალი გამოწვევები. მოდით, ნუ დავივიწყებთ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ვართ. ბოლოს და ბოლოს, 2007 წელს სამი პრესტიჟული ჯილდო მოვიგეთ. ახლა ჩემპიონატში 12 მატჩი დაგვრჩა ჩასატარებელი. ეს იქნება "მილანის" 12 ფინალი".*

### დროგბა უნდა მოვიდეს, ძამბროტაც?

გავაგრძელოთ "მილანზე" საუბარი და ახლა სატრანსფერო თემას შევეხოთ. კლუბის ხელმძღვანელობა მივიდა იმ აზრამდე, რომ უკვე საჭიროა თადარიგის დაჭერა ზაფხულის სატრანსფერო კამპანიისთვის. გამოიკვეთა პრიორიტეტიც: ფორვარდი! კონკრეტიკა გნებავთ? ესეც არის: **დიდიე დროგბა!**

მას შემდეგ, რაც **რონალდომ** მძიმე ტრავმა მიიღო და კარიერის დასრულებაზეც ფიქრობს, ბუნებრივია, "როსონერის" ძლიერი ალტერნატივა სჭირდება. ასეთად, სწორედ დროგბაა მიჩნეული. კოტდივუარელი ფორვარდი "ჩელსის" დატოვებას აპირებს. "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, "მილანის" სპორტული დირექტორი **არიედო ბრაიდა** ამ დღეებში ლონდონს გაფრინდება და "ჩელსის" უფროსებს შეხვდება. მოსალოდნელია, რომ ბრაიდა დროგბას აგენტსაც მოინახულებს. დიდიეს იტალიაში თამაშის პერსპექტივა ხიბლავს. რა თქმა უნდა, ის სიხარულით შეხვდება "მილანის" შეთავაზებას. იქვე, "გაძეტა" ადასტურებს **ანდრეი შევჩენკოს** შესაძლო დაბრუნების ვარიანტსაც.

ამას გარდა, როგორც **სილვიო ბერლუსკონიმ** რამდენიმე დღის წინ განაცხადა, იგეგმება **ჯანლუკა ძამბროტას** ტრანსფერიც. "ბარსელონის" პრეზიდენტმა **ხოან ლაპორტამ** 31 წლის განაპირა მცველს განუცხადა, რომ შეუძლია, წავიდეს. როგორც ამბობენ, "მილანსა" და "ბლაუგრანას" თავკაცებს შორის "ძამბროს" ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. ვარაუდობდნენ, რომ "მილანი" კვლავ წამოწევდა **რონალდინიოს** თემას, მაგრამ ბერლუსკონი კატეგორიულია: *"დიახ, ვადასტურებთ, რომ ძამბროტა გვინდა. რონალდინიო? არა, ეს დაივიწყეთ. გამორიცხულია".*

### კიკე ალვარესი: უდანაშაულო ვარ

გასულ შაბათს, "რეკრეატივოსა" და "რეალის" მატჩში მასპინძელთა ნახევარმცველმა, **კიკე ალვარესმა არიენ რობენს** განზრახ ჩაარტყა და სერიოზული ტრავმა მიაყენა. ჰოლანდიელი ფორვარდი თვეზე მეტხანს ვერ ითამაშებს. ბუნებრივია, სამეფო კლუბის მესვეურები ამ ფაქტით აღშფოთებულები დარჩნენ და ალვარესი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. **პრედრაგ მიატოვიჩი** ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს უელველის სამაგალითოდ დასჯას სთხოვს. თავად კიკე ალვარესი კი თავს აბსოლუტურად უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს: *"ვინც მე კარგად მიცნობს, აბსოლუტურად ყველა იტყვის, რომ უხეში ფეხბურთელი არ ვარ. რობენის წინააღმდეგ განზრახ და მიზანმიმართულად არ მიმოქმედია. ეს ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო. უბრალოდ, ფეხის გამოწევა ველარ მოვასწარი და კოლეგას ტრავმა მივაყენე. რა თქმა უნდა, ვწუხვარ, მაგრამ თავს დამნაშავედ არ მივიჩნევ. სინდისის ქენჯნასაც არ განვიცდი. ვიმეორებ, ეს ჩვეულებრივი საფეხბურთო ეპიზოდი იყო, რომელსაც გამიზნულ ქმედებასთან არანაირი კავშირი არ გააჩნდა."*

### სიმაო საბროსამ მარადონას ტონი დაუწუნა

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში **დიეგო მარადონას** განცხადება შემოგთავაზეთ. ლეგენდარულმა არგენტინელმა "ბარსელონასთან" მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, "ატლეტიკო" მინასთან გაასწორა და თქვა, მადრიდულ კლუბს სამარცხვინო დაცვა ჰყავსო. აღსანიშნავია, რომ უკანა ხაზში პრობლემების არსებობას თავად გუნდის მესვეურებიც არ უარყოფენ, მაგრამ მარადონას პირდაპირობა მათთვის მეტისმეტი აღმოჩნდა. ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას, გუშინ **სიმაო საბროსამ** უპასუხა: *"სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე საუბარი არანაირად არ მსიამოვნებს, მაგრამ მსურს, მოგახსენოთ: მარადონას უდიდეს პატივს ვცემ, თუმცა მის მოსაზრებას კატეგორიულად არ ვიზიარებ. გარკვეული პრობლემების მიუხედავად, გაუმართლებლად მიმაჩნია, რომ "ატლეტიკოს" დაცვაზე ასეთ ტონში ისაუბრონ. ჩვენ საკმაოდ ძლიერი დაცვა გვყავს. ასეც რომ არ იყოს, არ მგონია, გამართლებული იყოს, ადამიანებს შეურაცხყოფა მივაყენოთ."*

ამასობაში, ცნობილი გახდა, რომ "როხიბლანკოს" ხელმძღვანელებმა **ტომას უიფალუშის** ტრანსფერი გაჩარხეს. "დიარიო მარკაში" დაიწერა, რომ "ფიორენტინას" მცველი მადრიდულ კლუბში იმ დღესვე ჩავა, როცა სერია A დასრულდება.



სიმაო საბროსა

### კამენიმ კატალონიელები ტოტენჰემზე გაცვალა?

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **კარლოს კამენი** მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ "ესპანიოლს" დატოვებს და კარიერას "ტოტენჰემში" გააგრძელებს. საქმე ის არის, რომ კამერუნელ გოლკიპერს კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობამ ხელშეკრულების 3 წლით გახანგრძლივება და "მონჟუიკზე" 2013 წლამდე დარჩენა შესთავაზა. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ თანხმობას მიიღებდნენ, თუმცა კამენიმ დოკუმენტზე ხელის მოწერისგან თავი შეიკავა. მოგვიანებით გაირკვა, რომ საამისო მიზეზი "ტოტნჰემის" წინადადებაა. ლონდონური კლუბი "ესპანიოლის" მეკარეს 45 პროცენტით უფრო მაღალ ხელფასს სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ ნისლიან ალბიონზე კარლოსის გადაბარგებას ესპანური გუნდის ხელმძღვანელებიც არ გამორიცხავენ. პრეზიდენტმა **დანიელ სანჩეს ლიბრემ** პირდაპირ განაცხადა, კამენიმ კონტრაქტის გახანგრძლივება, ალბათ, იმიტომ არ ისურვა, რომ კარიერის "ტოტენჰემში" გაგრძელება გადაწყვიტაო.

მწვრთნელი

# ლიპი: იუვე ან ბარსა. შეიძლება, ჩელსიც...

იტალიელი მიმომხილველები ლამის ერთხმად ამტკიცებენ, რომ ახალი სეზონიდან **მარჩელო ლიპი** ან "ბარსელონაში" იმუშავებს ან "იუვენტუსში" დაბრუნდება. ამ ხმებს რეალური საფუძველი აქვს. **ფრანკ რაიკაარდის** პოზიციები შერყეულია. თუ "ბარსამ" ჩემპიონობა ვერ მოიპოვა და ევროსარბიელზეც ხელი მოეცარა, ჰოლანდიელი სპეციალისტი სამსახურს დაკარგავს. სხვათა შორის, რაიკაარდს ამას ჯერ კიდევ წინა სეზონის მიწურულს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მაშინ გადარჩა. ამჯერად, **ხოან ლაპორტა** მწვრთნელს ჩავარდნას აღარ აპატიებს. ეს კი არა, კატალონიური გრანდის ქომაგები თავად პრეზიდენტითაც არიან უკმაყოფილონი. ამიტომ, სინიორ ხოანს სჭირდება რადიკალური ნაბიჯი იმისთვის, რათა საკუთარ პერსონას დარტყმა ააცილოს. საამისოდ კი, ლიპის დაქირავება იდეალური ვარიანტი იქნებოდა...

რაც შეეხება "იუვენტუსის" თემას, უკვე ესეც აქტუალურია. "ბებერი ქალბატონის" ფანებმა კატეგორიულად მოითხოვეს **კლაუდიო რანიერის** გაშვება. ბოლო ჩავარდნის შემდეგ, ტურინულმა გრანდმა საჩემპიონთალიგო ოთხეულში დამკვიდრების შანსები საგრძნობლად გაიუარესა. არადა, სერია A-ს პირველ კვარტეტში მოხვედრა რანიერის უმთავრესი ამოცანაა. ეს არის ერთადერთი შანსი იმისთვის, რათა სამწლიანი პაუზის შემდეგ "იუვე" ევროელიტაში დაბრუნდეს. აქ მარტო პრესტიჟზე არ არის საუბარი. ჩემპიონთა ლიგა ხომ სერიოზული ფინანსური ბერკეტიცაა.

გავიხსენოთ, რომ რანიერის დანიშვნამდე "იუვემ" სწორედ ლიპის შესთავაზა სამსახური, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა მწვრთნელისგან უარი მიიღო, იმ მოტივით, რომ საფეხბურთო შიმშილი ჯერ მობეზრებული არ ჰქონდა. მაგრამ ლიპიმ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ახალი სეზონიდან საყვარელი საქმიანობა განაახლოს. იმასაც ამბობენ, რომ არაა გამორიცხული, ლიპი "იუვეში" სპორტულ დირექტორად დაბრუნდეს. მაგრამ აქ უკვე რანიერის ინტერესებიც იქნება გასათვალისწინებელი. სავარაუდოდ, ის ლიპის ჩრდილქვეშ მუშაობაზე არ დათანხმდება.

"ფიორენტინასთან" საშინაო მარცხის შემდეგ, "იუვენტუსის" დირექტორატმა საგანგებო შეკრება მოაწყო. საგულისხმოა, რომ ამ შეკრებაზე რანიერი არ მოუწვევიათ. თუმცა იქვე აღინიშნა, რომ კლუბი მწვრთნელს ენდობა და მის შეცვლას არ აპირებს. სხვა საქმეა, რომ არავინ იცის, რა მოხდება სეზონის ბოლოს. თუ "სინიორა" ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, რანიერის პოსტის დატოვება მოუწევს და ამაში ეჭვი არავის ეპარება. ამ შემთხვევაში, ლიპის გზა ხსნილი აქვს. მაგრამ ვეჭვობთ, მარჩელო იოლად დაითანხმონ, რადგან ცნობილია, რომ "ბარსელონის" გარდა, მას სხვა უცხოური ვარიანტებიც აქვს. თავად ლიპის ინგლისშიც სურს მუშაობა. მას "ჩელსიში" **ავრაამ გრანტის** ერთ-ერთ ალტერნატივადაც განიხილავენ.



უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩების წინ

# ჰიტცფელდმა კანი სახლში დატოვა!

## მწვრთნელის როტაცია იმაზე მიანიშნებს, რომ მიუნხენში ოდნავადაც არ ღელავენ. გერმანული დუელი ლევერკუზენში...

უეფას თასს 16 გუნდი შემორჩა და აქედან, ერთი მეოთხედი გერმანიის წარმომადგენელია. მერვედფინალის პირველი წრის ყველა მატჩი დღეს გაიმართება და ამ ეტაპს "ანდერლეხტისა" და "ბაიერნის" დაპირისპირება გახსნის. ბრემენის "ვერდერი", რომელიც ბუნდესლიგაში მეორე ადგილზეა, "აიბროქსზე" გლაზგოს "რეინჯერსს" დაუპირისპირდება, მაგრამ ყველაზე საინტერესო ალბათ მაინც მერვედფინალის გერმანული დუელი იქნება, რომელშიც ერთმანეთს "ლევერკუზენი" და "ჰამბურგი" შეხვდებიან. დღეს ესპანეთის უკანასკნელი წარმომადგენლის, "ხეტაფესა" და პორტუგალიური "ბენფიკის" თამაში დახურავს, რომელიც ლისაბონში შედგება.

**ანდერლეხტი-ბაიერნი**
**მარსელი-ზენიტი**
**ფიორენტინა-ევერტონი**
**ლევერკუზენი-ჰამბურგი**
**ტოტენჰემი-ეინდჰოვენი**
**ბენფიკა-ხეტაფე**
**რეინჯერსი-ვერდერი**
**ბოლტონი-სპორტინგი**

"ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ **ოტმარ ჰიტცფელდს** როტაცია ძალიან უყვარს. მაგრამ მიმდინარე სეზონში მან ამის გამო უკვე დაიმსახურა კრიტიკა და თანაც, არა ჟურნალისტებისგან, არამედ გუნდის ხელმძღვანელებისგან! ალბათ გახსოვთ, "ბოლტონთან" 2:2-ის შემდეგ რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** "გენერალს" მაგრად შეუტია, რა დროს როტაცია იყო, კარგ ფეხბურთელებში ბევრი ფული იმიტომ არ გადაგვიხდია, რომ დავასვენოთო. ოტმარი დღესაც როტაციას აპირებს, თუმცა გარკვეულწილად ვალდებულიცაა, ძირითადი შემადგენლობა რამდენიმე პოზიციაზე შეცვალოს. "ანდერლეხტთან" მატჩისთვის ბავარიელებს ტრავმების გამო **მარსელ იანსენი, ზე რობერტო** და **ლუსიო** გამოაკლდათ. და რაც მთავარია, კარს **მიხაელ რენზინგი** დაიცავს! **ოლივერ კანი** ჯანმრთელი და დაუსჯელია, მაგრამ ჰიტცფელდმა გადაწყვიტა, რომ ამჯერად კარი რენზინგს ანდოს, რითაც ბევრი გააკვირვა. კანი კი ბრიუსელში საერთოდ არ გაფრენილა - ოტმარმა ოლი მიუნხენში დატოვა.

საერთო ჯამში, ვერ ვიტყვით, რომ ბაიერნელები ამ თამაშს მოუთმენლად ელიან, ანაც ძალიან ნერვიულობენ. მეტიც, მიუნხენელთა გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** ამბობს, მცირე ანგარიშით რომც წავაგოთ, არც ეს მეწყინება მაინცდამაინცო. *"მაგალითად, 1:2 წაგება კატასტროფა ნამდვილად არ იქნება,"* - განუცხადა ჰიონესმა "კიკერს". მაგრამ: "ბაიერნი" წყვილის (და საერთოდ ტურნირის) აშკარა ფავორიტია, "ანდერლეხტი" კი, რომელიც ბელგიის მოქმედი ჩემპიონია და ახლა მეხუთე ადგილი უკავია - აუტსაიდერი.

ფლორენციაში "ფიორენტინა" "ევერტონს" მიიღებს. ეს გუნდები ეროვნულ ასპარეზზე ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გაისად ერთი კლასით მაღლა, ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზონ და ჯერჯერობით კარგი შანსიც აქვთ, მაგრამ მანამდე უეფას თასის მოგება სურთ. ფლორენციელებს იდეალური კვირა ჰქონდათ - "ფიორენტინამ" "იუვენტუსს" ტურინში 3:2 მოუგო და აღსანიშნავია, რომ სერია A-ში რვამატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში დღემდე არც "ევერტონი" დამარცხებულა და არც "ფიორენტინა". ერთი სიტყვით, ეს მორიგი ძალიან საინტერესო იტალიურ-ინგლისური დაპირისპირება იქნება, რომელმაც შეუძლებელია, მაყურებლის იმედები არ გაამართლოს. იმავე დროს, როცა ფლორენციაში ფეხბურთს გააჩაღებენ, მარსელში, "ველოდრომზე", "ოლიმპიკი" სანკტ პეტერბურგის "ზენიტს" დაუხვდება. **ერიკ გერეტსის** გუნდმა, რომელსაც ურიგო შთაბეჭდილება არც ჩემპიონთა ლიგაში დაუტოვებია, 1/16 ფინალში მოსკოვის "სპარტაკი" გააგდო და ახლა შანსი აქვს, მეორეხარისხოვანი ევროტურნირიდან კიდევ ერთი რუსული კლუბი დაიფრინოს.

გლაზგოს "რეინჯერსი" მერვედფინალში ისე გავიდა, რომ უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში ერთი თამაშიც კი არ მოუგია. ნუ დაიბენით! 1/16 ფინალში შოტლანდიელებმა "პანათინაიკოსთან" ორივე მატჩი ფრედ ითამაშეს (0:0, 1:1) და მომდევნო ეტაპზე იმის გამო გავიდნენ, რომ სტუმრად გაუტანეს მეტოქეს. მანამდე კი, "რეინჯერსი" ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა. მაგრამ ამ შემთხვევაში, თუ გლაზგოელებს მეოთხედფინალში გასვლა სურთ, მაშინ საკუთარ მოედანზე "ვერდერი" აუცილებლად უნდა დაამარცხონ, რადგან წინდაწინვე ცნობილია, რომ ფრე არ იქნება საკმარისი (ბრემენელები საკუთარ მოედანზე ძალიან ძლიერები არიან). თანაც, "რეინჯერსი" ამ სეზონში პოკერის შესრულებაზე ოცნებობს და სხვათა შორის, კარგი შანსები აქვს: შოტლანდიის ჩემპიონატში გუნდი პირველ ადგილზეა და "სელტიკს" 4 ქულით უსწრებს (ორი წელია, "რეინჯერსს" ჩემპიონობა არ უზეიმია), შოტლანდიის თასიდანაც ჯერ არ გავარდნილა, ხოლო ლიგის თასზე კი ზუსტად ერთ კვირაში ფინალი ელის, "დანდი იუნაიტედთან". მაგრამ ბრემენელებს ძალიან უნდათ, რომ გლაზგოურ კლუბს მინიმუმ პოკერი არ შეასრულებინონ - "მუსიკოსებს" თავიანთი ანგარიში აქვთ. **თომას შააფს** სერიოზული საკადრო პრობლემა არ აწუხებს. მიუხედავად მცირე ტრავმებისა, "ვერდერს" შოტლანდიის დედაქალაქში **ივან კლასნიჩიც** გაჰყვა, **უგო ალმეიდაც** და **ფრანკ ბაუმანიც**, რომლებიც დღეს სალამომდე გამოჯანმრთელებას სავარაუდოდ მოასწრებენ. თამაში შეუძლია **დიეგოსაც**...

"ბოლტონისა" და "სპორტინგის" მატჩში მასპინძლები ორად არიან გაყოფილი. თუკი "უონდერერსს" უნდა, რომ უეფას თასზე გაისადაც იასპარეზოს, მაშინ მიმდინარე სეზონში ეს თასი უნდა მოიგოს, რადგან პრემიერლიგაში ძალიან ცუდად აქვს საქმე. "ბოლტონი" ინგლისის ჩემპიონატში დღესდღეობით ბოლოდან მე-3 და მე-4 ადგილებს იყოფს (რედინგთან ერთად) და ბოლტონელთა ბოლო გამარჯვება უეფას თასის მერვედფინალით თარიღდება, სადაც **მეგსონის** გუნდმა მადრიდის "ატლეტიკო" 1:0 დაამარცხა და გააგდო. ეს უდიდესი სენსაცია გახლდათ, რადგან "ატლეტიკო" უეფას თასის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდა. "ატლეტიკოსთან" შედარებით, ინგლისელებს "სპორტინგის" გაგდება წესით უფრო უნდა გაუადვილდეთ, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. პორტუგალიელებმა გასულ სეზონში ვიცე-ჩემპიონობა იზეიმეს, წელს კი "ბეთ ენდ ვინ ლიგაში" მეხუთე ადგილი უკავიათ.



ოლივერ კანი მიუნხენში დარჩა. "ბაიერნის" კარს დღეს მიხაელ რენზინგი დაიცავს

მოგვიანებით, ლევერკუზენში მერვედფინალის ცენტრალური შეხვედრა დაიწყება: "ბაი არენაზე" ერთმანეთს "ბაიერი" და "ჰამბურგი" დაუპირისპირდებიან - ბუნდესლიგის მეოთხეადგილოსანი მესამეადგილოსანს უმასპინძლებს. ეს გახლავთ პირველი გერმანული დუელი ევროტურნირებზე 1999 წლის შემდეგ. მაშინ ჩემპიონთა ლიგაში ერთმანეთს "ბაიერნი" და "კაიზერსლაუტერნი" შეხვდნენ. საინტერესო ის გახლავთ, რომ თანამემამულეებთან შეხვედრა არც ლევერკუზენელებს უხარიათ და არც ჰამბურგელებს. *"ევროტურნირზე იმის გამო ვთამაშობთ, რომ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს გავეჯიბროთ, თორემ გერმანულ კლუბებს ხომ შიდა ასპარეზზეც ვეთამაშებით ხოლმე,"* - აცხადებს "ლევერკუზენის" მთავარი მწვრთნელი **მიხაელ სკიბე** და აშკარად ჩანს, რომ "ჰამბურგთან" დაჯახებით სულაც არაა აღფრთოვანებული. "ჰამბურგის" შეფის, **ბერნდ ჰოფმანის** თქმით კი, პრიორიტეტი ბუნდესლიგას ენიჭება, უეფას თასი კი HSV-სთვის უფრო დესერტია. მაგრამ ჩრდილოგერმანულ კლუბს ევროთასების მეოთხედფინალში 1990 წლის შემდეგ არ უთამაშია, რის გამოც ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ჰამბურგელებს მომდევნო ეტაპზე გასვლა ნაკლებად უნდათ...

უეფას თასის მოქმედი გამარჯვებული "სევილიაა", რომელმაც წელს ძალები ჩემპიონთა ლიგაში მოსინჯა და გუშინწინ, ამ ტურნირს მერვედფინალიდან გამოეთიშა (ფენერბაჰჩესთან). სამაგიეროდ, ანდალუსიელთა ყოფილი მწვრთნელი ისევ უეფას თასისთვის იბრძვის- **ხუანდე რამოსს** ამ ტურნირის ზედიზედ მესამედ მოგება და პირადი ჰეთ-თრიკის შესრულება ამჯერად "ტოტენჰემის" დამრიგებლის რანგში სურს. ლონდონელთა მეტოქე ჰოლანდიური "ეინდჰოვენია". "ტოტენჰემი" პრემიერლიგაში ცუდად გამოიყურება, სამაგიეროდ, ამ გუნდმა უკვე მოახერხა ლიგის თასის მოგება, რითაც მომდევნო სეზონში უეფას თასზე თამაში გაინაღდა. სამაგიეროდ, პსვ ჰოლანდიის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია.

დღის ბოლო შეხვედრა კი პორტუგალიაში ჩატარდება: "ბენფიკა" ლისაბონში "ხეტაფეს" უმასპინძლებს. **ბერნდ შუსტერის** ყოფილ გუნდს განსაკუთრებული მისია აკისრია - "ხეტაფე" უეფას თასზე შემორჩენილი უკანასკნელი ესპანური კლუბია და ვალდებულია, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ლიგის, პრიმერა დივიზიონის პრესტიჟი დაიცვას. შედარებისთვის: უეფას თასის შარშანდელი გათამაშების ნახევარფინალში სამი ესპანური გუნდი იყო...

**გოტფრიდ ლენცი**



მამაშვილი

ლეგენდა

# პაოლო მალდინის ბოლო ბრძოლა

## არსენალთან მატჩი მილანის კაპიტნისთვის ევროტურნირებზე რიგით 159-ე და უკანასკნელი გამოდგა...

...84-ე წუთზე, როდესაც **სესკ ფაბრეგასმა** "სან სიროზე" ანგარიში გახსნა, "მილანის", იტალიური ფეხბურთისა და საერთოდ ფეხბურთის ისტორიაში ერთი დიდი ერა დასრულდა.

მართალია, დაძაბულობა შენარჩუნდა და "როსონერის" კიდევ ჰქონდა იმის შანსი, რომ თამაში შემოეტრიალებინა, მაგრამ "არსენალი" იმდენად კარგად გამოიყურებოდა, "მილანი" კი იმდენად ცუდად, რომ ყველა მიხვდა: **კარლო ანჩელოტის** გუნდი ველარაფერს მოახერხებდა. ამრიგად, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მხცოვანი კლუბი, ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდულ კოლექტივთან დამარცხდა. საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ბოლო წლების ტრადიცია გაგრძელდა: ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული ტურნირს ისევ მერვედფინალში და ისევ 0:2 წაგების შემდეგ გამოეთიშა - 2006 წელს ასე "ბარსელონას" დაემართა, 2005 წელს- "ლივერპულს", 2004 წელს კი "პორტუს".

ფაბრეგასის გოლის შემდეგ, "სან სიროზე" შეკრებილმა ქომაგებმა (81 879) თავიანთ საყვარელ გუნდს უფრო ომახიანად უგულშემატკივრეს და საფინალო სასტვენამდე მღეროდნენ, მერე კი ცოტა ხნით სიჩუმემ დაისადგურა. აქა-იქ სტვენა გაისმა, მაგრამ ტრიბუნებიდან სერიოზული კრიტიკა არავის უგრძვნია. ტიფოზებმა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ტრადიციას უღალატეს და ლანძღვა-გინება არ დაუწყიათ - მხოლოდ ტიროდნენ. ეს ის მომენტია, როცა ფანებს პატივი უნდა სცე, ისინი ხომ იმ გუნდს ქომაგობენ, რომელიც ბოლო წლებში ევროპას დირიჟორობდა, წელს კი მერვედფინალში ამოწურა საჩემპიონთალიგო ამბიციები. ხოლო იმ ფაქტმა, რომ "მილანის" ფანებმა "არსენალს" ტაში დაუკრეს, ამ შეხვედრას და საერთოდ იმ სალამოს "სან სიროზე" შექმნილ ატმოსფეროს განსაკუთრებული ხიბლი შემატა.

ვერ ვიტყვით, რომ "მილანი" ბოლო წლებში ჩემპიონთა ლიგაში ყოველთვის ლამაზ ფეხბურთს აჩვენებდა, მაგრამ ის კი შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ **ნესტამ, გატუზომ, პირლომ, ინძაგიმ** და სხვებმა ყოველთვის, აბსოლუტურად ყველა თამაშში იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ, როგორ უნდა ემოქმედათ. სტუმრად ფრე, სახლში გამარჯვება, საუკეთესო შემთხვევაში მშრალი ანგარიშით - ეს "მილანის" კრედო იყო, რამაც მიიყვანა კიდეც ეს გუნდი შარშან ტრიუმფამდე. 2005/06 წლების სეზონში ანჩელოტის გუნდი ლიგას ნახევარფინალში გამოეთიშა (მომავალ გამარჯვებულ "ბარსელონასთან"), 2004/05 წლების სეზონში "როსონერიმ" ფინალში წააგო (ლივერპულთან), 2002/03 წლების სეზონში კი ტურნირი მოიგო (ფინალში "იუვენტუსი" დაამარცხა).

"არსენალთან" მარცხი განსაკუთრებით მტკივნეული ერთი ფეხბურთელისთვის გამოდგა. ფეხბურთელისთვის, რომელიც "მილანისთვის" და საერთოდ იტალიური ფეხბურთისთვის ფეხბურთელზე მეტია. ცოცხალ ლეგენდად ქცეულმა **პაოლო მალდინიმ არსენ ვენგერის** გუნდის წინააღმდეგ ევროტურნირებზე თავისი 159-ე თამაში ჩაატარა, რომელიც ამავე დროს უკანასკნელი გამოვიდა. და რაც ყველაზე გასაკვირია: თითქმის 40 წლის მალდინი "მილანელთაგან" მოედანზე თითქმის საუკეთესო იყო! ყოველ შემთხვევაში, მონდომებითა და მოტივაციით აბსოლუტურად ყველა თანაგუნდელს აჯობა. *"ყველა მილანელი მალდინივით მონდომებული რომ ყოფილიყო, "როსონერი" "არსენალის" ბარიერს აუცილებლად დაძლევდა!"* - ეს ანჩელოტის სიტყვებია. მალდინი ფლანგზე **ებუეს** ებრძოდა, დაცვას **ადებაიორის** გამკლავებაში ეხმარებოდა, ავსებდა **ანდრეა პირლოსა** და **მასიმო ამბროზინის** მიერ დატოვებულ ხვრელებს, სადაც **გლები** შერბოდა ხოლმე და პირველ ტაიმში კინაღამ გოლიც გაიტანა. რომ არა ფაბრეგასი, რომელმაც პაოლოს დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა, ანგარიშს მალდინი გახსნიდა.

და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამიერიდან ასეთ ფეხბურთელს ჩემპიონთა ლიგაში ველარასოდეს ვნახავთ. 1994 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, რომელმაც იტალიის ნაკრებში 126 შეხვედრა ჩაატარა, მიმდინარე სეზონის ბოლოს აქტიურ სპორტულ კარიერას ასრულებს. 18 მაისს სერია A-ს ბოლო ტური, რომელშიც "მილანი" "უდინეზეს" დაუპირისპირდება და ეს იქნება პაოლო მალდინის 23-წლიანი კარიერის ბოლო ოფიციალური მატჩი. და რაც ყველაზე საინტერესოა: პაოლოს დებიუტი სერია A-ში 1985 წლის 25 იანვარს, სწორედ "უდინეზესთან" მატჩში შედგა! თუმცა მალდინის არც დებიუტი ჰქონია მაინც და მაინც სასიამოვნო - იმის გამო, რომ ბუცები სახლში დარჩა, იძულებული გახდა, ერთ-ერთი თანაგუნდელისგან ეთხოვა და ზომა არ მოუვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ბუცები მთელი მატჩის განმავლობაში უჭერდა, მალდინიმ ის შეხვედრა შესანიშნავად ჩაატარა - ესეც მონდომების კიდევ ერთი საუკეთესო მაგალითი!

მას მერე 23 წელი გავიდა და დღეს მალდინი იტალიურ ფეხბურთში ხელშეუხებელი ფიგურაა. ვერც ერთი ჟურნალისტი, ვერც ერთი ექსპერტი ან ფანი ვერ გაიხსენებს იმას, რომ ოდესმე რომელიმე გაზეთს პაოლოზე რაიმე ცუდი დაეწერა, ან რომელიმე მიმომხილველს მასზე რამე ცუდი ეთქვა. სხვა არც ერთ იტალიელ ფეხბურთელს არ სცემენ "მილანის" სხვა იტალიური კლუბების ფანები ისეთ პატივს, როგორსაც პაოლოს. იქნება ეს "იუვენტუსი", "ფიორენტინა", "ნაპოლი" თუ თვით "ინტერი" - მალდინის ჩამოთვლილთაგან ყველა კლუბის ფანები მოწიწებით ეპყრობიან. თვითონ პაოლო კი მშვიდი, ოჯახის კაცია.

სიმბოლურია ისიც, რომ "მილანში" სამნომრიან მაისურას ალარავის გადასცემენ. უფრო სწორად, თუ ვინმეს გადასცემენ, მხოლოდ მალდინის! *"მორჩა, ეს ნომერი მალდინების საკუთრებაა!"* - თქვა ამას წინათ **ადრიანო გალიანიმ**. პაოლოს ვაჟი **კრისტიანი** "მილანის" ბავშვთა გუნდში, სწორედ იქ თამაშობს, სადაც მამამისმა 10 წლის ასაკში ფეხბურთის თამაში დაიწყო და როგორც ამბობენ, კრისტიანი პაოლოსა და **ჩეზარე მალდინიზე** ნიჭიერია. ეს თვითონ უფროსმა მალდინიმ, ჩეზარემ თქვა. კრისტიანიც მცველია - სხვანაირად მართლაც წარმოუდგენელი იყო და ასე გვგონია, სულაც თავდამსხმელის ან მეკარეობის დიდი ნიჭი რომ ჰქონოდა, მაინც მცველად გაზრდიდნენ...

ხუმრობა იქეთ იყოს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სულ მალე "მილანის" სამნომრიან მაისურას სწორეს ის, კრისტიან მალდინი მოირგებს.

"არსენალთან" წაგების შემდეგ "მილანში" ცვლილებებია მოსალოდნელი. ჩემპიონთა ლიგიდან ნაადრევი გავარდნა და სერია A-შიც ჩაფლავებული საქმე ანჩელოტის, ვინიცობაა ძვირად დაუჯდეს. ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: გუნდი დაბერებულია და გაახალგაზრდავება სჭირდება. "როსონერის" სამომავლო გეგმებში უმთავრეს როლს, ცხადია, **კაკა** თამაშობს, რომელმაც "მილანთან" კონტრაქტი ცოტა ხნის წინათ 2013 წლამდე გააგრძელა.

*"მინდა, რომ კარიერა "მილანში" დავასრულო და აქ ისეთი ფიგურა გავხდე, როგორიც პაოლო მალდინია!"* - ეს კაკას სიტყვები გახლავთ...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



დეკუ ლეო მესის დამშვიდებას ცდილობს

ბარსელონა. ანგელოზის ცრემლები

# კატალონიელები ლეო მესის გარეშე დარჩნენ

## არგენტინელის ტრავმის გამო პუიოლი საზოგადოებასა და რაიკაარდს საყვედურობს

**მსოფლიო ფეხბურთის უდიდესმა ვარსკვლავმა, ლიონელ მესიმ „კამპ ნოუ" აქვითინებულმა დატოვა. მისი ცრემლები ბევრ გარემოებაზე მეტყველებდა. თანამედროვე ფეხბურთის გენია გამუდმებული ტრავმებით დაილალა და მორიგი უბედურებით საშინლად მტკივნეული იმედგაცრუება იგრძნო. ის, რა თქმა უნდა, ხვდებოდა, რომ იმ წამმა საყვარელ საქმეს საკმაოდ დიდი ხნით ჩამოაშორა. შეუძლებელია, მესის არ გახსენებოდა, რომ ანალოგიური მიზეზის გამო თითქმის მთელი დეკემბერი და იანვრის 19 დღე ვერ თამაშობდა. გემახსოვრებათ, 2007 წლის 5 დეკემბერს „მესტალიაზე" „ბარსელონამ" მასპინძელი „ვალენსია" გაანადგურა, მესის კი მაშინაც ბარძაყის კუნთი გაუწყდა.**

ამჯერად კი **ჯანლუკა ძამბროტას**თან გათამაშებული კედელი აღმოჩნდა ავბედითი. „სელტიკთან" შეხვედრის 33-ე წუთზე გარღვევაზე მყოფმა მესიმ ბურთი მიაგდო და პატარა ბავშვივით ატირდა. თავდაპირველად, ხალხი ვერ გაერკვა, რა მოხდა, თუმცა არგენტინელმა პირველივე წამიდან იცოდა, რომ ბარძაყის ის კუნთი გაუწყდა, რომლის გამოც თვენახევარი უსაქმოდ იყო. საბრალო ბიჭმა თმის სამაგრი მოიძრო, ხელები სახეზე აიფარა და მინდორზე დაწვა. თანაგუნდელები ამაოდ ცდილობდნენ მის დამშვიდებას. მესი გულამოსკვნით მოთქვამდა. თითოეული ცრემლი მისი პროფესიონალიზმისა და ფეხბურთის არანორმალური სიყვარულის დადასტურება გახლდათ. ესპანურმა პრესამ მესის ცრემლებს ანგელოზის ცრემლები უწოდა. როგორც ჩანს, ლეოს ტრავმა მოშუშებული არ ჰქონდა. „ატლეტიკოსთან" მატჩში ის ამის გამო ვერ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში. გულშემატკივრებს კი ეს ნორმალურად არ აუხსნეს და **ფრენკ რაიკაარდს** კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს თავს. ასეა თუ ისე, გენიალური სამხრეთამერიკელი ლაზარეთში დაბრუნდა. ექიმების ვარაუდით, მათი პაციენტის გამოჯანმრთელებას ახლაც დაახლოებით თვენახევარი დასჭირდება.

ბუნებრივია, არგენტინელის დაშავებით მთელი „ბარსელონა" დამწუხრდა. **ჩიკი ბეგირისტაინს** ემოციების დამალვა გაუჭირდა: *„სასტიკად არ გაგვიმართლა. ლეო კვლავ დაშავდა. და ეს მაშინ, როცა წინ გადამწყვეტი მატჩები გველის. ახლა ყველა მის გვერდზე უნდა ვიყოთ. გასახდელში მესი ნახევარი საათი გაუჩერებლად ტიროდა. ვალდებულები ვართ, დავამშვიდოთ და ვანუგეშოთ. საამისო საუკეთესო საშუალება ტიტულების მოპოვება იქნება."*

მესის თამაშის განხილვას ევროპის საუკეთესო მიმომხილველები დიდ დროს უთმობენ ხოლმე. მათი დასკვნები გაჭრილი ვაშლივით ჰგავანან ერთმანეთს. თუ ლეო საუკეთესო ფორმაშია, მის შეჩერებას პლანეტის ვერც ერთი მცველი მოახერხებს. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ „ბარსას" ფორვარდის ერთადერთი ნამდვილი მოწინააღმდეგე ტრავმაა. დიახ, მესის შეჩერება, მხოლოდ და მხოლოდ, ტრავმებს შეუძლიათ. ამ ფეხბურთელის ბიოგრაფიას თვალს თუ გადავავლებთ, სადავო აღარაფერი იქნება. უმნიშვნელო ტრავმებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, 20 წლის ბიჭი ხანმოკლე კარიერის განმავლობაში მეოთხედ დაშავდა. მისი ასაკისთვის ეს რა თქმა უნდა, ძალიან ბევრია. მოდით, დეტალურად გავიხსენოთ წარსული. წყეულ ტრავმებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა პირველად ორი წლის წინათ იჩინა თავი. ელიტარული ფეხბურთის მოყვარულებს აუცილებლად უნდა ახსოვდეთ ის სენტიმენტალური ეპიზოდი, როცა „ჩელსისთან" საჩემპიონთალიგო მეოთხედფინალში მიღებული ტრავმით სასოწარკვეთილი მესი რაიკაარდმა გულში მამაშვილურად ჩაიხუტა. არგენტინელმა მაშინ მეოთხედფინალები გამოტოვა. გამოჯანმრთელების შემდეგ სუპერვარსკვლავს მიკროტრავმებით გამოწვეული პრობლემები კიდევ დიდ ხანს არ აძლევდა გასაქანს. ბოლო მომენტამდე უცნობი იყო, შეძლებდა თუ არა ლეო 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს. არადა, ეს მისი პირველი მუნდიალი იყო და არასოდეს მალავდა, რომ განაცხადს მიღმა დარჩენას ვერ შეეგუებოდა. ფსიქოლოგები იმასაც ამბობდნენ, თუ გერმანიის სტადიონებზე ასპარეზობის შესაძლებლობა მოესპობა, დიდი შანსია, ფსიქიკა სამუდამოდ დაუმახინჯდესო. ესეც მისი პროფესიონალიზმის კიდევ ერთი მტკიცებულებაა. ამ ადამიანს, საქმე გულთან მიაქვს და ფეხბურთის გარეშე ცხოვრება მართლაც ვერ წარმოუდგენია.

უიღბლობამ მომდევნო სეზონშიც იჩინა თავი. 2006 წლის ნოემბერში „ბარსელონა" „კამპ ნოუზე" „სარაგოსას" ხვდებოდა. მესის სრულიად უწყინარ სიტუაციაში მაშინაც ბარძაყის კუნთი გაუწყდა. ერთი შეხედვით არცთუ საგანგაშო ტრავმა ფეხბურთელს თითქმის ორთვიან უსაქმურობად დაუჯდა. ბოლო ორ ტრავმაზე უკვე ვისაუბრეთ და მათ აღარ დავუბრუნდებით.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არგენტინელის გამუდმებული უიღბლობა არა მარტო მას, არამედ ზოგადად მსოფლიო ფეხბურთს აზარალებს. განა, უტყუარი ფაქტი არ არის, რომ ხშირი ტრავმებისა და იძულებითი შვებულებების გამო მესი შესაძლებლობების ნახევარსაც ვერ ამჟღავნებს? როცა დიდი ხნის განმავლობაში ვერ ვარჯიშობს, ფორმაში დასაბრუნებლად დრო სჭირდება. მანამ საუკეთესო კონდიციას მიაღწევს, ბურთთან მისვლას წამის მეათედით მაინც დააგვიანებს. ეს დაგვიანება კი ხელს უშლის, რომ მისთვის დამახასიათებელი ჯადოსნური დრიბლინგი განახორციელოს, გულშემატკივრები აღაფრთოვანოს და გოლის გატანაში პირდაპირი, ან ირიბი მონაწილეობა მიიღოს. ის-ის იყო ვიფიქრეთ, ლიონელმა ფორმა აღიდგინა-თქო, რომ მან ისევ დაწყევლილ ლაზარეთში ამოჰყო თავი. კიდევ ერთხელ დაზარალდნენ უნიჭიერესი ფეხბურთელი, გულშემატკივრები და რა თქმა უნდა, თავად „ბარსელონა". როგორც უკვე მოგახსენეთ, არგენტინელი სულ მცირე თვენახევარი ვერ ითამაშებს. ეს კი ნიშნავს, რომ „ბარსა" ჩემპიონთა ლიგის" მეოთხედფინალებს მის გარეშე ჩაატარებს. ლეო გუნდს, რა თქმა უნდა, მისთვის ავბედით „მესტალიაზე" ესპანეთის სამეფო თასის განმეორებით ნახევარფინალშიც ვერ დაეხმარება. პრიმერა დივიზიონის უპრინციპულეს დაპირისპირებებზე აღარაფერს ვამბობთ. „ბარსელონას" შეწუხებულ გულშემატკივრებს ბუნებრივიად უჩნდებათ კითხვა, თუ რა განაპირობებს ხშირ ტრავმებს. აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ ბავშვობაში ლეოს ჰორმონალური დარღვევები ჰქონდა და თანატოლებისგან განსხვავებით ძალიან დაბალი იყო. მრავალჯერადი საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ 11 წლის ასაკში მას საშინელი დიაგნოზი დაუსვეს და მის მშობლებს უთხრეს, რომ ბავშვი 150 სანტიმეტრზე მეტს ვერ გაიზრდებოდა. მადლობა ღმერთს, სასოწარკვეთილებამდე მისულ ოჯახს, ერთმა ახალგაზრდა არგენტინელმა ექიმმა უშველა. მან სამეცნიერო კვლევის საფუძველზე მკურნალობის კურსი შეიმუშავა და პაციენტი ჯუჯად დარჩენისგან იხსნა. ახლა მესის სიმაღლე 170 სანტიმეტრია, რაც რა თქმა უნდა, იმ დალოცვილი ექიმის დამსახურებაა, მაგრამ სამშაბათის უსიამოვნების შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, იქნებ ლიონელის ორგანიზმი არ არის იმდენად განვითარებული, რომ უმაღლესი დონის პროფესიული ფეხბურთის დატვირთვებს გაუძლოსო. „ბარსელონის" ექიმებიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პაციენტს შესაბამისი პროფილის მსოფლიოს საუკეთესო კლინიკაში სრულყოფილი გამოკვლევა ჩაუტარონ.

ამასობაში, ფეხბურთის კაშკაშა ვარსკვლავის მწყობრიდან გამოსვლამ კატალონიაში ახალი უთანხმოება გამოიწვია. თუ აქამდე პრესა და ქომაგები აკრიტიკებდნენ კატალონიური გრანდის მთავარ მწვრთნელს, ახლა როლები შეიცვალა და უკვე ბარსელონელები საყვედურობენ საზოგადოებას. მოგახსენეთ, რომ „ატლეტიკოსთან" მატჩში მესის ჯანმრთელობით არ გარისკეს და სათადარიგოთა სკამზე დასვეს. რაიკაარდს „სელტიკთანაც" არ სურდა შეგირდის გამოყვანა, მაგრამ პრესის დაწოლას ვერ გაუძლო... საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, „ბარსელონის" კაპიტნის, **კარლეს პუიოლის** განცხადებას გაგაცნობთ: *„იმდენად განრისხებული ვარ, მეშინია ეთიკის ზღვარს არ გადავაჭარბო. რამდენიმე დღის წინათ ექიმებმა კლუბის მთავარ მწვრთნელს ურჩიეს, მესი „სელტიკთან" შეხვედრაში არ ეთამაშებინა. გადავწყვიტეთ, არ გვეჩქარა, მაგრამ გაზეთებსა და ტელევიზიებში ისეთი ამბავი ატყდა, რომ სერიოზულ წნეხში მოვექეცით. ვინც ჩვენი სიტყვა ვერ გაიგო, ახლა შეუძლია დატკბეს იმით, რომ ლეო ექვსი კვირის განმავლობაში უთამაშებლობით დაიტანჯება, „ბარსელონა" კი სერიოზულ სირთულეებს წააწყდება. კაპიტნის სტატუსით ვისარგებლებ და ვიტყვი, რომ რაიკაარდს მეტი სიმტკიცე უნდა გამოეჩინა. ძალიან კარგად მესმის, საშინლად გრძნობ თავს, როცა მთელი სამყარო შენს წინააღმდეგ ერთიანდება. მიუხედავად ამისა, არ უნდა დაგვეშვა, რომ „სელტიკთან," ფაქტობრივად, მოგებულ შეხვედრაში მესისაც მიელო მონაწილეობა. რა თქმა უნდა, ძალიან ადვილია, მომხდარი ფაქტის შემდეგ ბრძენი ადამიანის პოზა მიიღო და ისაუბრო, მაგრამ მიმაჩნია, რომ მწვრთნელმა შეცდომა დაუშვა. იმედია, ეს საშინელი ინციდენტი ჭკუის სასწავლებლად გამოგვადგება."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

## ბანეგა ნანობს, მაგრამ სიმთვრალის ფაქტს არ აღიარებს

ამას წინათ, "ვალენსიის" ნახევარმცველის, **ევერ ბანეგას** არასპორტული საქციელის შესახებ გამცნეთ. არგენტინელი ლეგიონერი გათენებამდე ბარში მეგობრებთან ერთად ერთობოდა და ტეკილას დაუშურველად მიირთმევდა. სახლში წასასვლელად კი მანქანის საჭეს მიუჯდა და პოლიციის ლუკმა გახდა. ბანეგა სამართალდამცველებმა 4 ათასი ევროს გადახდითა და მართვის უფლების ექვსი თვით ჩამორთმევით დასაჯეს. სავარაუდოა, რომ ევერს კლუბიც დაუწესებს სანქციას. მანამ "ვალენსიას" ხელმძღვანელობა სასჯელის ფორმას მოიფიქრებს, სამხრეთამერიკელი საქციელს ინანიებს: *"დამნაშავე ვარ. ნასვამი საჭესთან არ უნდა დავმჯდარიყავი. შუქნიშანი ვერ შევნიშნე და წითელზე გავიარე. სამწუხაროდ, პრესაში მომხდარი ფაქტი ძალიან გააბუქეს. დაიწერა, თითქოს მთვრალი ვიყავი, არადა, მსუბუქად ნასვამი გახლდით. ნებისმიერ შემთხვევაში ბოდიშს ვიხდი. იმედია, კლუბის ხელმძღვანელები მაპატიებენ."* ბანეგა აშკარად ტყუის, რადგან ალკოტესტმა აჩვენა, რომ მის ორგანიზმში არსებული ალკოჰოლის დონე დასაშვებს 220 პროცენტით აღემატებოდა. ამასაც თუ მსუბუქი ნასვამობა ქვია...

## ბარსელონელი პრეზიდენტი ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგ

გუშინ, ჟოან ლაპორტამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ მთავრობისა და ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის დაპირისპირებაში ფედერაციას უჭერს მხარს: *"ჩვენ კატალონიელებს ყველაზე კარგად გვესმის, რას ნიშნავს მთავრობის უსამართლო ქმედება. ხშირად დავუჩაგრივართ, მაგრამ ახლა ამაზე საუბარს აღარ დავიწყებ. ჩემი აზრით, ხელისუფლებას არანაირი უფლება არ აქვს, სამეფო ფედერაციის საქმიანობაში ჩაერიოს. ღიად ვადასტურებ, რომ ამ კონფლიქტში ანხელ მარია ვილიარს ვუჭერ მხარს. სპორტის სახელმწიფო მდივანი, ხაიმე ლისავეტსკი უნდა მიხვდეს, რომ ფეხბურთის ფედერაცია სახელმწიფო სტრუქტურა არ არის და მის მუშაობაზე გავლენის მოხდენის არანაირი კანონიერი ბერკეტი არ გააჩნია. კარგია, რომ სენიორ ანხელ მარია ვილიარმა უკან არ დაიხია და ასამბლეაზე არჩევნების წლის ბოლო ტრიმესტრში ჩატარების ინიციატივა დააყენა. კიდევ უფრო სასიხარულო ის არის, რომ ასამბლეის დელეგატებმა წინადადებას ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაუჭირეს მხარი."*



ხოან ლაპორტა

## ამაური ელ მადრიგალზე?

ესპანური პრესის ინფორმაციით, "ვილიარეალი" "პალერმოს" ბრაზილიელი ფორვარდის, **ამაურის** გადაბირებას აპირებს. აღნიშნულ ცნობას თავად სიცილიური კლუბის პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** ადასტურებს: *"ფრანსისკო როიგი დაგვიკავშირდა და ამაურის ყიდვის სურვილი გაგვიმხილა. მზად ვართ, ესპანელებთან ინტენსიური მოლაპარაკებები ვაწარმოოთ. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენს გადაგვიხდიან."* "პალერმო" საკუთარ ფორვარდს 22 მილიონ ევროდ აფასებს. სავარაუდოა, რომ მხარეებს შორის დიდი ვაჭრობა გაიმართება. ყოველ შემთხვევაში, "ვილიარეალი" იმდენად მდიდარი კლუბი არ არის, რომ საკუთარ თავს 22 მილიონი ევროს გადახდის უფლება მისცეს.



კარვალიო ამაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ვალდანოს წიგნი

# საფეხბურთო ისტორიები

გაგრძელება. დასაწყისი №41



## საფრანგეთი: ზიზუ და დანარჩენები საიმედო, როგორც სეიფი

1998 წლის 28 იანვარს, მე ტელევიზორით ვუყურე იმ მატჩს. "სტად დე ფრანსის" გახსნის დღეს საფრანგეთი და ესპანეთი თამაშობდნენ და მაშინ თავი დავკარგე **ზიდანისგან**. და ეს მხოლოდ მე არ დამემართა. თამაშის შემდეგ ერთმა მეგობარმა პირდაპირ სტადიონიდან დამირეკა და აღფრთოვანებული მიმტკიცებდა, რომ სინამდვილეში, "ცოცხალი" ზიდანი კიდევ უფრო უკეთესია. შევთანხმდით, რომ მოთამაშე უნდა შევაფასოთ არა მხოლოდ იმით, რასაც ეკრანზე ვხედავთ, არამედ იმ მომენტებითაც, როცა კამერები ბურთს მისდევენ და ფეხბურთელს კადრის მიღმა ტოვებენ.

მაგრამ, თავიდან დავტკბეთ იმით, რასაც ეკრანზე ვხედავთ. აი, ზიდანს ბურთი ფეხებში აქვს, ბუცის წვერით ეხება მას, წინ მიდის, ისევ გვიჩვენებს თავის მანიპულაციებს, თანაც ბურთს იცავს თავისი ფართო სხეულით და ერთგვარად ზარმაცად გვაჩვენებს თავს. მთელი ამ დროის განმავლობაში, ის პერიფერიული ხედვით ეძებს ადრესატს, იმის მსგავსად, როცა მაყურებელი თეატრში სცენაზე მოქმედებას დისტანციიდან ადევნებს თვალს. და კვლავ არ ჩქარობს, რამდენიმე მოწინააღმდეგეს თავისკენ იწვევს და შემდეგ ბურთს გზავნის იქ, სადაც საჭიროა.

მეორე ვარიანტი. ის დაგაჯერებთ, რომ ბურთს დიდხანს გაიჩერებს, ამ დროს კი, მოულოდნელად, ერთი შეხებით აკეთებს გადაცემას ან წინ იგდებს ბურთს და თავად მიიწევს წინ.

ზინედინ ზიდანი - გენიალური შუამავალია დაცვასა და შეტევას შორის, თამაშსა და გოლს შორის. თუ ფეხბურთი ისეთ ფაზაში შედის, როცა მისი გამოცოხლება და შველაა საჭირო, უნდა გახსოვდეს, რომ შავი სალარო - ზიდანის სეიფშია. ხოლო თუ მას ერთი სიტყვით დავახასიათებთ, მე ვერ ვნახულობ ამაზე უკეთეს შესატყვისს - ინტელექტი.

შევეცდები განვავრცო ჩემი დაკვირვებები, რადგან ეს არის ერთ-ერთი იმ მოთამაშეთაგანი, რომელზე დაკვირვებაც განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს.

გარედან ისე ჩანს, რომ მისი მოძრაობა მძიმეა, თუმცა გადაწყვეტილებები ძალიან სწრაფი. ინტელექტი სინათლის სიჩქარით მუშაობს, ბურთის მოძრაობას და ტრაექტორიას საფრთხის ყველაზე მაღალ დონეს ანიჭებს, რაც წინასწარ არის ჩადებული ამ იარაღში. მსოფლიოში არცერთი მოთამაშე არ იყენებს ბურთს ასე ჭკვიანად.

დიდი ფეხბურთი - ეს პირველ რიგში აზროვნების სისწრაფეა და ზიდანს სჭირდება წამის მეათედი და შეიძლება მეასედი იმისთვის, რომ დაინახოს და შეაფასოს ყველაფერი - პარტნიორების მოძრაობა, მეტოქის ჩანაფიქრი, თავისუფალი სივრცე და ამოირჩიოს სწორი გადაწყვეტილება. ამ დროს, მოქმედებაში მოდის დიდი ფეხბურთის მეორე უმნიშვნელოვანესი კომპონენტი: თავიდან, საიდანაც იწყება კომბინაცია, აზრი გადადის ფეხებში და ბურთი მორჩილად ასრულებს ყველა მის ახირებას, რადგან მისი ტექნიკა ზუსტია, დახვეწილი და უბრალოდ მარტივი.

მის გადაადგილებას ყველაზე ნაკლებად გინდა უწოდო სირბილი, თუმცა ისედაც ცხადია, რომ ამის გარეშე ფეხბურთში არაფერი გესაქმება. ჩემი თანამემამულე - **რატინი**, 60-იან წლებში "ბოკა ხუნიორსის" მთავარი ფიგურა, აღნაგობით ზიდანს ჰგავდა. ის მიყვებოდა, რომ ერთ-ერთი შეხვედრაში, რომელიც მათთვის ცუდად ვითარდებოდა, მან თავის მაშინდელ პარტნიორ **ლუის სესარ მეტონის** დაუყვირა: *"ეი, გამხდარო, გეყოფა გიჟივით სირბილი"*. გაისმა პასუხი, რომელიც კარგად შეესაბამებოდა მომავალში მწვრთნელად ჩამოყალიბებულ მენოტის: *"სამწუხაროდ, ფეხბურთი ისეთი თამაშია, რომ სირბილია საჭირო"*.

ზიდანის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა - საკუთარი მოქმედებების სწორი მიმდევრობით დალაგების უნარი. მალიზიანებენ ისეთი მოთამაშეები, რომლებმაც ბევრი იციან, მაგრამ არ შეუძლიათ სწორი არჩევანის გაკეთება: როცა მოტყუებაა საჭირო, ურტყამენ, როცა უნდა დაარტყა, პასს აკეთებენ, როცა გაქცევაა საჭირო - მოტყუებას იწყებენ. შეიძლება მისი გადაწყვეტილება ყოველთვის ორიგინალურობით და სუფთა შესრულებით არ გამოირჩევა, მაგრამ დააკვირდით - პარტნიორს, რომელიც მისგან ესტაფეტას იღებს, როგორც წესი, მოწინააღმდეგის წინაშე ფორა აქვს. *"გააკეთეთ თქვენი საქმე, ბატონებო"*, - თითქოს ასე ამბობს ზიდანის ყველა გადაცემა.

■ ■ ■

მისი გუნდური სული ცალკე საუბრის თემაა. 90 წუთის განმავლობაში, ის ბურთს დაახლოებით 70-ჯერ ეხება და უკვე ჩემ მიერ აღნიშნული თამაშის სწრაფად წაკითხვა მისი გუნდის მოქმედებებს მიზანმიმართულობას ანიჭებს. ის ნატურით ალტრუისტია და არა მარტოხელა გმირი. ზიდანი ყოველთვის უანგაროდ ეხმარება პარტნიორს. არ მახსოვს შემთხვევა, როცა მას ეძუნწოს. ზიზუს წესად აქვს თანაგუნდელისთვის დახმარების გაწევა.

ერთნი თვლიან, რომ ფეხბურთი ფიზიკურ მომზადებაზეა (ძალა პლუს სისწრაფე) დაფუძნებული, მეორეებს ფეხების შესაძლებლობების (ტექნიკა) სჯერათ. მე მიმაჩნია, რომ ფეხბურთი თავიდან (ინტელექტი) იწყება. დამამტკიცებელი საბუთიც მაქვს: ზინედინ ზიდანი. ეს ის მოთამაშეა, რომელიც სიტუაციის მიხედვით ლოგიკურ ან ნოვაციურ ინტელექტს ავლენს . პირველ ვარიანტში ის კონსტრუქტორად გვევლინება, მეორე შემთხვევაში კი, არქიტექტორად გადაიქცევა.

მან სხვებზე უკეთ იცის, რა უნდა აკეთოს მინდვრის ნეიტრალურ ზონებში, მისი მოქმედება შეტევით მანევრებს დახვეწილობას მატებს. ის შესანიშნავი შუამავალია, რომელიც თავის მეგობრებს საუკეთესოებად აქცევს.

მის არსენალში უამრავი ღირსებიდან, ბურთისართმევა, ალბათ, ყველაზე მცირე დოზით არის წარმოდგენილი, მაგრამ გუნდურობის გრძნობა აქაც სრულად ვლინდება. ზიდანს შეუძლია მოწინააღმდეგეს 30 მეტრი სდიოს და დაკარგული დაიბრუნოს ან შეაფერხოს მეტოქის მანევრი.

კიდევ ერთი ლაქა: კარგ დარტყმას კი ფლობს, მაგრამ არც ისე ხშირად გააქვს გოლები, რათა ისევე შევიდეს ისტორიაში, როგორც, მაგალითად, **მიშელ პლატინი**.

იმის თქმა, რომ ფეხბურთი კაპრიზულია - ეს საკმაოდ ზოგადი ნათქვამია. თუ თამაში სიუჟეტია, მაშინ გოლი - ეს არის ამ სიუჟეტის გახსნის გასაღები, ძირითადი აზრი, პრობლემა. ცივგონებიან და მოუხელთებელ გოლეადორს, **რაულს** ბევრჯერ ვერ გაუტანია პენალტი, თანაც არა უბრალო, არამედ ვერცხლისა და ოქროს 11-მეტრიანები. ხანდახან გაიფიქრებ, რომ თამაშს განაგებს სატანა ან დამცინავი ღმერთი და რომ შეიძლება ქაოსის თეორიაც ირწმუნო. მაგრამ ბურთი ზიდანთან მიდის და გარშემო წესრიგი მყარდება.

ერთი ილუსტრაცია. პენალტის დანიშვნის შემდეგ ამტყდარ კამათსა და აყალმაყალში ზიდანი მონაწილეობას არ იღებს. მას ურჩევნია პულსი დაიდაბლოს, სუნთქვა აღიდგინოს, მხედველობა გაასწოროს. მისი დარტყმა უნაკლოა - ძლიერი ზედა კუთხეში. ამის შემდეგ ვხვდებით, რომ მატჩი საუკეთესო გუნდმა მოიგო, რომ პენალტი საუკეთესო მოთამაშემ გაიტანა, ხოლო რაული რაულად დარჩება... და თუ მართლა არსებობს დამცინავი ღმერთი, ის ზიდანს არასოდეს დასცინის.

### ანრი და ტრეზეგე

ზიდანამდე ან შემდეგ, ანუ მის არყოფნაში საფრანგეთის ნაკრები მხოლოდ და მხოლოდ კარგი გუნდი იყო. შესანიშნავი დაცვითი სისტემა, კარგად აწყობილი თამაში მოედნის შუაში და მოქმედების გოლამდე მიყვანის ქრონიკული უუნარობა (ამის გამო, 2002 წელს, კორეასა და იაპონიაში ფრანგები ჯგუფურ ეტაპზე გამოვარდნენ ისე, რომ გოლი ვერ გაიტანეს).

კარგზე უკეთეს გუნდად, საფრანგეთი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე წარმოდგა და ეს იმიტომ, რომ ზიდანი პარტნიორებს გახსნაში დაეხმარა. პირველი რიგში, ეს **ტიერი ანრიზე** ითქმის. ეს ფორვარდი ფინალური ტურნირის პირველ მატჩში გატანილი გოლით გამოირჩა, რამაც მის თამაშს გაგრძელება მისცა და მას მეორე მატჩში ორი გოლი მოჰყვა. ანრიმ გამოასწორა საფრანგეთის ნაკრების ორი ნაკლი - მიანიჭა მას მიზანმიმართულობა და შედეგიანობა.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ **დავიდ ტრეზეგეც**. როცა ტრავმების გამო გუნდს **დიუგარი** და **გივარში** გამოაკლდნენ, ის შეტევაში მესამე ზედმეტიდან ძირითადი შემადგენლობის აუცილებელ ფორვარდად იქცა. გონიერმა გადაადგილებებმა, ის ზიდანისა და ანრის ღირსეულ პარტნიორად აქცია. აი ასე, შემთხვევის წყალობით საფრანგეთმა გაახალისა შეტევითი მოქმედებები და თავიდან ბოლომდე სამაგალითო გუნდად იქცა.

სამწუხაროა, რომ ბრაზილიელებთან ფინალურ მატჩს ორივე ახალგაზრდა ფორვარდი სათადარიგოთა სკამიდან უყურებდა. მე მარწმუნებდნენ, რომ მათ მთელ ტურნირზე ძალები არ ეყოთ და რომ მათ გარეშე, საფრანგეთის ნაკრები გაცილებით დაბალანსებულ გუნდად ჩანდა. ვერ დამარწმუნეს: დაბალანსება - ეს თანაფარდობაა დაცვასა და შეტევას შორის, მათ გარეშე კი, საფრანგეთი მოგვაგონებდა დანას, რომელსაც წვერი მოტეხილი ჰქონდა. ზიდანი ამაოდ ეძებდა მათ მინდორზე.

### ჯორკაეფი

ნაკრებში მისი თამაში იწყებოდა იქ, სადაც მთავრდებოდა ზიდანის თამაში. ის მოწინააღმდეგის დაცვით ხაზს იოლად და დახვეწილად შლიდა, ყოველთვის ჰქონდა მარაგში შეტევის გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი და ამასთან, კარგი დარტყმა საშუალო მანძილიდან.

საერთო ჯამში, **იური ჯორკაეფი** - ალმაფრენის მოთამაშეა, რომელიც, სამწუხაროდ მას იშვიათად ეწვევა ხოლმე.

### დეშამი

**დიდიე დაშამს** მოედნის შუაში სოლიდური და ჭკვიანი თამაში გამოარჩევდა. ის - წონასწორობის წერტილია: როცა შეტევა საფრანგეთის კარისკენ იყო მიმართული, თავისი გუნდის ოთხივე მცველთან სრულ ჰარმონიაში მოქმედებდა; როცა ფრანგები ბურთს ეუფლებოდნენ, ეხმარებოდა მოედნის შუაში თამაშის განვითარებას. სხვა სიტყვებით, კარგად ხურავდა საჯარიმოსთან მისასვლელ კარს, ხოლო ბურთთან ერთად, თავად აღებდა ამ კარს და წინ მიდიოდა.

### დესაი

**მარსელ დესაი** - მაღალი, კარგი ნახტომის მქონე, თავით თამაშის უბადლო ოსტატი. წინასწარ იცნობს, ასწრებს და იგებს ორთაბრძოლებს. "მილანში" რამდენიმე პოზიციაზე თამაშის შემდეგ, დამაჯერებლობა და ავტორიტეტი მოიპოვა. კარგია მოკლე მონაკვეთებზე და ლია "ცურვის" დროს. იცოდა რა თავისი დეფექტები ტექნიკასა და მოედნის ხედვაში, შეძლო ამ ხარვეზების აღმოფხვრა, რაც ასე მნიშვნელოვანია მსგავსი უნივერსალისთვის.

### უცხოეთის ფაქტორი

საფრანგეთისა და მთლიანად ფრანგული ჩემპიონატის მაგალითზე შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება - აფრიკამ შესამჩნევად გააძლიერა თავისი გავლენა მსოფლიო ფეხბურთზე. შეხედეთ ჩემპიონებს: ზიდანი - ალჟირი, **ტიურამი**, ანრი, **დიომედი** - გვადელუპა, დესაი - განა, **ვიეირა** - სენეგალი, **ლამა** - გვინეა...

გარდა ამისა, ჯორკაეფი და **ბოგოსიანი** - სომხეთი, ლიზარაზუ და დეშამი - ბასკთა ქვეყნის ფრანგული ნაწილი, ტრეზეგე - არგენტინა, **კანდელა** - იტალია. ბუნებრივია, რომ ეს გუნდი **ლე პენს** არ შეუდგენია.

გაგრძელება იქნება





ზიდანი და დანარჩენები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კოტე ტულუშთან

# ჯეისონამდე შორია, ნაკრებამდე არც ისე...

საქართველოს ჩემპიონატის მე-19 ტურში მიმდინარე სეზონის პირველი სამმაგი დუბლი შესრულდა. მისი ავტორი "ავიამშენისა" და ეროვნული ნაკრების გამთამაშებელი კოტე ტულუში გახლავთ. მართალია, იგი ჯეისონ კიდის "ტრიპლ-დაბლებს" ვერ შესწვდება (NBA-ში 99 სამმაგი დუბლი აქვს), მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე მეტი, 4 ტრიპლ დაბლით შეუძლია თავის მოწონება. თუმცა, კოტეს თქმით, ყოველგვარ სტატისტიკაზე მნიშვნელოვანი გუნდის წარმატებაა:



კოტე ტულუში

- ორმაგი დუბლის შესრულება ყოველთვის სასიამოვნოა, სამმაგი დუბლისა მით უმეტეს. ეს ნებისმიერ კალათბურთელს ენთუზიაზმს მატებს. მაგრამ მაღალი სტატისტიკური მონაცემები ჩემი თვითმიზანი არ არის. არც არასოდეს ყოფილა. მთავარია, გუნდს გამარჯვებაში დავეხმარო. ორმაგად სასიხარულოა, რომ ბოლო ტურში "ტრიპლდაბლიც" ჩავიწერე და "ვითასთან" მნიშვნელოვანი მატჩიც მოვიგეთ. სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით, ვითელთა ძლევა ჰაერივით გვჭირდებოდა.

**- ჩემი დაკვირვებით, იყო შემთხვევები, როცა 10-ქულიანი ბარიერის გადალახვის შემდეგ აქცენტი შედეგიან გადაცემებზე გადაგქონდა...**

- "ვითასთან" მატჩში ასე არ ყოფილა. თუ არ ვცდები, "მაკაბისთან" შეხვედრაში ვეცადე, ყურადღება პასებზე გადამეტანა და თანაგუნდელებისთვის დამაგვირგვინებელ ფაზაში ხელი შემეწყო. სამმაგ დუბლზე ნამდვილად არ მიფიქრია. მას ვერც მივაღწიე, თუმცა 14 პასი მომიგროვდა და ჩემპიონატის რეკორდიც დავამყარე.

**- სეზონის დასაწყისთან შედარებით "ავიამშენმა" თამაში დაალაგა...**

- გეთანხმები, თამაში ცოტა დავალაგეთ, მაგრამ სტაბილურობა გვაკლია. ამის მაგალითი მე-18 ტური იყო: თსუ-სთან მთელი სამი პერიოდი ნორმალურად ჩავატარეთ, თითქოს მატჩის სადავეებიც ჩვენს ხელთ იყო, მაგრამ ბოლო პერიოდი ჩავაგდეთ და დავმარცხდით. იმ შეხვედრაში საშინლად ვითამაშე. საპირისპიროდ, კარგად გამოვიყურებოდით ორშაბათს "ვითასთან" მატჩში. რომ ვთქვათ, "ავიამშენმა" კრიზისს თავი დააღწიაო, მართალი არ იქნება. თუმცა პროგრესი გვაქვს და ვიმედოვნებ, რომ პლეი ოფებისთვის გუნდი ოპტიმალურ ფორმაში იქნება.

**- პლეი ოფში "ავიას" მიზნებზე რას იტყვი?**

- სეზონის დასაწყისიდან დღემდე არ დაგვიმალავს, რომ ჩვენი მთავარი მიზანი საქართველოს ჩემპიონობაა. ვფიქრობ, ოქროს მედლების მოპოვების კარგი შანსი გვაქვს და იგი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

**- თუ ფინალში გახვედით, მოედნის უპირატესობა, ალბათ, თქვენს მხარეს არ იქნება...**

- ამას ჩვენც ვაცნობიერებთ. კარგი იქნებოდა, რეგულარულ ჩემპიონატში რუსთაველებზე მეტი გამარჯვება მოგვეპოვებინა, მაგრამ რადგან ჯგუფურ ეტაპზე ვერ ვაჯობეთ, ვეცდებით, "ენერჯის" პლეი ოფში (ფინალში იქნება, თუ ნახევარფინალში) ერთი მატჩი რუსთავში მოვუგოთ და მათი მოედნის უპირატესობა გავაბათილოთ.

**- ეს რამდენად რეალურია?**

- რეალური რომ არ იყოს, ამას არც ვიტყოდი. შეუძლებელი არაფერია. მაგალითი წინ გვაქვს, ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე "ენერჯის" ფინალში მისსავე მოედანზე ვაჯობეთ.

**- სხვათა შორის, რუსთავში ამ პარასკევს მოგიწევთ ჩასვლა.**

- ის მატჩი კიდევ უფრო კარგად გვიჩვენებს როგორ ფორმაში ვართ და რა შეგვიძლია. მართალია, მეორე წრეში რუსთავში დავმარცხდით, მაგრამ ის შეხვედრა კარგად ჩავატარეთ და ბოლო წამებამდე ვინარჩუნებდით გამარჯვების შანსს. მაშინ ლაშა გამყრელიძემ მაღალ დონეზე ითამაშა და "ენერჯის" წარმატება, უმეტესწილად, მისი დამსახურება იყო.

**- ამ გახსენებაზე, მინდა გკითხო საქართველოს ნაკრების გამთამაშებლებზე...**

- კონკრეტულად?

**- გამყრელიძესა და ცინცაძეზე, რომლებმაც "ტარტუ როკი" გუშინ ევროთასის ნახევარფინალში გაიყვანეს.**

- დასანანია, რომ ლაშას ფეხის ტრავმის გამო ბევრი დრო გაუცდა. ტრავმიანობა კალათბურთელის კარიერაზე ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს, მაგრამ ახლა მარტია და შორია როგორც პლეი ოფებამდე, ასევე სანაკრებო მატჩებამდე. ვიმედოვნებ, რომ ლაშა ფორმას მალე აღიდგენს, ჩემპიონატსაც დამატებით ხიბლს შესძენს და ნაკრებსაც სათანადოდ დაეხმარება. მან შარშანაც დაამტკიცა, რომ ეროვნულისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. რაც შეეხება გიორგი ცინცაძეს. როგორც ჩანს, იგი ოპტიმალურ ფორმაშია და თამაშებსაც ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე იგებს. კარგად მესმის, რომ ძალიან ძნელია დღევანდელი ფორმის შენარჩუნება ნაკრების შეკრებამდე, მაგრამ ეს მთავარი არ არის, ცინცაძემ დღევანდელი ფორმის ნახევარიც რომ შეინარჩუნოს, ნაკრებს დიდ სამსახურს გაუწევს. მაგრამ, სამწუხაროდ, რთული სეზოვის შემდეგ აგვისტომდე ძალიან ძნელია დაუსვენებლად ვარჯიში. შესაბამისად კი, ფორმის შენარჩუნება.

**- ...და ნაკრების მესამე გამთამაშებელზე, კოტე ტულუშზე გკითხავ.**

- საკუთარ თავზე საუბარი არ მიყვარს. მაგრამ, მინდა აღვნიშნო ის, რასაც შარშან ვამბობდი: დიდი სათამაშო დროის პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, იგივე გამყრელიძის, ცინცაძის, მარკოიშვილის დასვენების მიზნით, მცირე დროით მოედანზე შესვლა ნამდვილად შემიძლია. ამ გახსენებაზე, ნაკრების ახალ მწვრთნელზე ხომ არაფერი იცი?

**- ფედერაციის წარმომადგენლები დაგვპირდნენ, როცა რამე გაირკვევა, უმალ შეგატყობინებთო. სადღეისოდ არაფერია ცნობილი.**

ვაჟა სიმონიშვილი



ზაზა ფაჩულია

ქართველი NBA-ში

# ატლანტამ შინ წააგო

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა" NBA-ში 58-ე მატჩი ჩაატარა და 34-ედ დამარცხდა. ჯორჯიელებმა შინ, "ფილიპს არენაზე" "გოლდენ სტეიტთან" 118:135 დათმეს. შეგახსენებთ, რომ "ატლანტამ" 8-დან 26 თებერვლამდე ერთადერთი მატჩი მოიგო, ისიც სტუმრად, "გოლდენ სტეიტთან". როგორც ხედავთ, ნიკა ცქიტიშვილის ყოფილმა კლუბმა "ჰოქსზე" შური იძია.

აქამდე ზაზა ფაჩულიას თამაშების მიმოხილვებს გუნდზე საუბრით იმიტომ ვიწყებდით, რომ ქართველ ცენტრს შეზღუდული სათამაშო დრო ეძლეოდა და ქულა-მოხსნების მოგროვებას ვერ ასწრებდა. "გოლდენ სტეიტთან" გუშინდელ მატჩში კი ზაზას მონაგარზე საერთოდ ვერაფერს ვიტყვით, რადგან მას მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. ოქმში გარკვევით წერია: არ უთამაშია მწვრთნელის გადაწყვეტილების გამო.

ვახტანგ ტყეშელაშვილი



ჭადრაკი




სოფიკო ხუხაშვილმა მაია ლომინეიშვილი დაამარცხა

საქართველოს ჩემპიონატი

# საბუთი ისევ არ ჩანს...

დარდიმანდობა ქართული სენიაო და, ვითომდა ეროვნული ღირსება იყოს, მავანთ წესად დაუდიათ: სულაც არ ინაღვლა არავინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში, რომ ქალთა უმაღლეს ლიგას გაურკვეველი მიზეზით გამოაკლდა ერთი მონაწილე და ვითომც ნაყინის ჭამა მობეზრებოდეს, სახლში დაჯდა და უკეთესი მომავლის იმედით ფიქრებსა და ოცნებებში გაეხვა. ერთი თქვა, - თავი მტკივაო და, ოღონდ შენ პულსი არ აგიჩქარდეს და კარგად ჩათფუნდი, ნიავმა არაფერი დაგაკლოსო - მიუალერსეს ქართული ჭადრაკის მესაჭეებმა. არავის უკითხავს და დაინტერესებულა, ეგებ და "მთლად ისე" არ არის საქმე, როგორც "მდინარე" რაკრაკებს...

გუშინ ტურნირის მთავარ მსაჯსაც და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ **გიორგი ყაჭეიშვილსაც** შევეხმიანეთ და ერთგვარად გვიპასუხეს: ავადმყოფობის დამადასტურებელ საბუთს ველით და თუ ხვალვე არ მოგვიტანა გვეტაძემ, სიმულაციაში ვამხელთ და საკადრისად დავსჯითო. ჩვენ კი შევუბრუნეთ კითხვა, - კი, მაგრამ თუ მოსათხოვი იყო, აქამდე უნდა მოგეთხოვათ, სიტყვაზე ნდობა წესის დარღვევაა და რა პირით შეხედავთ მონაწილეებსთქო, მაგრამ გვიპასუხეს: ადამიანს ჭრილობაზე მარილს ვერ დავაყრით, ვენდობით და გვჯერა, რომ ყველაფერი წესის მიხედვით მოგვარდებაო. ახლა მითხარით, როცა ამის შემდეგ "დაზარალებული" ცნობას მეორე დღესაც არ წარმოადგენს, ესე იგი არ ჩათვლის საჭიროდ პირმართალი იყოს ყველა წინაშე, რა ჰქვია ამას?

არის თუ არა ასეთი ქმედება უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივი? მე მგონი პასუხი ცალსახაა და თუ ფედერაცია სირაქლემასავით სილაში თავს ჩარგავს, ჩვენ ასეთ პოზას ნამდვილად ვერ მოვიწონებთ. დანაშაული სახეზეა და ერთი, რომ უშუალო დამნაშავემ უნდა ზღოს, სამსახურებრივი გულგრილობისთვის ფედერაციის ჩინოსანთა პასუხისმგებლობაც დგება დღის წესრიგში. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ასე ჰაიჰარად, ჰარი-ჰარალეთი იმართება ფედერაცია, ძალიანაც ცდება...

მოკლედ, მეშვიდე ტური ისევ **სოფიო გვეტაძის** გარეშე ჩატარდა, რასაც ყველა შეგუებული იყო, თუმცა გარკვეულ პასუხს კი ელოდნენ მონაწილენი ორგანიზატორებისგან. პასუხი არ იყო, ისევ საკუთარ ფრონტზე ძალების ხარჯვას მიაქციეს მთელი ყურადღება... წმინდა საჭადრაკო დაკა-დაკა ერთობ თვალსასეიროდ წარიმართა და შედეგიანადაც დასრულდა: ექვსი წყვილიდან ორი ყაიმით დასრულდა, ოთხში კი გამარჯვებული გამოვლინდა. ქულების გაყოფა **სოფიო ნიკოლაძემ** და **ქეთი წანალაშვილმა**, ასევე **სოფიკო ტერელაძემ** და **ინგა ხურცილავამ** შეძლეს; მოგებულები კი გუშინ ესენი გახდნენ: **სოფიკო ხუხაშვილმა მაია ლომინეიშვილი** დაამარცხა, **ნინო ხურციძემ** ასევე თეთრებით **სოფიკო გურამიშვილს** აჯობა; შავებით მოუგო **ინგა ჭარხალაშვილს ნანა ძაგნიძემ**, ხოლო **სალომე მელიამ** ქულის აღება თეთრი ფერით ნინო ბაციაშვილის დამარცხების შემდეგ შეძლო. **ბელა ხოტენაშვილი**, გასაგებ მიზეზთა გამო, ისვენებდა.

სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდა: სათავეში სამეული ლიდერობს, მაგრამ აქედან ნანა ძაგნიძეს ერთი პარტიით ნაკლები აქვს ჩატარებული; მაია ლომინეიშვილს და ინგა ჭარხალაშვილს კი - ერთით მეტი - შვიდივე ტური ითამაშეს. ამათ სალომე მელია და სოფიკო ხუხაშვილი მისდევენ 4 ქულით. აქაც არის პარტიათა რაოდენობაში განსხვავება - სალომეს სოფიკოზე ერთით ნაკლები მატჩი აქვს ჩატარებული. ცხრილს სრულად ქვემოთ გთავაზობთ, იქამდე კი გეტყვით, რომ მერვე ტურში ინგა ხურცილავა დაისვენებს, ყველაზე საინტერესო კი პირველ, მესამე და მეოთხე დაფებზე გასამართი ბრძოლები იქნება: **მაია ლომინეიშვილი ქეთი წანალაშვილს შეხვდება, ნანა ძაგნიძე სალომე მელიას დაუპირისპირდება, სოფიკო გურამიშვილის მეტოქე კი ინგა ჭარხალაშვილი იქნება. სხვა წყვილები: ნინო ბაციაშვილი-სოფიკო ნიკოლაძე, ბელა ხოტენაშვილი-ნინო ხურციძე, სოფიკო ხუხაშვილი-სოფიკო ტერელაძე.**

სატურნირო მდგომარეობა: 1-3. ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი, ინგა ჭარხალაშვილი-4.5; 4-5. სოფიკო ხუხაშვილი, სალომე მელია-4; 6-7. სოფიკო გურამიშვილი, ნინო ხურციძე-3.5; 8-9. სოფიკო ტერელაძე, ქეთი წანალაშვილი-3; 10. ბელა ხოტენაშვილი-2.5; 11-12. ინგა ხურცილავა, ნინო ბაციაშვილი-2; 13. სოფიკო ნიკოლაძე-1.

**ზვიად შათირიშვილი**

ფრენბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი მატჩი ჩერნოგორიასთან

**საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრებს წლეულს სერიოზული გამოცდა ელის. ჩვენი ფრენბურთელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩერნოგორიის ქალთა ნაკრებს დაუპირისპირდებიან. პირველი შეხვედრა 8 მაისს სტუმრად გაიმართება, საპასუხო კი თბილისში 11 მაისს შედგება.**

ამ წყვილში გამარჯვებული F ჯგუფში ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის ისრაელის, საბერძნეთისა და თურქეთის ნაკრებებთან ერთად იბრძოლებს. საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **ნინო მღებრიშვილია**, რომელიც გუნდის მოთამაშეებს საქართველოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე დაასახელებს. შეჯიბრი კი 22 აპრილს დასრულდება. როგორც **ნინო მღებრიშვილმა** გვითხრა: *"აპრილის ბოლოს გუნდი შეკრებას სავარაუდოდ გურჯაანში გაივლის, სადაც საამისოდ საკმარისად კარგი პირობებია. გამორიცხული არაა ეროვნულ გუნდს ლეგიონერი, სლოვენიაში მოთამაშე მარია ცარენკოც დაემატოს. სამწუხაროდ მან იანვარში ტრავმა მიიღო და ოპერაციის გაკეთება მოუწია. თუ შეძლებს ფორმის აღდგენას, აუცილებლად დავიხმართ. ისე კი გუნდი ძირითადად ჩემპიონატში მოასპარეზე ახალგარდა ფრენბურთელებით დაკომპლექტდება. ძალიან კარგი თაობა მოვიდა და ვფიქრობ მათ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან".*

საქართველოს ჩემპიონატი დიდ ჯიხაიშში 1 აპრილიდან განახლდება, მეორე წრის პირველი ტურის მატჩებით. ჩემპიონატში მონაწილე ექვსი გუნდი აქ ხუთ აპრილამდე რეგულარული გათამაშების დანარჩენ შეხვედრებსაც ჩაატარებს. საუკეთესო ოთხეული პლეი ოფში ორ გამარჯვებამდე მიმოსვლით იბრძოლებს. ფინალი 18, 21 და 22 აპრილს ასევე ორ მოგებამდე გაიმართება.

**ბესიკ ჯანგავაძე**



საქართველოს ჩემპიონატი. II წრე

| 1 აპრილი |
|---|
| თბილისი-ბათუმი |
| დუშეთი-ჯიკო |
| ქუთაისი-ბოლნისი |
| **2 აპრილი** |
| ბათუმი-ბოლნისი |
| ჯიკო-ქუთაისი |
| თბილისი-დუშეთი |
| **3 აპრილი** |
| დუშეთი-ბათუმი |
| ქუთაისი-თბილისი |
| ბოლნისი-ჯიკო |
| **4 აპრილი** |
| ჯიკო-ბათუმი |
| თბილისი-ბოლნისი |
| დუშეთი-ქუთაისი |
| **5 აპრილი** |
| ქუთაისი-ბათუმი |
| ბოლნისი-დუშეთი |
| თბილისი-ჯიკო |

| ნახევარფინალი |
|---|
| **9 აპრილი** |
| III-II ადგილი |
| **10 აპრილი** |
| IV-I ადგილი |
| **12-13 აპრილი** |
| II-III ადგილი |
| **14-15 აპრილი** |
| I-IV ადგილი |
| **III ადგილი** |
| 17, 19, 20 აპრილი |
| **ფინალი** |
| 18, 21, 22 აპრილი |

| | თ | მ | წ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჯიკო | 5 | 5 | 0 | 15:2 | 10 |
| 2. თბილისი | 5 | 4 | 1 | 14:5 | 8 |
| 3. დუშეთი | 5 | 3 | 2 | 11:6 | 6 |
| 4. ბოლნისი | 5 | 2 | 3 | 6:9 | 4 |
| 5. ქუთაისი | 5 | 1 | 4 | 3:12 | 2 |
| 6. ბათუმი | 5 | 0 | 5 | 0:15 | 0 |

ფარიკაობა

# მარტსა და აპრილში იარაღის ჟღარუნი არ შეწყდება

საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ და ქ. ქუთაისის მერიამ, შესაძლებლობები გააერთიანეს და ირანის ქ. იაზდში კატეგორიის იუნიორთა საერთაშორისო ტურნირზე მიავლინა საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრები. რაც მთავარია, ჩვენი დელეგაცია 30 წევრისგან შედგებოდა, ასე ხალხმრავლად კი კარგა ხანია საქართველოს მოფარიკავეებს არ უასპარეზიათ საერთაშორისო სარბიელზე.

ვაჟთა შორის ხმლით ასპარეზობაში I-II ადგილზე შესაბამისად გავიდნენ თბილისელები **კახაბერ მაღრაძე** (მწვრთნელი **ოლეგ ჩერნიშოვი**) და **ბექა ბაზაძე** (მწვრთნელი **მერაბ ბაზაძე**). გოგონებში კი საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ასევე თბილისელები დადგნენ. პირველი იყო **თეოდორა კახიანი**, მეორე - **სოფიო კახიანი**, მესამე - **ქეთევან გოგიაშვილი**. სამივე სპორტსმენი მწვრთნელ **ლუდვიგ ლალანიძის** შეგირდია.



ფინალში გასასვლელი ბრძოლები წააგეს: ხმალში - **გიორგი ბახსოლიანმა** (თბილისი) და **გიორგი გორგიძემ** (ქუთაისი); დაშნაში -**გიორგი ნაცვლიშვილმა** (ქუთაისი) და **ხატია ლელაძემ** (ქუთაისი). ეს ტურნირი კარგი სკოლა იყო თბილისელ სანდრო ბაზაძისთვის, რომელმაც თავისზე უფროსებთან რამდენიმე პაექრობა მოიგო და მხოლოდ ნახევარფინალში გასასვლელი შეხვედრა დათმო თურქ მოფარიკავესთან.

ტურნირში ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, თურქეთის, ქუვეითის, ერაყის, შვეიცარიის, საბერძნეთის და ჰოლანდიის ნაკრები გუნდების 200-ზე მეტი იუნიორი მოფარიკავე მონაწილეობდა.

მიმდინარე თვეში, ჩვენი დაშნით მოფარიკავეები ისრაელში, ასევე A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ. საგულისხმოა, რომ ისრაელის ასპარეზობა მსოფლიო თასის ეტაპია. ეს იქნება ამ წლის ბოლო შეჯიბრება იუნიორებისა და კადეტების მსოფილო ჩემპიონატის წინ.

იუნპიორთა მსოფლიო ჩემპიონატს სიცილია უმასპინძლებს 5-11 აპრილს. საქართველოს მოფარიკავეები ამ ტურნირში აუცილებლად იასპარეზებენ. აპრილშივე სტამბულში ჩატარდება ევროპის ქვეყნების შესარჩევი საოლიმპიადო სალიცენზიო ტურნირი. პეკინის საგზურს მიიღებენ მხოლოდ I და II ადგილზე გასული მოფარიკავეები. საქართველოდან ამ ტურნირი იასპარეზებს ხმალში მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი იუნიორთა შორის, **მიხეილ მომცემლიძე**.

**ლუდვიგ ლალანიძე,**
*ირანის ტურნირზე საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

IRB-ის დესანტი

# ოთხი სტუმარი დუბლინიდან



საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ბოლოდროინდელ წარმატებებს მსოფილოს რაგბის სამყაროში შესატყვისი გამოხმაურება მოჰყვა. რაგბით ქვეყნის ხელისუფლებაც დაინტერესდა. მისი შემდგომი განვითარების ერთობლივი გეგმაც შემუშავდა, რაგბის კავშირთან. დღეს კი თბილისში IRB-დან უპრეცედენტოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია გვეწვია. IRB-ის განვითარების მენეჯერი **ბრუს კუკი, მიშელ არპაიანჟი** - რეგიონალური განვითარების მენეჯერი (ევროპა), ბრუს კუკის კონსულტანტები სანაკრებო რაგბის განვითარების საკითხებში: **დენიელ კოლინზი** (კომპანია "კოლინზ კონსალტინგი") და **ალან სოლომონსი**.

IRB-ის დელეგაცია თბილისში სამ დღეს დაყოფს და რაგბის კავშირის საქმიანობას შეისწავლის. რის შემდეგაც სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტებს განსაზღვრავს.

შეგახსენებთ, რომ ბრუს კუკი და დანიელ კოლინზი ანალოგიური მისიით საქართველოში 2006 წლის დასაწყისშიც იმყოფებოდნენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ხელბურთი

ლეგიონერები

### ჭანტურიას ფრე და ორი გოლი



ზამთრის არდადეგების შემდეგ, მაკედონიის სახელბურთო ჩემპიონატი განახლდა. საგაზაფხულო ეტაპის პირველივე წრეში, მთელი ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი შედგა. დედაქალაქურ დერბიში, **რეზო ჭანტურიას** "მეტალურგმა" თავის დაუძინებელ მტერსა და უშუალო კონკურენტ "ვარდარს" უმასპინძლა. თუკი სტუმრები მოიგებდნენ, პირველადგილოსან "მეტალურგებთან" ჩამორჩენას ერთ ქულამდე შეამცირებდნენ. მიუხედავად მატჩის პრინციპულობისა, სკოპიეს "ავტოკომანდას" ტრიბუნები ბოლომდე მაინც ვერ შეივსო და მხოლოდ 800 გულშემატკივარი შეიკრიბა.

მატჩის პირველი ნახევარი მასპინძლებმა 16:15 მოიგეს. დაძაბულად ნარიმართა უკანასკნელი ნახევარსაათიანი მონაკვეთიც, მაგრამ მეტოქეები ბოლოს მშვიდობიანად გაიყარნენ - 27:27. ფრემ უფრო "მეტალურგის" წისქვილზე დაასხა წყალი, რადგან ძირითად კონკურენტთან 3-ქულიანი სტატუსკვო შეინარჩუნა.

რაც შეეხება რეზო ჭანტურიას მონაგარს, ქართველმა გარემარბმა ერთი საათის განმავლობაში ორჯერ დაარტყა კარში და "ვარდარის" გოლკიპერი ორჯერვე დამწუხრებული დატოვა.

ახლა "მეტალურგი" აქცენტს მთლიანად ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე გადაიტანს, სადაც მეოთხედფინალშია გასული. მეოთხედფინალის პირველ მატჩში, მაკედონიელები შაბათს სლოვენიურ "კოპერს" დაუხვდებიან.

### დინამოს შავი დღეები

რუმინეთის ჩემპიონატში, შავად მიდის "დინამოს" საქმეები. **ვლადიმერ რუსიას** კლუბმა ბოლო 3 მატჩი ზედიზედ წააგო და მთლად სავალალო გახადა ჩემპიონობის შანსი. თუმცა ჩემპიონობას ვინ ჩივის, დინამოელებს სამეულში მოხვედრის იმედიც კი, ფაქტობრივად, გადაწურული აქვთ. ისინი პირველადგილოსან "სტიაუას" 15 ქულით ჩამორჩებიან, ხოლო მესამე პოზიციაზე მყოფ "ბაკაუმდე" 10 ქულა აშორებთ.

ქართველი ხელბურთელის გუნდმა ჯერ მე-11 ადგილზე მყოფ "ტიმოაშარასთან" წაგო (27:25), მერე "სტიაუასთან" განადგურდა (23:32), ბოლო ტურში კი მეხუთეადგილოსან "ბაიამარესთანაც" დაყარა ფარხმალი - 26:31.

ქართველი ხელბურთელის კლუბს 18 მატჩში 8 მოგება და 10 წაგება დაუგროვდა. შესაბამისად, "დინამო" სატურნირო ცხრილში 8-10-ე ადგილებს იყოფს.



ვლადიმერ რუსია

### კვარტეტმა მდგომარეობა გაირთულა

თურქული სახელბურთო ჩემპიონატის მეორელიგოსანი "ორმანი" უცხოური კლუბებიდან ყველაზე "ქართულია". შარშან, ამ გუნდში გადავიდა "თბილისის" 4 მოთამაშე - **შოთა გრიშიკაშვილი, ლევან ოსიყმაშვილი, გიორგი ნატროშვილი და მეკარე გაგა სეთურიძე**. ქართულად დაქოქილი "მეტყევეები" თავიდან მშვენივრად ირჯებოდნენ და ქვეჯგუფს ლიდერობდნენ, მაგრამ ბოლო ხანს მოეშვნენ და მესამე ადგილამდე დაქვეითდნენ. "ორმანს" ბოლო ტურში შანსი ჰქონდა, რომ მეორეადგილოსან "აზიზ კოლეჯთან" მინიმუმამდე დაეყვანა სხვაობა, მაგრამ 19:25 წაგო და ისევ 3 ქულა აშორებს ლიდერებამდე ("აზიზი კოლეჯსა" და "ქაიკირსფორს" 13-13 ქულა აქვთ).

თურქეთის პირველი ლიგა 5 ქვეჯგუფადაა დაყოფილი. სეზონის ბოლოს, თითოეული ჯგუფის 2-2 საუკეთესო კლუბი უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ ფლეი ოფში აგრძელებს ბრძოლას. რაც შეეხება ქართველ ხელბურთელთა მონაგარს, სამწუხაროდ, თურქული ხელბურთის ფედერაციის ვებგვერდი მოთამაშეთა პირად სტატისტიკებს არ აქვეყნებს და ამიტომაც, ამ მხრივ არაფერი ვიცით.

**კობა ხატისაშვილი**

## ძიუდო



ევროპის ჩემპიონატის წინ

# ლისაბონი ბაკურიანში იწყება

დღეიდან ძიუდოისტთა ნაკრები ევროპის პირველობისთვის მზადების დასკვნით, საშეკრებო ეტაპზე გადადის. მოგეხსენებათ, პირველი ეტაპი მსოფლიო თასებში გამოსვლას ითვალისწინებდა, სადაც ჩვენებმა დიდი წარმატებით იასპარეზეს - 5 ტურნირში ჩვენებმა 6 ოქროს, 4 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. თანაც, ლიცენზიები იმ ორ წონით კატეგორიაშიც მოიპოვეს, რომლებშიც მიზანს მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ უწიეს - 66-სა და 81-ში. ამ ტურნირებმა 11-13 აპრილს ლისაბონში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობაც გამოავლინა: **ნესტორ ხერგიანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** (+100).

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას ძიუდოისტები დღეიდან შეკრებებით გააგრძელებენ და პორტუგალიაში გამგზავრებამდე ორ შეკრებას გამართავენ. პირველს დღეს იწყებენ ბაკურიანში, სადაც ნაკრები გაფართოებული შემადგენლობით - დაახლოებით 40 კაცით შუადღეზე გაემგზავრება. ცხადია, ბორჯომში ევროპაზე წამსვლელი შვიდეული უკლებლივ მიდის. მათ შორის, **დავით ქევხიშვილიც**, რომელიც ჯანმრთელობის პრობლემების გამო მსოფლიო თასებზე არ გამოსულა. თუმცა საგანგაშო არაფერია - უბრალოდ, მწვრთნელებმა არ გარისკეს და ტურნირებში არ აჭიდავეს.

ნაკრები ბაკურიანში ნაცნობ მისამართზე - სასტუმრო "ევრიკაში" დაბინავდება, სადაც ადრეც ხშირად ყოფილან შეკრებაზე. ნაკრების თავკაც **შოთა ხაბარელის** თქმით, იქ ძალიან კარგი დარბაზიცაა, კვებაც მუდამ აკმაყოფილებდათ, მომსახურების ხარისხიც და მისამართის შეცვლაზე არც უფიქრიათ. თუმცა არჩევანიც არა აქვთ, რადგან სხვა სასტუმროებში ასეთი დარბაზი არცაა.

ეს შეკრება ორი კვირა გაგრძელდება და მეტი ყურადღება ტატამზე ვარჯიშს დაეთმობა, ფიზმომზადებას - შედარებით ნაკლები. საქმე ისაა, რომ ხაბარელი საევროპოდ ნაკრების პიკში მიყვანას არ აპირებს - ამას საოლიმპიადოდ გააკეთებს. ამიტომ ახლა არცაა დაინტერესებული, ბიჭები ფიზიკურად დატვირთოს. ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე ისინი ისევ ბაკურიანში, იმავე სასტუმროში კიდევ ერთ შეკრებას გაივლიან და ფიზმომზადებაზე აქცენტს მაშინ გააკეთებენ, ახლა კი ძირითად ყურადღებას ტექნიკურ მხარეს დაუთმობენ.

ზემოთქმულის მიუხედავად, ხაბარელი და მწვრთნელთა საბჭო სულაც არ აპირებენ შარშანდელი მართლაც რომ ჩინებული შედეგის დათმობას. შეგახსენებთ, რომ შარშან, ბელგრადში გამართულ ევროპირველობაზე ჩვენმა ნაკრებმა 5 მედალი მოიპოვა - თითო ოქრო-ბრინჯაო და 3 ვერცხლი. ამასთან, უმედლოდ დარჩენილი ის ორი კაციც საპატიო შვიდეულში შევიდა. ის მართლაც მშვენივრად მომზადებული, თანაბრად ძლიერად დაბალანსებული გუნდი იყო, რომელსაც სუსტი წერტილები ძნელად მოეპოვებოდა. აკი ბელგრადში აღებული სტარტი გუნდმა მშვენივრად გააგრძელა ბრაზილიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც სამივე ხარისხის თითო მედალი მოიპოვა და 18-წლიანი მოლოდინის შემდეგ ისევ დაიბრუნა. ცხადია, იმ შედეგის გაუმჯობესება კი არა, გამეორებაც ძნელი საქმეა, მაგრამ მწვრთნელთა საბჭო ამ მძიმე ამოცანასთან შესაჭიდებლად მზადაა და გაუმჯობესებაზეც კი ფიქრობენ. ხაბარელი ამბობს, რომ რაოდენობრივად თუ არა, ხარისხობრივად მაინც გააუმჯობესებენ.

ამ შეკრების დამთავრების შემდეგ გუნდი თბილისში დაბრუნდება და ერთი კვირის განმავლობაში დაისვენებს, მერე კი ბორჯომში გაემგზავრება მეორე შეკრებაზე. რისი დასრულებიუს შემდეგაც, 9 აპრილს გუნდი ლისაბონში გაფრინდება.

**ირაკლი თავაძე**

## პროფესიული კრივი

# დღეს განახლდება

ვერის ბაღის კრივის დარბაზში დღეს პროფესიულ კრივში ევროპისა და მსოფლიო კლასიფიკაციის ოფიციალური სარეიტინგო ორთაბრძოლები განახლდება. რინგზე გამოვლენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი პროფესიონალი მოკრივეები. ჩატარდება 9 შეხვედრა. 72 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს უძლიერესი მოკრივისა და ქამრის დაცვა მოუწევს ვარიანელ **შალვა ჯამარდაშვილს**. მისი მეტოქე იქნება თბილისელი **გიორგი ზალიკალიანი**. შეხვედრები 17 საათზე დაიწყება.

## ჭადრაკი

### ლინარესის ტურნირი

XII ტური: ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)-პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0.5:0.5; მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)-ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 1:0; ლევონ არონიანი (სომხეთი)-ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 0.5:0.5; ვასილი ივანჩუკი (უკრაინა)-თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) 0.5:0.5.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) - 7.5 ქულა; 2. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) - 7; 3. ლევონ არონიანი (სომხეთი) - 6.5; 4. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) - 6; 5-6. თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) - 5.5; 7-8. ალექსეი შიროვი (ესპანეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი) - 5.

### ანანდი და კრამნიკი სამი დღით გვიან დაიწყებენ

ინდოელ ვიშვანათან ანანდსა და რუს ვლადიმერ კრამნიკს შორის საჩემპიონო მატჩის თარიღი შეიცვალა. ამ ორი დიდოსტატის დაპირისპირება გერმანიის ქალაქ ბონში სამი დღით გვიან, 14 ოქტომბერს დაიწყება და 2 ნოემბრამდე გაგრძელდება. ამის შესახებ მატჩის ორგანიზატორები იუწყებიან.

## კალათბურთი

### ბრენდი ვარჯიშს იწყებს

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" ლიდერი **ელტონ ბრენდი** (შარშანდელ სეზონში 20.3 ქულა და 10.2 მოხსნა), რომელმაც აქილევსის მყესის ოპერაცია გადაიტანა და სეზონის ორი მესამედი გამოტოვა, მარტის შუა რიცხვებში შეუდგება სრულფასოვან ვარჯიშებს. ბრენდს იმედი აქვს, რომ სეზონის ბოლოს შეძლებს თავისი გუნდის დახმარებას.

*"მისი მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა"*, - იუწყება "კლიპერსის" მთავარი მწვრთნელი **მაიკ დანლივი**.

### არენასი მალე დაბრუნდება

სავარაუდოდ, ბრენდზე ადრე დაუბრუნდება რეგულარულ ჩემპიონატს "ვაშინგტონ უიზარდსის" ლიდერი **გილბერტ არენასი**. ფორვარდმა 21 ნოემბერს მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მას შემდეგ მოედანზე აღარ გასულა. ბოლო ინფორმაციით, ექიმებმა არენასს სრულფასოვანი ვარჯიშების უფლება მისცეს.

*"უკვე შემიძლია სრული დატვირთვით კონტაქტური ვარჯიშების ჩატარება. თუმცა მოვლენების ფორსირებას არ ვაპირებ და რეგულარულს მაშინ დავუბრუნდები, როცა ასი პროცენტით ვიქნები მზად"*, - აცხადებს არენასი.

### რაიტმა სეზონი დაასრულა

"მაიამი ჰიტს" სეზონის ბოლომდე გამოაკლდა ფორვარდი **დორელ რაიტი**. ამ უკანასკნელმა დღეს ტრავმირებულ მუხლზე ოპერაცია გაიკეთა.

27 წლის კალათბურთელმა დაზიანება "საკრამენტოსთან" გუშინდელ მატჩში მიიღო. წელს რაიტი 7.9 ქულითა და 5.0 მოხსნით ეხმარებოდა თავის გუნდს.

### უებერმა მუხლი იტკინა

"გოლდენ სტეიტის" ფორვარდმა **კრის უებერმა** "პორტლენდთან" მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო და გაურკვეველი ვადით გამოაკლდა გუნდს. ვეტერანმა უკვე გამოტოვა "ატლანტასთან" შეხვედრა. ექიმების ვარაუდით, უებერს მუხლის მყესები აქვს დაზიანებული.

"უორიორზს" გასვლითი სერია აქვს და დარჩენილ სამ შეხვედრაში კრისი თავის გუნდს ვერ დაეხმარება.

### არტესტი 5 ათასს გადაიხდის

"საკრამენტო კინგზმა" 5 ათასი დოლარით დასაჯა ფორვარდი **რონ არტესტი**, რომელმაც გუნდის მთავარი მწვრთნელი **რეჯი ტეუსი** გააკრიტიკა. კალათბურთელმა უკმაყოფილება გამოთქვა ბოლო მატჩებში "მეფეების" სასტარტო როტაციისა და გუნდის პლეი ოფში მოხვედრის შანსების გამო.

სხვათა შორის, ამ სეზონში არტესტი პირველი კალათბურთელი არ არის, ვინც "საკრამენტომ" ფულადი ჯარიმით დასაჯა. უფრო ადრე არტესტის ბედი **მიკი მურმა** და **ჯონ სალმონსმაც** გაიზიარეს.

### უეიდი სეზონს ევროპაში დაიწყებს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ აპირებს პროექტ NBA Europe Live-ის განხორციელებას. წელს, ძველ კონტინენტზე NBA-ის ოთხი კლუბი გაემგზავრება. "მაიამი" და "ნიუ ჯერსი" პარიზსა და ლონდონში გამართავენ საჩვენებელ მატჩებს, ბარსელონასა და ბერლინში ჩავლენ "ნიუ ორლეანი" და "ვაშინგტონი".

"მაიამიზე" არჩევანის შეჩერება შემთხვევითი არ ყოფილა. ამ გუნდის ლიდერის, **დუეინ უეიდის** სათამაშო ატრიბუტიკა ევროპაში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

### ოკლაჰომაში კალათბურთზე ფიქრობენ

ოკლაჰომა-სიტის მერი **მაიკ კორნეტი** მუნიციპალურ რეფერენდუმზე გაიტანს ადგილობრივი სპორტული არენის, Ford Center-ის რეკონსტრუქციის საკითხს. ქალაქის მთავრობას აინტერესებს, სურს თუ არა ადგილობრივ მოსახლეობას ოკლაჰომა-სიტიში NBA-ის დონის გუნდის მიღება.

კორნეტი პროექტს 121 მილიონ დოლარად აფასებს. მუნიციპალურმა ბიუჯეტმა ეს თანხა ოკლაჰომას მაცხოვრებელთა ჯიბეებიდან უნდა შეაგროვოს. ამას ის გაყიდვებზე გადასახადის გაზრდით მიაღწევს. როგორც იცით, "სიეტლ სუპერსონიქსის" ახალი მფლობელი **კლეიტონ ბენეტი** ხშირად იმეორებს, რომ მას თავის მშობლიურ ქალაქ ოკლაჰომაში სურს "სონიქსის" გადაყვანა, თუ NBA-ის ხელმძღვანელობა და სიეტლის მთავრობა ამის უფლებას მისცემენ.

### გერმანიამ შემადგენლობა დაასახელა

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დირკ ბაუერმანმა** იმ კალათბურთელების სია გამოაქვეყნა, რომლებიც პეკინის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. როგორც ყოველთვის, გუნდის ლიდერი **დირკ ნოვიცკი** იქნება, გარდა ამისა, ნაკრებში ორი დებიუტანტია. ახალგაზრდული გუნდიდან პირველ ნაკრებში მოხვდნენ **კონრად ვისოცკი** და **იასინ იდბიჰი**, რომელიც წარმოშობით მაროკოელია.

გერმანელთა სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მცველები:** რობერტ გარეტი, მითჰარ დემირელი, დემონდ გრინი, სტეფან ჰამანი (ყველა - "ბამბერგი"), იოჰანეს ჰერბერი ("ალბა"), პასკალ როლერი ("სკაილაინერსი");

**თავდამსხმელები:** სვენ შულტცე ("სნაიდერო"), ადემოლა ოკულაჯა ("ბამბერგი"), გვიდო გრიუნჰაიდი ("გრონინგენი"), დირკ ნოვიცკი ("დალას მავერიქსი"), იასინ იდბიჰი ("კიოლნი"), კონრად ვისოცკი ("ულმი");

**ცენტრები:** პატრიკ ფემერლინგი ("ალბა"), იან-ჰენდრიკ იაგლა ("ხუვენტუდი"), კრისტოფერ მაკნაფტონი ("ოსპიტალეტი").



განხეთქილება

# სეზონი სკანდალით იწყება



პატრიკ მაკქუეიდი

ველოსპორტში დიდი რბოლების სეზონი იწყება, რომელსაც ტრადიციულად, პარიზი-ნიცას რბოლა ხსნის. მაგრამ ახალი სეზონის დასაწყისს ველოსპორტის საერთაშორისო კავშირსა (UCI) და ტურ დე ფრანსის ორგანიზატორს, "ამორი სპორტს ორგანიზასიონს" (ASO) შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება დაემთხვა.

ამის მიზეზი კი ის ფაქტი გახდა, რომ კავშირს დაქვემდებარებული, პრო ტურის ლიცენზიის მქონე გუნდებმა, იმის მიუხედავად, რომ კავშირისგან მკაცრად არიან გაფრთხილებულნი, პარიზი-ნიცას რბოლაში მონაწილეობა გადაწყვიტეს. სანამ ეს მოხდებოდა, კავშირმა საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციას სთხოვა, ოფიციალურად არ ეცნო პარიზი-ნიცას რბოლა.

აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სეზონის დაწყებამდე, "ამორი სპორტსმა" მის მიერ ორგანიზებული რბოლები (მათ შორის ფრანგული ტური, პარიზი-ნიცა, პარიზი-რუბე და ფლეშ ვალონი), არ შეიყვანა პრო ტურის კალენდარში, რისი მიზეზიც, ისევ და ისევ, კავშირთან განხეთქილება გახდა.

ახლა კი კავშირი იმუქრება, რომ იმ გუნდებსა და ველომრბოლელებს, რომლებიც პარიზი-ნიცაზე მაინც გამოვლენ, ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დასჯის!

*"კავშირი ახსენებს ველომრბოლელებს და გუნდებს, რომ თუ ისინი პარიზი-ნიცას რბოლაზე იასპარეზებენ, ეს მათთვის არასასურველი შედეგით დასრულდება. ამასთან, ჩვენ ამ რბოლაზე არ გავგზავნით სამსაჯო ჯგუფს და არც დოპინგ კონტროლის საშუალებებით უზრუნველვყოფთ. მოკლედ, შემიძლია განვაცხადო, რომ ეს რბოლა მეკობრული წესებით ტარდება და მის მონაწილეთა მიმართ ჩვენ შესაბამის ქმედებას განვახორციელებთ. ჩვენი წესების დამრღვევი ველორბოლების მიმართ არც ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დასჯას გამოვრიცხავთ"*, - განაცხადა კავშირის პრეზიდენტმა **პატრიკ მაკქუეიდმა**.

კავშირის წესებით, ველომარათონების ორგანიზატორები ვალდებულნი არიან, თავიანთ რბოლებზე პრო ტურის ყველა გუნდი მიიწვიონ. დარჩენილ ვაკანსიებზე კი უაილდ ქარდებს თავად გასცემენ. მაგრამ ორგანიზატორებს სურთ, რომ ყველა გუნდი თავად მიიწვიონ. ბევრი კამათის შემდეგ, კავშირმა თავის პირობებზე ნაწილობრივ დაითანხმა ჯიროსა და ვუელტას ორგანიზატორები, "ამორი სპორტსი" კი გაჯიქდა, რასაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობის უკიდურესი გამწვავება მოჰყვა.

ამ გამწვავების ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ "ამორი სპორტსი" ფრანგულ ტურზე გამოსვლის ლიცენზიას არ აძლევს ყაზახურ გუნდ "ასტანას", რომელშიც გასული სეზონის ბოლოს, ტურის მოქმედი ჩემპიონი, ესპანელი **ალბერტო კონტადორი** გადავიდა. "ასტანას" არმიწვევის მიზეზი კი ის გარემოება გახდა, რომ ეს გუნდი ბოლო ორ სეზონში მრავალ დოპინგ-სკანდალში გაეხვა.

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ფლორიდა 0:1**

0:0, 0:0, 0:0, 0:1

გოლი: 0:1 ჰორტონი-22 (ვეისი-27, მ. იოჰანსონი-9).

**რეინჯერსი-აილენდერსი 3:4 (ბ)**

0:1, 2:2, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 კომო-5, 1:1 დეივსი-11 (გომესი-50, ტიუტინი-14), 1:2 ბერგენჰაიმი-8 (შატანი-22, ბერარი-12), 1:3 ჰანტერი-10 (ფედოტენკო-17, ვაშიჩეკი-18), 2:3 დრური-22 (სტრაკა-20, როჟსივალი-22), 3:3 კელეჰანი-7 (გომესი-51, ჟირარდი-17).

ბულიტები გაიტანეს: დეივსი (რეინჯერსი), გერინი (აილენდერსი), ტამბელინი (აილენდერსი).

**ფილადელფია-ბაფალო 2:5**

1:2, 1:0, 0:3

გოლები: 0:1 პომინვილი-21 (ტალინდერი-11), 0:2 აფინოგენოვი-8 (ბერნიე-12, ტალინდერი-12), 1:2 აპშოლი-11 (კ. ტიმონენი-28, ჯ. კარტერი-20), 2:2 დაუნი-6 (ს. კაპანენი-2, მოდრი-6), 2:3 დ. რუა-26 (აფინოგენოვი-13, ლიდმანი-22), 2:4 პომინვილი-22 (პრატი-6, პაეტში-7), 2:5 აფინოგენოვი-9 (ბერნიე-13, მეირი-8).

**ტორონტო-ნიუ ჯერსი 1:4**

0:1, 1:1, 0:2

გოლები: 0:1 პარიზე-26 (ლანგენბრუნერი-26), 0:2 ჯონსტა-19 (ოდუია-17, ბრუკბანკი-6), 1:2 ანტროპოვი-24 (ტ. კაბერლე-36, სუნდინი-42), 1:3 კლარკსონი-8 (მადენი-20, ბრილინი-9), 1:4 პარიზე-27 (ელიაში-30, პანდოლფო-10).

**ტამპა ბეი-პიტსბურგი 0:2**

0:0, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 ტელბოტი-10 (დუპუი-6, კროსბი-44), 0:2 მალკინი-38 (ტელბოტი-12).

**მინესოტა-ჩიკაგო 2:4**

1:1, 0:1, 1:2

გოლები: 1:0 დემიტრა-14 (გაბორიკი-33, შულტცი-11), 1:1 ჯეისონ უილიამსი-10 (რ. ბურკი-12), 1:2 კეიტი-9 (ლედი-10, სიბრუკი-15), 1:3 ბიფიგლენი-14 (ჯეისონ უილიამსი-18), 2:3 ვეილო-8 (კ. იონსონი-21, კარნი-7), 2:4 კ. ადამსი-3 (რ. ბურკი-13).

**კალგარი-კოლამბუსი 1:0**

0:0, 0:0, 1:0

გოლი: 1:0 კონროი-10 (ნისტრიომი-5, რეგერი-12).

**სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი 3:2**

1:1, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ე. მაკდონალდი-13 (კარია-37, ე. ჯონსონი-21), 1:1 ფროლოვი-20 (რ. ბლეიკი-22, ო'სალივანი-24), 1:2 დ. ბრაუნი-29 (კოპიტარი-37, ჰაროლდი-2), 2:2 ტკაჩუკი-21 (პერონი-11, ბოიესი-16), 3:2 რ. ჯონსონი-5 (მაიერსი-15, მაკკი-7).

**კოლორადო-ვანკუვერი 2:1**

1:0, 0:1, 1:0

გოლები: 1:0 შჩასტნი-20 (ვოლსკი-26, ბრუნეტი-29), 1:1 შენონი-4 (სალო-11, ჰ. სედინი-52), 2:1 ლაილსი-3 (ბრუნეტი-30, არნასონი-20).

**ედმონტონი-ნეშვილი 1:5**

0:3, 1:2, 0:0

გოლები: 0:1 დუმონი-25 (კოისტინენი-12, არნოტი-39), 0:2 ერატი-19 (ჰლავაჩი-14, ჟიდლიცკი-35), 0:3 ერატი-20 (ლეგვანდი-29, ჰლავაჩი-15), 0:4 ერატი-21 (შ. უებერი-9, სუტერი-21), 1:4 გილბერტი-10 (რ. ნილსონი-22, პიზანი-6), 1:5 კოისტინენი-4 (ფიდლერი-20).

ახალი ამბები

### რაფალსკი მწყობრში ჩადგა

სანამ შვედი კაპიტანი დასაბრუნებლად ემზადება, "დეტროიტს" უკვე შეუძლია განაცხადში შეიყვანოს კიდევ ერთი ვეტერანი მცველი, **ბრაიან რაფალსკი**. ეს ჰოკეისტი ტრავმირებულთა სიიდან ამოშალეს და უახლოეს ტურში მოედანზე ვიხილავთ.

ამ სეზონში რაფალსკიმ 59 მატჩი ჩაატარა და 46 ქულა (10 გოლი+36 შედეგიანი გადაცემა) დააგროვა. შეგახსენებთ, რომ მცველი წლევანდელი სეზონის წინ "ნიუ ჯერსიდან" გადავიდა "დეტროიტში".

### ლიდსტრომი კვირის ბოლოს ითამაშებს

"დეტროიტ რედ უინგზის" კაპიტანი **ნიკლას ლიდსტრომი** რეგულარულ ჩემპიონატს უბრუნდება. სავარაუდოდ, შვედი ვეტერანი გუნდს კვირას, "ნეშვილ პრედატორზთან" მატჩში შეუერთდება. როგორც ცნობილია, NHL-ის ხუთგზის საუკეთესო მცველი ორი კვირაა ფეხის ტრავმის გამო არ თამაშობს.

*"დიახ, ეს სავსებით შესაძლებელია. ორკვირიანი შესვენების შემდეგ, პირველ ვარჯიშზე საკუთარი თავი ოდნავ მოშვებული მეჩვენა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ კვირის ბოლოსთვის ყველა პრობლემა უკან დარჩება"*, - აცხადებს ლიდსტრომი.


რაფალსკი (მარცხნივ) და ლიდსტრომი (შუაში)

### ფილადელფიამ ბრიერიც დაკარგა

"ფილადელფია ფლაიერზში" ტრავმების ეპიდემია გრძელდება. ამჯერად გუნდს გამოაკლდა მესამე ლიდერი - ფორვარდი **დანიელ ბრიერი**, რომელმაც ცოტა ხნის წინ, "მფრინავებთან 8-წლიანი და 52-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა. ბრიერს მხარის ტრავმა აქვს მიღებული.

*"იმედგაცრუებული ვარ. ბოლო მატჩებში თამაში წამივიდა და ბევრი რამ გამომდიოდა. თითქოს ყველაფერი ბრწყინვალედ იყო, მაგრამ არ გამიმართლა. ჯერ არ ვიცი, რამდენი ხანი ვერ შევძლებ თამაშს. იმედი მაქვს, მალე მოვახერხებ ბიჭებისთვის დახმარების გაწევას"*, - ამბობს ბრიერი.

ბოლო თვის განმავლობაში, "ფილადელფიამ" წამყვანი ფორვარდები, **მაიკ რიჩარდსი** და **საიმონ განიე** დაკარგა. ეს უკანასკნელი ამ სეზონში საერთოდ ველარ შეძლებს თამაშს.

### განიე თვის დებიუტანტია

თებერვლის ლაურეატებს შორის მოხვდა "ედმონტონ ოილერზის" ცენტრალური თავდამსხმელი **სემ განიე**. 18 წლის ჰოკეისტმა საუკეთესო ახალბედასთვის განკუთვნილი პრიზი დაიმსახურა.

გასულ თვეში, განიეს სტატისტიკური მაჩვენებლები 3 გოლსა და 10 შედეგიან გადაცემას (12 მატჩში) შეადგენდა. თებერვლის ლაურეატმა პრიზისთვის ბრძოლაში უკან ჩამოიტოვა "რეინჯერსის" ფორვარდი **ბრენდონ დუბინსკი**, ამავე ამპლუის **პეტერ მიულერი** ("ფინიქსი") და **ჯონათან ტეივზი** ("ჩიკაგო"), აგრეთვე მეკარე **კერი პრაისი** ("მონრეალი").

ინტერვიუ კრის პოლთან

# ჩემი კერპი კევინ ჯონსონია

პროფესიული ლიგის რეგულარულის დასრულებამდე კიდევ ერთი მესამედია გასავლელი, მაგრამ თუ "ნიუ ორლეანის" ახალგაზრდა სუპერვარსკვლავი ალებულ ტემპს არ დააგდებს, იგი გახდება NBA-ის ისტორიაში პირველი მოთამაშე, რომელიც დამქანცველ მარათონს საშუალოდ, მინიმუმ 20 ქულით, 10 შედეგიანი გადაცემითა და 3 ჩაჭრით დაასრულებს.

პოლი ფენომენია, რომელიც ამ ეტაპზე, ალბათ, პლანეტის ყველაზე სრულყოფილი პლეიმეიქერია და სტივ ნეშის, ჯეისონ კიდის, ტონი პარკერისა და ბაირონ დევისის ფანებთან ბოდიშის მოხდით, ყველა თანაამპლუელს დაცვაში თამაშითაც და შემტევი პოტენციალითაც სჯობს.

რეგულარულის ბოლოს, "ჰორნეტსის" მთავარი მწვრთნელი ბაირონ სკოტი საუკეთესო მწვრთნელის პრიზის მოპოვების ერთ-ერთი ფავორიტი იქნება, თუმცა სკოტიც აღიარებს, რომ კრისის გარეშე არც მას გაიხსენებდნენ და რაც მთავარია, ვერც "ნიუ ორლეანი" მოახერხებდა ამ ეტაპზე ამდენი მატჩის თავის სასარგებლოდ დასრულებასა და ზემძლავრ დასავლეთში ლიდერთა შორის ადგილის სტაბილურად შენარჩუნებას.

კრისი მასმედიისთვისაც ერთ-ერთი უსაყვარლესი რესპონდენტია და ამჯერად, სწორედ ამ ახალგაზრდა გენიოსთან ინტერვიუს გთავაზობთ.

**- სეზონის მსვლელობისას არ გქონიათ იმის შეგრძნება, რომ ამაზე უკეთესად თამაში, უბრალოდ, შეუძლებელია?**

- რატომ, შეუძლებელი? ჩემზე უკეთაც თამაშობენ, უთამაშიათ და ითამაშებენ კიდეც. გამთამაშებლისთვის მთავარი ენერგიის რაციონალურად გადანაწილებაა. შეუძლებელია ითამაშო ისე, როგორც ამას მეჯიქი და ოსკარი ახერხებდნენ - ისინი ფენომენები იყვნენ, დღევანდელი თაობა კი, ყველაფერს თავდაუზოგავი შრომით აღწევს. ოსკარიცა და მეჯიქიც ჩვენზე ბევრად ნიჭიერები იყვნენ, მე კი თუ რამეს მივაღწევ, მხოლოდ და მხოლოდ სრული კონცენტრაციითა და ბოლომდე დახარჯვით.

**- "ნიუ ორლეანი" ამ სეზონს ჩავარდნებით თამაშობს. მიუხედავად ამისა, თქვენ საუკეთესო მოთამაშის პრიზის მოგების რეალური კანდიდატი ხართ. როგორ გგონიათ, ეს რეალურია?**

- ახლავე ასი პროცენტით შემიძლია იმის თქმა, რომ საუკეთესოდ არ დამასახელებენ. აი, ჩვენი მწვრთნელი ბაირონ სკოტი კი აშკარად იმსახურებს აღიარებას. დასავლეთში, შემადგენლობის მხრივ, ალბათ, ათეულშიც ვერ შევდივართ, მაგრამ სკოტი ყველა მოთამაშისგან მაქსიმუმს ითხოვს, ფსიქოლოგიურად საუკეთესოდ გვამზადებს და უნდა ნახოთ, თითოეულ ვარჯიშს რა უდიდესი ენთუზიაზმით ატარებს.

**- თქვენი საუკეთესოდ დასახელება რატომ გამორიცხეთ?**

- უბრალოდ, წელს არიან მოთამაშეები, რომლებიც ჩემზე გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურებიან. ლებრონი შეუდარებელია, კობი "ლეიკერსის" წარმატების მთავარი მიზეზია, დამაჯერებლად გამოიყურება პოლ პირსი, "სან ანტონიოში" ბრწყინავს ჯინობილი და გარნეტიც ჩვეულად, სტაბილურად ატარებს ყველა თამაშს. ნუ დაგავიწყდებათ ნეში, ნოვიცკიც... მოკლედ, ძალიან ბევრი ვარსკვლავია და ამ ეტაპზე მათი გასწრება რთული იქნება. სიმართლე გითხრათ, ინდივიდუალური ჯილდო ნაკლებად მაინტერესებს. მთავარია, პლეი ოფში გავიდეთ და იქ ერთი სერია მაინც მოვიგოთ.

**- დასავლეთში, სადაც გუნდი 50 მოგებით შეიძლება პლეი ოფს მიღმა აღმოჩნდეს, "ნიუ ორლეანი" განსაკუთრებით დამაჯერებლად სწორედ გრანდებთან თამაშობს. სხვებთან შეხვედრებისას აუცილებელი მოტივაცია არ გაგაჩნიათ?**

- მოტივაცია ყოველი შეხვედრის წინ სათანადო დონეზე გვაქვს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ "ნიუ ორლეანს" გრანდად თუ არა, ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევენ და ის აუტსაიდერები, რომლებიც თქვენ მხედველობაში გყავთ, ჩვენს წინაალმდეგ მაქსიმუმს ავლენენ. აღმოსავლეთის წარმომადგენლებთან რამდენიმე ისეთ შეხვედრაში დავმარცხდით, რომლებიც წესით, იოლად უნდა მოგვეგო. სუსტი გუნდები არიან და ყოველთვის იქნებიან, მაგრამ სწორედ მათ წინააღმდეგ უნდა გამოავლინო შენი პროფესიონალიზმი და ყველას დაანახო, რომ სტაბილურად თამაში შეგიძლია. "ნიუ ორლეანი" ამას მეტნაკლებად აკეთებს და იმედი მაქვს, პლეიოფის პირველ წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობა გვექნება.

**- ბოლო ტრანსფერების შემდეგ დასავლეთში ფავორიტი ხომ არ შეიცვალა?**

- ფავორიტი არ შეცვლილა. "ლეიკერსი" გასოლამდეც ძალიან ძლიერი იყო, ახლა კი უფრო გაძლიერდა. "სან ანტონიო" მოქმედი ჩემპიონია და ამით ყველაფერია ნათქვამი. "დალასს" ჯეისონ კიდამდე ჰარისი ჰყავდა და ნამდვილად ვერ დავეთანხმები იმას, რომ ჯეისონი ამ გუნდს დევინზე მეტად შეკრავს. უბრალოდ; მასთან ერთად "დალასი" სხვა კალათბურთს ითამაშებს. "ფინიქსს" რაც შეეხება, შაკილ ონილი ლეგენდაა და სწორედ ამის გამო შედგა ეს ტრანსფერი. თანაც, პლეი ოფში თამაში გაცილებით დაბალ ტემპში მიდის და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შაკი სპრინტერი არასოდეს ყოფილა, აპრილიდან დაწყებული, "ფინიქსისთვის" ონილი ფასდაუდებელი შენაძენი გახდება.

**- მეჯიქი ახსენეთ. ის, ალბათ, თქვენი კერპი იყო...**

- არა, გამთამაშებლებში განსაკუთრებულად ყოველთვის კევინ ჯონსონი მომწონდა. ტრავმა რომ არ მიელო, დარწმუნებული ვარ, სტოქტონზე სერიოზული მიღწევები ექნებოდა. სტოქტონს მთელი თავისი კარიერა გვერდით მელოუნი ჰყავდა, ჯონსონს კი მხოლოდ სამი-ოთხი წლის განმავლობაში მოუწია ბარკლისთან ერთად თამაში. თანაც, მან ტრავმების გამო, თუ არ ვცდები, ორასზე მეტი თამაში გამოტოვა. წარმოიდგინეთ, რამდენად რთულია, უამრავი ოპერაციის შემდეგ ფორმის აღდგენა და მოტივაციის დაბრუნება. კევინი კი ამას სტაბილურად აკეთებდა.

**- დღევანდელი გამთამაშებლებიდან ვინ არის საუკეთესო?**

- ძალიან მომწონს კიდი, თუმცა, მისდამი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ჯეისონს აქვს ერთი დიდი მინუსი, რასაც თამაშიდან სროლების დაბალი რეალიზება ჰქვია. მსოფლიოში უსწრაფესი მოთამაშეა ტონი პარკერი, მაგრამ იგი არ არის გამთამაშებელი. ტონი კარგი მეორე ნომერია. საუკეთესო კი, ალბათ, დერონ უილიამსია. ფიზიკურად არაჩვეულებრივადაა მომზადებული და კარგი საშუალო სროლაც აქვს. დერონს ბრწყინვალე კარიერა ექნება.




## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**სან ანტონიო-ნიუ ჯერსი 81:70**

17:24, 27:13, 19:14, 18:19

სან ანტონიო: დანკანი (29 ქ. 12 მ. 2 დ), ჯინობილი (12 ქ. 7 მ. 4 ჩ), ტ. პარკერი (11 ქ), ბ. ბოუენი (10 ქ).

ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (19 ქ. 9 მ), მარკუს უილიამსი (16 ქ), დ. ჰარისი (13 ქ. 7 გ. 3 ჩ), რ. ჯეფერსონი (10 ქ. 2 ჩ).

**ატლანტა-გ. სტეიტი 118:135**

42:37, 28:31, 22:32, 26:35

ატლანტა: ჯო ჯონსონი (38 ქ. 7 მ. 6 გ), ჯოშ სმიტი (20 ქ. 11 მ. 4 დ), მარვინ უილიამსი (20 ქ), ჰორფორდი (14 ქ. 8 მ. 2 დ), ს. სტაუდმაიერი (12 ქ).

გოლდენ სტეიტი: ბ. დევისი (35 ქ. 9 გ. 2 ჩ), ს. ჯექსონი (29 ქ. 6 გ. 2 ჩ), მ. ელისი (20 ქ. 7 მ. 3 ჩ), მ. პიეტრუსი (19 ქ. 12 მ. 2 ჩ. 2 დ), ე. ჰარინგტონი (13 ქ).

**პორტლენდი-ფინიქსი 92:97**

20:29, 21:31, 30:19, 21:18

პორტლენდი: როი (25 ქ. 2 ჩ), ტ. აუთლო (15 ქ. 2 დ), ოლდრიჯი (11 ქ. 9 მ. 3 ჩ. 2 დ), ფრაი (11 ქ), ჯეკი (11 ქ).

ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (22 ქ. 7 მ. 4 ჩ), ნეში (19 ქ), გ. ჰილი (18 ქ. 6 მ), დიაო (14 ქ), შ. ონილი (6 ქ. 13 მ. 3 დ).

**საკრამენტო-ლეიკერსი 105:117**

33:27, 25:26, 29:28, 18:36

საკრამენტო: არტესტი (23 ქ. 2 დ), კევინ მარტინი (23 ქ), სალამონსი (17 ქ. 3 ჩ), უდრიხი (15 ქ. 2 ჩ), ბ. მილერი (14 ქ. 12 მ. 2 ჩ).

ლეიკერსი: ბრაიანტი (34 ქ. 10 მ. 2 ჩ), გასოლი (31 ქ. 10 მ. 3 ჩ. 2 დ), ოდომი (19 ქ. 12 მ), ფიშერი (17 ქ. 6 გ. 3 ჩ).

**ორლანდო-ტორონტო 102:87**

20:18, 24:23, 27:27, 31:19

ორლანდო: თურქოღლუ (24 ქ. 8 გ. 7 მ), რ. ლიუისი (22 ქ. 2 ჩ), დ. ჰოვარდი (19 ქ. 14 მ), ნელსონი (13 ქ. 6 მ).

ტორონტო: ტი. ჯეი. ფორდი (20 ქ. 2 ჩ), ე. პარკერი (19 ქ. 9 მ), კალდერონი (14 ქ), ჰამფრიზი (10 ქ).

**ჩიკაგო-მემფისი 112:97**

22:16, 32:16, 29:31, 29:30

ჩიკაგო: გუდენი (21 ქ. 14 მ. 3 დ), დენგი (21 ქ. 9 მ), ნოჰი (20 ქ. 6 მ), ჰაინრიხი (19 ქ. 12 გ. 4 დ), გორდონი (16 ქ. 2 ჩ).

მემფისი: ლოური (24 ქ. 2 ჩ), გეი (21 ქ), მილიჩიჩი (21 ქ. 7 მ), კრიტენტონი (17 ქ.), უორიკი (8 ქ. 10 მ).

**დეტროიტი-სიეტლი 100:97**

28:41, 25:13, 24:24, 23:19

დეტროიტი: პრინსი (24 ქ), ბილაპსი (20 ქ. 9 გ. 5 ჩ), რ. ჰამილტონი (18 ქ).

სიეტლი: ე. უოტსონი (23 ქ. 7 გ), დიურანი (20 ქ. 7 მ), უილკოქსი (20 ქ. 10 მ), ჯ. გრინი (15 ქ).

**მინესოტა-შარლოტი 89:109**

27:29, 23:27, 25:26, 14:27

მინესოტა: ე. ჯეფერსონი (18 ქ. 11 მ. 2 დ), გომესი (17 ქ. 6 მ), ფოი (16 ქ), კ. სმიტი (15 ქ), ტელფეირი (12 ქ. 9 გ).

შარლოტი: ჯ. რიჩარდსონი (25 ქ. 8 მ. 6 გ), ოკაფორი (19 ქ. 11 მ. 2 დ), კეროლი (18 ქ. 6 მ. 3 ჩ), დადლი (14 ქ. 2 ჩ).

## TV სპორტი

**6 მარტი. ხუთშაბათი**

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ნასიონალი (ურუგვაი)-ფლამენგო (ბრაზილია).
15:05 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-შალკე.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ოლიმპიაკოსი.
19:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რეალი-რომა.
21:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
21:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
23:40 უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. მარსელი-ზენიტი (LIVE).
01:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:30 სპორტდოსიე.
08:58 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სამხრეთ ამერიკა.
09:53 ფეხბურთი. Barca TV.
10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
11:05 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
11:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ოლიმპიაკოსი.
13:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 10 კმ. სპრინტი. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
15:00 სპორტის სამყარო.
15:31 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
16:03 ფეხბურთი. Barca TV.
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. 7.5 კმ. სპრინტი. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
17:30 სპორტდოსიე.
18:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
18:28 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-კაროლინა.
20:13 სპორტკლუბი.
20:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
21:34 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
22:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
23:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. IV ტური. რომა-ცსკა (LIVE).
01:20 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ფლუმინენსე-არსენალი.
03:25 ფეხბურთი. Barca TV.
03:32 სპორტდოსიე.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-რეინჯერსი (LIVE).
06:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ჩელსი.

### EUROSPORT

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.
12:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები, ქალები. სპრინტი. დრამენი. ნორვეგია.
13:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 10 კმ. სპრინტი. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
16:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. 7.5 კმ. სპრინტი. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
17:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 10 კმ. სპრინტი. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი.
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS127. კვალიფიკაცია. ლილეჰამერი. ნორვეგია (LIVE).
22:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. 7.5 კმ. სპრინტი. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი.
23:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS127. კვალიფიკაცია. ლილეჰამერი. ნორვეგია.
23:30 პროფესიული კრივი. ნიურნბერგი. გერმანია.
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები.
03:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი. ყაზანი (რუსეთი)-კანი (საფრანგეთი).
14:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეიოფი. ნოვარა (იტალია)-ციურიხი (შვეიცარია).
15:00 ახალი ამბები.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
17:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნიურნბერგი-ბენფიკა.
18:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლევერკუზენი-გალათასარაი.
19:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი. ყაზანი (რუსეთი)-კანი (საფრანგეთი).
20:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეიოფი. ნოვარა (იტალია)-ციურიხი (შვეიცარია).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
22:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. იაპონია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გრანადა. ესპანეთი.
00:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი. ყაზანი (რუსეთი)-კანი (საფრანგეთი).
01:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეიოფი. ნოვარა (იტალია)-ციურიხი (შვეიცარია).
02:00 ახალი ამბები.
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**ლივერპული-ვესტ ჰემი 4:0**

ლივერპული: რეინა, კარაგერი, არბელოა, შკრტელი, ჯერარდი, რიისე, ჩაბი ალონსო, მასკერანო, კუიტი (63. ბენაიუნი), ფერნანდო ტორესი (82. კრაუჩი), ბაბელი (76. პენანტი).

ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, აპსონი (63. სპელტორი), მაკარტნი, ა. ფერდინანდი, მულინზი, ლიუნგბერგი, სოლანო (69. ეშტონი), ნობლე, ბოა მორტე, კ. კოული (69. ზამორა).

გოლები: 1:0 ფერნანდო ტორესი (8), 2:0 ფერნანდო ტორესი (61), 3:0 ფერნანდო ტორესი (81), 4:0 ჯერარდი (83)

გაფრთხილება: 0-3; დარტყმა: 20(11)-2(2); კუთხური: 16-3; თამაშგარე: 0-1; ჯარიმა: 9-15; ბურთის ფლობა: 61%-39%

მაყურებელი: 42 954

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 28 | 19 | 8 | 1 | 57-21 | 65 |
| 2. მანჩესტერ იუნ | 28 | 20 | 4 | 4 | 58-15 | 64 |
| 3. ჩელსი | 27 | 17 | 7 | 3 | 42-17 | 58 |
| 4. ლივერპული | 28 | 14 | 11 | 3 | 50-20 | 53 |
| 5. ევერტონი | 28 | 16 | 5 | 7 | 46-24 | 53 |
| 6. ასტონ ვილა | 28 | 13 | 9 | 6 | 51-36 | 48 |
| 7. ბლეკბერნი | 28 | 12 | 9 | 7 | 37-34 | 45 |
| 8. მანჩესტერ ს | 28 | 12 | 9 | 7 | 34-31 | 45 |
| 9. პორტსმუთი | 28 | 12 | 8 | 8 | 38-29 | 44 |
| 10. ვესტ ჰემი | 28 | 11 | 7 | 10 | 31-31 | 40 |
| 11. ტოტენჰემი | 27 | 8 | 8 | 11 | 49-45 | 32 |
| 12. მიდლსბრო | 28 | 7 | 8 | 13 | 25-42 | 29 |
| 13. ნიუკასლი | 28 | 7 | 7 | 14 | 30-53 | 28 |
| 14. უიგანი | 28 | 7 | 6 | 15 | 26-42 | 27 |
| 15. სანდერლენდი | 28 | 7 | 6 | 15 | 26-46 | 27 |
| 16. ბირმინგემი | 28 | 6 | 8 | 14 | 31-41 | 26 |
| 17. რედინგი | 28 | 7 | 4 | 17 | 32-55 | 25 |
| 18. ბოლტონი | 28 | 6 | 7 | 15 | 28-42 | 25 |
| 19. ფულჰემი | 28 | 3 | 10 | 15 | 25-48 | 19 |
| 20. დერბი | 28 | 1 | 7 | 20 | 13-57 | 10 |

**ჩემპიონატი**

კოვენტრი-ქვინზ პარკი 0:0

**შოტლანდია**

**II დივიზიონი**

ეირდრი-ბერვიკი 3:0

**III დივიზიონი**

ელჯინი-ალბიონი 1:1
არბროთი-დამბარტონი 0:0

**ავსტრია**

ავსტრია-ლინცერი 0:0
ზალცბურგი-ტიროლი 2:0

**საბერძნეთი**

აეკ-ქსანთი 3:0
ატრომიტოსი-პანათინაიკოსი 0:1

**საბერძნეთის თასი**

თრასივულოსი-ლარისა 1:0

**პოლონეთი**

**ლიგის თასი**

ოდრა-გროცლინი 1:2
კრაკოვია-გურნიკი 0:2

### კალათბურთი

**ევროლიგა**

პარტიზანი-მონტეპასკი 78:75
ულკერი-არისი 59:60
ტაუგრესი-ლეტუვოს რიტასი 87:84
უნიკახა-ბარსელონა 62:61

**საფრანგეთი**

ლე მანი-კლერმონი 82:73

### ჰოკეი

**რუსეთი**

ავანგარდი-დინამო 2:2 ო.ტ. 3:2
მეტალურგი (მ)-ნეფტეხიმიკი 3:4
ს. იულაევი-ამური 2:0
აკ ბარსი-მვდ 3:3 პენ. 1:0
ლოკომოტივი-ლადა 3:0
სკა-სპარტაკი 6:1
ხიმიკი-სევერსტალი 2:2 პენ. 1:0
ცსკა-ტრაქტორი 6:1

**გერმანია**

ჰანოვერი-ჰამბურგი 1:2

**სლოვაკეთი**

ტრენჩინი-მარტინი 2:4
ზვოლენი-სკალიცა 4:1

**ჩეხეთი**

ბუდეიოვიცე-კლადნო 2:0
სლავია-ტრშინეცი 4:1

### ჩოგბურთი

**ATP. დუბაი**

დავიდენკო-ჰერნიხი 6:1, 6:4
მარეი-ვერდასკო 6:3, 3:6, 7:6
ფერერი-ო. როხუსი 3:6, 7:5, 6:1
ნადალი-ლედოვსკიხი 6:4, 6:0
ბერდიხი-ლოპესი 2:6, 5:7
გასკე-ანდრეევი 3:6, 4:6
ჯოკოვიჩი-სანტორო 6:3, 7:6
როდიკი-მატიო 6:3, 6:4

**ATP. ლას ვეგასი**

კანიასი-გუჩიონე 6:2, 7:5
დელიჩი-სტარაჩე 6:3, 6:0

**WTA. ბანგალორი**

ბამერი-როდიონოვა 6:7, 2:6
ს. უილიამსი-ობზილერი 7:5, 6:0
შნიდერი-ნაკამურა 6:7, 6:4, 6:2

ტურნირების მიმოხილვა

# როდიკმა ეისების მანქანა აამოქმედა

სადაც **როჯერ ფედერერი** ჩარჩა, იქ დუბაის ტურნირის სხვა ფავორიტებმა - ამერიკელმა **ენდი როდიკმა**, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** და სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** უპრობლემოდ გაიარეს. თანაც, იოლი მეტოქეები არც მათ ჰყოლიათ. გუშინ კი ამ სამეულმა მეოთხედფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვა.

როდიკს ფორტუნამ პირველ წრეში მეტოქედ ესპანელი **ხუან კარლოს ფერერო** შეახვედრა. მართალია, "მოსკიტო" მაქსიმალურად დაიხარჯა, მაგრამ ამერიკელის ყუმბარმტყორცნს, რომელმაც ორ სეტში 18 ეისის გასროლა მოასწრო (მათგან ერთის სიჩქარე 235 კმ/სთ იყო), მაინც ვერაფერი მოუხერხა.

*"როცა კარგად ვაწოდებ, ყოველთვის ყველაფერი გამომდის. ამაზე უკეთესად ტურნირის დაწყებაზე ოცნებაც არ შემეძლო"*, - განაცხადა როდიკმა, ვინც მეორე სეტის ერთ გეიმში, ზედიზედ ოთხი ეისის მოწოდება შეძლო და ის გეიმი მშრალად მოიგო.

თუ როდიკს მეტოქის ძლევაში ეისების სეტყვა დაეხმარა, ნადალს საკმაოდ გაუჭირდა გერმანელი **ფილიპ კოლშრაიბერის** ძლევა. ნამატჩევს კი განაცხადა, პირველ წრეში ისე უნდა ითამაშო, თითქოს ეს მეოთხედფინალია, თორემ ნაგებამდე ერთი ნაბიჯიაო.

ჯოკოვიჩმა, ვინც ავსტრალიის ღიას ნახევარფინალში ფედერერი დაამარცხა, შემდეგ კი ტურნირის ჩემპიონიც გახდა, ორი სეტი იმყოფინა კერკეტი ხორვატის, **მარინ ჩილიჩის** დასამარცხებლად. კორტზე საქმეს რომ მორჩა, შვეიცარიელი მაესტროს მარცხზეც თქვა ორიოდ სიტყვა: *"როჯერი ნაგებებს ეჩვევა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვა ჩოგბურთელები, როცა მასთან სათამაშოდ კორტზე გავლენ, წინასწარ აღარ შეეგუებიან ნაგებას. მათ ეცოდინებათ, რომ დაუმარცხებელი არავინაა"*.

ბრიტანელმა **ენდი მარეიმ** კი, ვინც პირველ წრეში ტურნირი ფედერერს დაატოვებინა, მეორე წრე რის ვაი-ვაგლახით გაიარა. მას სამი სეტი დასჭირდა ესპანელი **ფერნანდო ვერდასკოს** დასამარცხებლად.

მარეიმ ამჯერადაც მომლოდინე პოზიცია დაიკავა და მეტწილად მეტოქის შეცდომების ხარჯზე გადიოდა ფონს. სხვათა შორის, ფედერერმა დაიწუწუნა, მარეი შემტევ ჩოგბურთს არ თამაშობს და მეტოქის შეცდომებს ელისო. ამჯერადაც, ცაცია ვერდასკო აგრესორის როლში მოგვევლინა, შოტლანდიელი კი ხაზიდან ზუსტი დარტყმების წყალობით, მეტოქეს შეცდომების დაშვებას აიძულებდა. ნამატჩევს მარეიმ თავადვე განაცხადა, ეს ჩემი საუკეთესო გამოსვლა ნამდვილად არ იყოო.

*"ეს ჩემი საუკეთესო თამაში არ იყო, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ქარი ხელს გვიშლიდა. ამ სეზონში ცაციას პირველად ვეთამაშე. საერთოდ, ცაციებთან თამაშს შეგუება ესაჭიროება და პირველ სეტში სწორედ ამ ბარიერის გავლა მომიხდა. მიხარია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა"*, - განაცხადა მარეიმ, ვინც მეოთხე მატჩ პოინტზე შეძლო გამარჯვების ქულის მოპოვება.

ნადალს გუშინ მეტოქედ რუსი **მიხაილ ლედოვსკიხი** ჰყავდა, რომლის დამარცხება არც გასჭირვებია. ესპანელი დუბაის ტურნირზე მეხუთედ ასპარეზობს და მეოთხედ გავიდა მეოთხედფინალში. სხვათა შორის, მას ორი წლის წინ აქ თვით ფედერერი დაუმარცხებია. საინტერესოა, რომ შარშანდელი სეზონის მსგავსად, ნადალს დუბაის ტურნირამდე ჯერ ტიტული არ მოუპოვებია. შარშან მან უტიტულო სვლა ინდიან ველსის მასტერსის სერიის ტურნირზე დაასრულა. ამჯერად კი პირველი ტიტულის მოპოვებას დუბაიში ეცდება, რომელიც შარშან ფედერერმა მოიგო.

მეოთხედფინალში ნადალის მეტოქე როდიკი იქნება, ვინც გუშინ ტურნირი ფრანგ **პოლ-ანრი მატიეს** დაატოვებინა. რაც შეეხება ჯოკოვიჩს, მან ფრანგი **ფაბრის სანტორო** დაამარცხა. სანტოროს დუბაის ტურნირი 2006 წელს მოუგია, 1993 წელს (როცა ტურნირი პირველად ჩატარდა) კი ფინალს მიაღწია.



ენდი როდიკი

**ATP**

**Dubai Tennis Championships**

დუბაი (საემიროები). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 426 000 დოლარი

**I წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 3:6, 6:1, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-მარინ ჩილიჩი (ხორ) 6:4, 6:3; **ენდი როდიკი (აშშ, 6)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 6:2, 6:4; **ტომას ბერდიხი (ჩეხ, 8)**-გალე მონფილსი (საფ) 6:3, 6:2; **პოლ-ანრი მატიო (საფ)**-ჯოზეფ სირიანი (ავსტრა) 6:4, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 6:3, 4:6, 6:4; **ოლივიე როხუსი (ბელ)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:1, 6:2; **მიხაილ ლედოვსკიხი (რუს)**-მაჰსუდ ნადერი (საემ) 6:1, 6:1.

**Tennis Channel Open**

ლას ვეგასი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 436 000 დოლარი

**I წრე**

**ფერნანდო გონსალესი (1)**-დუდი სელა (ისრ) 6:2, 7:6 (2); **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 3)**-ვინსენ სპეიდი (აშშ) 7:6, 6:1; **პოტიტო სტარაჩე (იტა, 5)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 7:6 (5), 6:0; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-მიხაელ ლოდრა (საფ, 6) 6:2, 7:6 (2); **ამერ დელიჩი (აშშ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია) 7:5, 7:6 (2); **ერნესტ გულბისი (ლატ)**-ნიკოლას მასუ (ჩილ) 7:5, 4:6, 6:4; **კრის გუჩიონე (ავსტრა)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:2, 4:6, 7:6 (5); **პეტერ ლუჩაკი (ავსტრა)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:2, 1:0 ზვერევის უარი; **ჯონ ისნერი (აშშ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 4:6, 6:3, 6:4; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-იონას ბიორკმანი (შვედ) 6:4, 7:6 (4).

**WTA**

**Bangalore Open**

ბანგალორი (ინდოეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**I წრე**

**ვერა ზვონარევა (რუს, 7)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 4:6, 6:3, 6:1; **იან ჟი (ჩინ)**-მარია კირილენკო (რუს, 8) 3:6, 7:6 (7), 6:1; **ანასტასია როდიონოვა (რუს)**-ტიანტიან სუნი (ჩინ) 4:6, 7:6 (2), 6:4; **შუაი პენგი (ჩინ)**-ენ კრემერი (ლუქ) 6:1, 6:2; **აგნეს ჟატმარი (რუმ)**-აიშა ლახანი (ინდ) 6:2, 6:2.

**II წრე**

**აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-აგნეს შავაი (უნგ, 5) 4:6, 7:6, 6:4.



ვეტერანთა ტური

## ანას და მარტინას გეგმები

ახლო წარსულში ქალთა ჩოგბურთის ორი ვარსკვლავი, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი** და რუსი **ანა კურნიკოვა** ამ ზაფხულს დაუბრუნდებიან ჩოგბურთს.

მარტინამ და ანამ, რომლებსაც თავის დროზე წყვილთა თანრიგში "დიდი სლემის" ტურნირი აქვთ მოგებული, განაცხადეს, რომ World Team Tennis-ის ლიგაში აპირებენ მონაწილეობას.

2008 წლის სეზონში, WTT-ის განრიგი 77 მატჩის ჩატარებას ითვალისწინებს. შეხვედრები 3-დან 23 ივლისის ჩათვლით გაიმართება, ხოლო ფინალი 5 საუკეთესო გუნდს შორის, 24-27 ივლისს არის დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ World Team Tennis-ის ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, ეს ლიგა დევისის, ფედერაციისა და ჰოფმანის თასის ერთგვარი გამაერთიანებელი ტურნირი უნდა ყოფილიყო. აქ გუნდური მატჩი მოიცავს მამაკაცთა და ქალთა თითო ერთეულთა შეხვედრას და აგრეთვე ერთ მატჩს მიქსტში. თამაში ერთსეტიანია და პარტიის მოსაგებად 5 გეიმის აღებაა საკმარისი. ამას გარდა, World Team Tennis-ში მატჩებს ჩვეულებრივი ჩოგბურთისგან სხვა ნიუანსებიც განასხვავებს.

კურნიკოვა ქალაქ სენტ ლუისის გუნდში ითამაშებს და მისი ერთ-ერთი თანაგუნდელი ამერიკელი **ენდი როდიკი** იქნება. სენტლუისელებს სერიოზული კონკურენტები ეყოლებათ. ასე მაგალითად, ნიუპორტის გუნდში ითამაშებს **ლინდსი დავენპორტი**, ვაშინგტონში - **სერენა უილიამსი**, ფილადელფიაში - **ვენუს უილიამსი**, ბოსტონში - **მარტინა ნავრატილოვა**, კანზასში ძმები **ბრაიანები**...

ჰინგისი პირველად ითამაშებს World Team Tennis-ის ლიგაში, კურნიკოვა კი, წინა სამი სეზონი საკრამენტოს გუნდში თამაშობდა, მაგრამ წელს ქალაქი გამოიცვალა.

შვეიცარიელ ჩოგბურთელს სხვა გეგმებიც აქვს. ის ბალახის კორტებზეც აპირებს ძალების მოსინჯვას. კერძოდ, ჰინგისი ლივერპულში საჩვენებელ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონოსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა




## ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

**რეალი-რომა 1:2 (1:2)**

**რეალი:** კასილიასი, მიჩელ სალგადო (64. ტორესი), კანავარო, პეპე, ჰაინცე, დიარა (61. დრენტე), გახო, გუტი, ჟულიო ბაპტიშტა (85. სოლდადო), რაული, რობინიო.

**რომა:** დონი, სისინიო (87. პანუჩი), მექსე, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, აკვილანი, ტადეი, პეროტა (76. პისარო), მანსინი (65. ვუჩინიჩი), ტოტი.

**გოლები:** 0:1 ტადეი (73), 1:1 რაული (75), 1:2 ვუჩინიჩი (90+2)

**გაძევება:** პეპე (71. რეალი)

**მაყურებელი:** 80 000

**არბიტრი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: რეალი

პირველი ჯარიმა: რომა

პირველი კუთხური: რომა

პირველი გაფრთხილება: რეალი

| | | |
|---|---|---|
| 15(6) | დარტყმა | 17(7) |
| 29 | ჯარიმა | 25 |
| 10 | კუთხური | 4 |
| 3 | გაფრთხილება | 6 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |

**ჩელსი-ოლიმპიაკოსი 3:0 (0:0)**

**ჩელსი:** კუდიჩინი, პაულო ფერეირა, ტერი, რიკარდო კარვალიო, ე. კოული, ბალაკი, მაკელელე, ლემპარდი (76. ესიენი), ჯ. კოული (79. რაიტ-ფილიპსი), კალუ (71. მალუდა), დროგბა.

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი. მიხ. ჟევლაკოვი, ანცასი, ჟულიო სეზარი, პანტოსი, ლედესმა (54. ბელუში), ტოროსიდისი (76. შიშიჩი), პაცაცოგლუ, სტოლტიდისი, პ. ჯორჯევიჩი (57. ლეონარდო), კოვაჩევიჩი.

**გოლები:** 1:0 ბალაკი (5), 2:0 ლემპარდი (25), 3:0 კალუ (48)

**მაყურებელი:** 40 000

**არბიტრი:** მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: ჩელსი

პირველი ჯარიმა: ოლიმპიაკოსი

პირველი კუთხური: ჩელსი

პირველი გაფრთხილება: ოლიმპიაკ.

| | | |
|---|---|---|
| 18(8) | დარტყმა | 6(4) |
| 19 | ჯარიმა | 18 |
| 4 | კუთხური | 4 |
| 3 | გაფრთხილება | 1 |
| 57% | ბურთის ფლობა | 43% |

**პორტუ-შალკე 1:0 პენ. 1:4 (0:1)**

**პორტუ:** ჰელტონი, ბოსინგვა (54. მარიანო გონსალესი), პედრო ემანუელი, ბრუნო ალვეში, ფუჩილე, პაულო ასუნსაო, რაულ მეირელესი (97. მარეკ ჩეხი), ლუჩო გონსალესი, რიკარდო კუარეშმა, ლისანდრო ლოპესი, სექტიუი (57. ფარიასი).

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი (114. ჰიოვედესი), კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯონსი, გროსმიულერი (111. როსმიულერი), ფ. ერნსტი, კობიაშვილი, ჰალილ ალთინთოფი, კურანი (79. ასამოა).

**გოლები:** 1:0 ლისანდრო ლოპესი (86)

**პენალტები:** 0:1 რაფინია, 1:1 ლუჩო გონსალესი, 1:2 რაკიტიჩი, 1:2 ბრუნო ალვეში (მეკარე), 1:3 ჰალილ ალთინთოფი, 1:3 ლისანდრო ლოპესი (მეკარე), 1:4 ჯონსი

**გაძევება:** ფუჩილე (82. პორტუ)

**მაყურებელი:** 41 000

**არბიტრი:** ჰოვარდ უები (ინგლისი)

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: შალკე

პირველი ჯარიმა: შალკე

პირველი კუთხური: შალკე

პირველი გაფრთხილება: შალკე

| | | |
|---|---|---|
| 21(9) | დარტყმა | 6(2) |
| 20 | ჯარიმა | 29 |
| 9 | კუთხური | 6 |
| 0 | გაფრთხილება | 3 |
| 61% | ბურთის ფლობა | 39% |

UEFA CHAMPIONS LEAGUE